საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
5 მარტი **ორშაბათი** 2012
№053(13659) ფასი 80 თეთრი

# ფაჩულიამ ოქლა მოკლა

## ზაზას სეზონის მეოთხე დუბლი

11







3-4

# როგორ მოვიპაროთ ფეხბურთელი

## კარპატიმ ამ თაღლითურ სქემაზე პასუხი უნდა აგოს!



# აბრამოვიჩის ფიალა ბრომვიჩთან აივსო:

## შენს წასვლას გაუმარჯოს, ვილაშ ბოაშ!

# ესეც ოტო რეჰაგელი: გამარჯვება სანატრელი

## ლევან კობიაშვილის გუნდმა 2012 წელს პირველად მოიგო





ლეგიონის უქმეები 2



# ისევ მსაჯები, სკანდალი...

ევროპული ჩემპიონატების მიმოხილვა 5-9

## ქართული ფეხბურთი

ლეგიონის უქმეები



ოტო რეჰაგელმა პაუზით ისარგებლა და ლევან კობიაშვილს დარიგებებს აძლევს

# ოტო რეჰაგელის გამარჯვების ფორმულა: კაპიტანი სკამზე, სამკლავური კობის

გასულ უქმეებზე რამდენიმე ევროპული ჩემპიონატი განახლდა, საიდანაც ჩვენს ყველაზე დიდ ინტერესს რუსული და უკრაინული პრემიერლიგები იწვევენ – ამ ორ ქვეყანაში ხომ ქართველები კვლავაც საკმაოდ არიან წარმოდგენილნი. ლეგიონის მიმოხილვაც სწორედ ამ თემით დავიწყოთ.

რუსეთში ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მატჩი დღეს გაიმართება – **საბა კვირკველიას** "რუბინი" **ჯანო ანანიძის** "სპარტაკს" უმასპინძლებს. შესაძლოა, ორივე მათგანი სათადარიგოთა სკამზე დარჩეს და "ქართული დერბიც" ვერ შედგეს, თუმცა მინიმუმ ჯანოს მოედანზე ხილვის იმედი ნამდვილად გვაქვს. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მაღალ დონეზე ჩატარებულმა შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ ანანიძე სეზონის განახლების მომენტს კარგ ფორმაში მყოფი ხვდება და მოსკოველთა ძირითადში დამკვიდრების არცთუ ურიგო შანსი აქვს. დღესვე **ნუკრი რევიშვილს** ოფიციალური დებიუტი ექნება "კრასნოდარის" შემადგენლობაში. **დავით სირაძე** კი ნალჩიკის "სპარტაკისთვის" კვლავ საჭირო ფეხბურთელია.

"კარპატის" მაისურით პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა **ბუბა დაუშვილმა**, თუმცა იმის მიუხედავად, რომ მოედანზე პირველივე წუთებიდან იყო, ეს შეხვედრა ტკბილად ნამდვილად არ მოაგონდება. "კრივბასში" ქართველებს კვლავაც სრული ნდობა აქვთ, სათამაშო პრაქტიკა არც **დავით თარგამაძესა** და **ალექსანდრე კობახიძეს** აკლიათ. იმედია, მალე ათამაშდება **ჯაბა ლიპარტიაც**.

**ლევან კობიაშვილმა** "ჰერტას" უკაპიტნა, რაც ამ სეზონში პირველად არ მოხდა. კობის ეს პატივი იმიტომ ერგო, რომ ბერლინელთა ახალმა თავკაცმა **ოტო რეჰაგელმა** სათადარიგოთა შორის გაამწესა გუნდის ხორვატი კაპიტანი **ანდრე მიატოვიჩი**. "ჰერტამ" წელს პირველი მატჩი მოიგო და გასავარდნი ზონა დატოვა, კობიაშვილი კი ამჯერადაც საყრდენი ნახევარმცველი იყო და როგორც ჩანს, ამ პოზიციაზე უფრო პროდუქტიულია, ვიდრე მარცხენა მცველის ამპლუაში. "შპორტალმა" მას 3-იანი დაუწერა, რაც "ჰერტას" შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო შეფასებაა.

*"დედიჩმა და კომპანიამ გელაშვილს უჩვენეს, როგორ უნდა გატანა"*, - ეს სათაური "კიკერმა" "ბოხუმისა" და დრეზდენის "დინამოს" შეხვედრის მიმოხილვას მიუძღვნა. უკვე გაცნობეთ, რომ ამ მატჩში, რომელშიც "ბოხუმი" სტუმრებს თამაშის ხარისხით არაფერში ჩამორჩა, გელაშვილმა არაერთი რეალური საგოლე მომენტი გააცუდა. "ბოხუმის" ქართველ ახალწვეულს მას შემდეგ, რაც თავის ახალ გუნდს სადებიუტო მატჩში გატანილი გოლით მოაგებინა, აღარ გაუტანია, თუმცა მწვრთნელები კვლავ ენდობიან და იმედია, ნავსსაც მალე გატეხს.

**ალექსანდრე იაშვილის** "კარლსრუეს" მდგომარეობას კი უკვე ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია, კატასტროფული ვუწოდოთ. თუ ამ კლუბმა კრიზისს თავი დროულად ვერ დააღწია, მომავალ სეზონს მესამე ბუნდესლიგაში დაიწყებს. იაშვილმა სეზონში მეათე გაფრთხილება მიიღო და დისკვალიფიკაციის გამო მომავალი ტური გაუცდება.

იტალიაში "ჯენოამ" ზედიზედ მეხუთე შეხვედრა ვერ მოიგო, მაგრამ **კახა კალაძის** გუნდმა ბოლო ორი მატჩი ფრედ დაასრულა, რაც მცირედი პროგრესის მანიშნებელი უნდა იყოს. **ლევან მჭედლიძემ** კი, რომელიც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ტრავმის გამო დააკლდა, საქართველო-ალბანეთიდან სამ დღეში "ემპოლი"-"ლივორნო" ძირითად შემადგენლობაში დაიწყო...

**ლევან ჯანეზაშვილი**

| ფეხბურთელი | გუნდი | მეტოქე | ანგ. | შენიშვნა | სეზ |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია. ბუნდესლიგა. XXIV ტური | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | ჰერტა | ვერდერი | 1:0 შ | 90 წუთი | 24 თ, 1 გ |
| ლევან ჩენია | შალკე | ფრაიბურგი | 1:2 გ | არ უთამაშია | 0 თ |
| II ბუნდესლიგა. XXIV ტური | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | ფორტუნა | 0:5 შ | 90 წთ, გააფრთხილეს | 20 თ, 6 გ |
| ნიკოლოზ გელაშვილი | ბოხუმი | დინამო | 0:2 შ | 90 წთ | 5 თ, 1 გ |
| იტალია. სერია A. XXVI ტური | | | | | |
| კახა კალაძე | ჯენოა | ლეჩე | 2:2 გ | 90 წთ | 17 თ |
| სერია B. XXIX ტური | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | ემპოლი | ლივორნო | შ 1:1 | 45 წთ, შეცვალეს, გააფრთხილეს | 16 თ, 1 გ |
| ირაკლი შეყილაძე | ემპოლი | ლივორნო | შ 1:1 | არ უთამაშია | 1 თ |
| საფრანგეთი. ლიგა 2. XXV ტური | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | ლე მანი | ისტრი | 1:0 შ | 90 წუთი | 20 თ |
| ამირან სანაია | ბასტია | ბულონი | 2:0 შ | არ უთამაშია | 4 თ |
| რუსეთი. პრემიერლიგა. XXXIII ტური | | | | | |
| ჯანო ანანიძე | სპარტაკი მ. | რუბინი | გ | დღეს | 11 თ, 1 გ |
| საბა კვირკველია | რუბინი | სპარტაკი | შ | | 5 თ, 1 გ |
| ნუკრი რევიშვილი | კრასნოდარი | როსტოვი | შ | | 26 თ |
| ალექს. ამისულაშვილი | კრასნოდარი | როსტოვი | შ | | 26 თ, 1 გ |
| ოთარ მარცვალაძე | კრასნოდარი | როსტოვი | შ | | 26 თ, 6 გ |
| ლევან გვაზავა | ტერეკი | ტომი | 1:0 შ | არ უთამაშია | 22 თ |
| გია გრიგალავა | ვოლგა | სპარტაკი ნ. | 1:0 შ | სათადარიგო | 21 თ |
| დავით სირაძე | სპარტაკი ნ. | ვოლგა | 0:1 გ | 58 წთ, შეცვალეს | 24 თ, 2 გ |
| უკრაინა. პრემიერლიგა. XXI ტური | | | | | |
| უჩა ლობჟანიძე | კრივბასი | ვორსკლა | გ 1:2 | 90 წთ | 16 თ |
| ჯაბა კანკავა | კრივბასი | ვორსკლა | გ 1:2 | 90 წთ, გააფრთხილეს | 14 თ |
| ალექსანდრე კობახიძე | არსენალი | დინამო კ. | გ 0:1 | 31 წუთი, შეცვლაზე | 16 თ, 2 გ |
| დავით თარგამაძე | ილიჩივეცი | ჩერნომორეცი | გ 0:1 | 90 წთ | 18 თ, 4 გ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | ილიჩივეცი | ჩერნომორეცი | გ 0:1 | არ უთამაშია | 6 თ |
| მურთაზ დაუშვილი | კარპატი | ზორია | გ 1:5 | 61 წთ, შეცვალეს | 1 თ |
| ჯაბა ლიპარტია | ზორია | კარპატი | შ 5:1 | არ უთამაშია | 18 თ, 1 გ |
| ჰოლანდია. ერედივიზიე. XXIII ტური | | | | | |
| გურამ კაშია | ვიტესი | გრააფსხაპი | 2:0 შ | 90 წუთი | 22 თ, 2 გ |
| გიორგი ჭანტურია | ვიტესი | გრააფსხაპი | 2:0 შ | არ უთამაშია | 19 თ, 3 გ |
| ვალერი ყაზაიშვილი | ვიტესი | გრააფსხაპი | 2:0 შ | არ უთამაშია | 3 თ, 1 გ |
| საბერძნეთი. სუპერლიგა. XXIII ტური | | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | ერგოტელისი | ასტერასი | 0:3 გ | არ უთამაშია | 18 თ, 1 გ |
| თურქეთი. სუპერლიგა. XXIX ტური | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ქაისერისფ. | მანისასფორი | 2:0 შ | 90 წთ, გააფრთხილეს | 24 თ, 1 გ |
| აკაკი ხუბუტია | სამსუნსფორი | ანთალიასფორი | 2:0 გ | 1 წთ, შეცვლაზე | 16 თ, 1 გ |
| შვეიცარია. ჩელენჯლიგა. XVIII ტური | | | | | |
| გიორგი ივანიშვილი | ბელინცონა | კარუჟი | 2:0 შ | არ უთამაშია | 15 თ, 3 გ |
| ავსტრია. ბუნდესლიგა. XXIII ტური | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | შტურმი | კაპფენბერგი | 0:0 გ | არ უთამაშია | 15 თ |
| კვიპროსი. I დივიზიონი. XXIII ტური | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ეთნიკოსი | ომონია | 1:1 გ | 90 წთ | 22 თ |
| ლევან ძეგაძე | ეთნიკოსი | ომონია | 1:1 გ | არ უთამაშია | 11 თ |
| დავით კვირკველია | ანორთოსისი | ანაგენისი | შ | დღეს | 3 თ |
| პოლონეთი. ექსტრაკლასა. XX ტური | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | პოლონია | ბელხატუვი | 1:2 გ | 90 წთ | 3 თ, 1 გ |
| ნიკა ძალამიძე | იაგიელონია | რუხი | 0:0 შ | არ უთამაშია | 14 თ, 1 გ |
| მერაბ გიგაური | იაგიელონია | რუხი | 0:0 შ | სათადარიგო | 2 თ |
| დანია. სუპერლიგა. XIX ტური | | | | | |
| დავით სხირტლაძე | ორჰუსი | ნორდსიელანდი | 1:1 შ | 87 წთ, შეცვალეს | 5 თ |
| დავით დევდარიანი | ორჰუსი | ნორდსიელანდი | 1:1 შ | არ უთამაშია | 4 თ |
| გიორგი დიასამიძე | ორჰუსი | ნორდსიელანდი | 1:1 შ | არ უთამაშია | 1 თ |
| უნგრეთი. XVIII ტური | | | | | |
| რატი ალექსიძე | დიორი ეტო | ჰალადაში | 1:1 გ | სათადარიგო | 15 თ, 3 გ |
| გიორგი განუგრავა | ზალაეგერსეგი | პეჩი | 0:0 შ | 90 წთ | 18 თ, 1 გ |
| მოლდოვა. დივიზია ნაციონალა. XVIII ტური | | | | | |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | კოსტულენი | 2:0 გ | 90 წთ | 18 თ, 3 გ |
| ფინეთი. ლიგის თასი | | | | | |
| ირაკლი სირბილაძე | ინტერი | ტურკუ | 0:2 გ | არ უთამაშია | - |
| აზერბაიჯანი. პრემიერლიგა. XXI ტური | | | | | |
| გიორგი ლომაია | ინტერი | ბაქი | 0:1 გ | 90 წთ | 19 თ |
| ვალერი აბრამიძე | ინტერი | ბაქი | 0:1 გ | 90 წთ | 20 თ, 1 გ |
| ბაჩანა ცხადაძე | ინტერი | ბაქი | 0:1 გ | 90 წთ, გააფრთხილეს | 19 თ, 5 გ |
| ილია კანდელაკი | ინტერი | ბაქი | 0:1 გ | 90 წთ | 17 თ, 2 გ |
| ალექს. გოგობერიშვილი | თურანი | ნეფთჩი | 0:1 შ | 90 წთ | 20 თ |
| გიორგი ბერიაშვილი | თურანი | ნეფთჩი | 0:1 შ | არ უთამაშია | 10 თ |
| ნუგზარ კვირტია | აზალ | ყარაბახი | 0:1 გ | 90 წთ | 19 თ |
| გიორგი ადამია | ყარაბახი | აზალ | 1:0 შ | 90 წთ | 20 თ, 5 გ |

სიტუაცია

# ალექსეი გოიხმანი: "ვოლგა" არასწორად იქცევა

"ლელო" წერდა, ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" გენერალურმა დირექტორმა **სერგეი ანისიმოვმა** კლუბის ყოფილი მოთამაშეების, **გოგიტა გოგუასა** და **ლაშა სალუქვაძის** ანგარიშების დაყადაღების შესახებ სკანდალური კომენტარი რომ გააკეთა: მისი თქმით, დასადგენია, მოთამაშეების კონტრაქტის შედგენის დროს კლუბის ყოფილ თავკაცებს რეალურად რა ზრახვები ჰქონდათ, ხელფასებზე სამჯერ-ოთხჯერ მეტ საკონტრაქტო თანხებს რატომ იხდიდნენ და საერთოდ, ამის მიღმა რა იმალებოდაო. მან ანგარიშების დაყადაღებაც გაამართლა და მოთამაშეთა წინაშე კლუბის დავალიანებაც კატეგორიულად უარყო.

ანისიმოვის განცხადებას ნიჟნელთა ყოფილი პრეზიდენტი **ალექსი გოიხმანი** გამოეხმაურა.

*„ჩემი აზრით, კლუბი არასწორად და არაპროფესიულად იქცევა. ძალიან სამწუხაროა, ახალი ხელმძღვანელობის ასეთი დამოკიდებულება იმ მოთამაშეებთან, რომლებმაც კლუბი საკუთარი ნებით არ დატოვეს.*

*უკვე მერვე თვეა, რაც კლუბში არ ვმუშაობ, მაგრამ რამდენადაც მახსოვს, მოთამაშეებთან კონტრაქტები რუსეთის კანონების შესაბამისად შევადგინეთ. უნდა დაველოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებებს. თუ მისი შედეგები რომელიმე მხარეს არ დააკმაყოფილებს, შესაძლოა, ეს პროცესი გაიწელოს და მხოლოდ რაიონულ სასამართლოში განხილვით არ შემოიფარგლოს. რამდენადაც ვიცი, კლუბის დღევანდელი ხელმძღვანელობა მოთამაშეებს აღებული თანხის ფინანსურ ანგარიშს სთხოვს. ვერ გეტყვით, ეს სამართლიანია თუ არა. როდესაც ხელშეკრულებებს ვაფორმებდით, 169-ე მუხლი წავიკითხე და იურისტებთან ერთად დავასკვენით, რომ ამგვარი ანგარიშები საჭირო არ იყო,"* - თქვა გოიხმანმა „ჩემპიონატ.კომ"-თან ინტერვიუში.

რეალურად, ახლა "ვოლგაში" ძველი და ახალი ხელმძღვანელობის ბრძოლა მიმდინარეობს. ცნობილია, რომ გოიხმანს კლუბში დაბრუნება სურს და სხვათა შორის, ასეთ შემთხვევაში, ქართველებს დაბრუნებას ჰპირდება. ახლები კი ექსპრეზიდენტის დისკრედიტაციას ამგვარად ცდილობენ და აშკარაა, კონტრაქტებში ფულის გათეთრებაზე მიანიშნებენ.

ჩვენი გასარჩევი არ იქნებოდა, რა ცოდვა-მადლი ტრიალებს რუსულ ფეხბურთში, ჩვენი პრობლემებიც თავზე საყრელად გვაქვს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რუსების დავაში ქართველები ზარალდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**



ალექსეი გოიხმანი

● ინტერვიუ ილია კოკაიასთან

# კარპატიმ ამ თაღლითურ სქემაზე პასუხი უნდა აგოს!

## როგორ მოვიპაროთ ფეხბურთელი ანუ თაღლითური სქემა ლვოვურად

**ლვოვის "კარპატიში" მურთაზ დაუშვილის ტრანსფერთან დაკავშირებით "ზესტაფონი" საგანგებო განცხადების გამოქვეყნებას გეგმავს. თუმცა მანამდე კლუბის პოზიცია "ზესტაფონის" პრეზიდენტმა ილია კოკაიამ "ლელოსთან" ვრცელ ინტერვიუში ჩამოაყალიბა და სხვა მრავალ საინტერესო თემასაც შეეხო.**



ილია კოკაია

### ამაში ფეხბურთელიც მონაწილეობდა

- ფეხბურთელი წავიდა ლვოვის "კარპატიში". მაგრამ დაუშვილს ტრანსფერი უკრაინის პირველი ლიგის კლუბში გაუფორმეს და მერე ვითომ იჯარით გაუშვეს "კარპატიში". ეს არის ტიპური თაღლითური სქემა, რადგან კლუბს უნდა, კომპენსაციას თავი აარიდოს. თუ ეს ლვოველებს დაუმტკიცდათ, მაშინ ფიფასგან სერიოზული სანქციები წამოვა. მაგრამ აქ ფეხბურთელის პასუხისმგებლობის საკითხიც დგას, ისიც ამ თაღლითური გარიგების თანამონაწილეა.

**- შეიძლება მოთამაშე მონაწილეობდეს ამ გარიგებაში? იქნებ, ხელი ისეთ საბუთებზე მოაწერინეს, რაზეც წარმოდგენა არ ჰქონდა?**

- რას ჰქვია, ხელი მოაწერინეს? პირველი ლიგის კლუბთან რომ გააფორმა კონტრაქტი და სულ სხვა კლუბში თამაშობს, მისთვის ეს ცნობილი არ იყო? გაიხსენეთ, როგორ მოიქცა ისეთი დიდი ვარსკვლავი, როგორიც სესკ ფაბრეგასია – მანამდე არ დაუბრუნდა მშობლიურ "ბარსელონას", ვიდრე "არსენალმა", რომელმაც მის ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში არანაკლები წვლილი შეიტანა, სოლიდური კომპენსაცია არ მიიღო. ფაბრეგასმა ფულის ნაწილი საკუთარი ჯიბიდან გაიღო!

თუ არ მონაწილეობდა ამ თაღლითურ გარიგებაში, მაშინ რა ინტერესი ჰქონდა დაუშვილს, ასე რომ გააკეთა?

**- უბრალოდ, საქართველოდან წასვლა სურდა.**





ბუბა დაუშვილი

- წასული არ იყო? ხელს ვერავინ უშლიდა. "კარპატისთან" წინასწარი კონტრაქტი გააფორმა, შეკრებებზე გაჰყვა, ამხანაგურები ითამაშა და როდესაც სატრანსფერო სერთიფიკატი უნდა გაგვეგზავნა, მოთხოვნა "ლვოვისგან" მოვიდა. ვიმეორებ, ეს არის თაღლითური სქემა. არ ვიცი, ეს უკრაინაში აპრობირებულია, თუ რა ხდება?

**- წლების წინ თქვენ სწორედ "კარპატის" გენერალურ მენეჯერად მუშაობდით. მაშინაც იგივეს აკეთებდნენ?**

- იმ დროს ფიფას აგენტი ვიყავი და "კარპატის" მეპატრონე დემინსკიმ კლუბის ჩამოყალიბებაში დახმარება მთხოვა. ლვოვშიც, "შერიფშიც" და ფეხბურთში ჩემი ყოფნის პერიოდში კლუბის საწინააღმდეგო ქმედებაზე მოთამაშისთვის არასოდეს მიბიძგია. კლუბი აუცილებლად უნდა დაკმაყოფილებულიყო. მქონია ფანტასტიკური შემოთავაზება, როდესაც კობიაშვილს "დორტმუნდი" ინვევდა, მაგრამ "დინამო" წინააღმდეგი წავიდა და მეც გავჩერდი.

**- კლუბის ინტერესი დაკმაყოფილდა, მაგრამ არა ფეხბურთელის – ჩემპიონთა თასის მფლობელი "დორტმუნდის" ნაცვლად, მეორე ბუნდესლიგის "ფრაიბურგში" წავიდა.**

- "დინამომ" გადაწყვიტა, რომ მისი "ფრაიბურგში" გაშვება სჯობდა. შესაძლოა, თავად ფეხბურთელიც ასე ფიქრობდა.

> "მომხდარზე საგამომძიებლო სტრუქტურებსაც ვაცნობებთ და ფეხბურთელს ძალიან დიდ პრობლემებს შევუქმნით. ყველამ იცოდეს - ფეხბურთელის ქურდობა არ შეიძლება!"

**- დაუშვილთან დაკავშირებით კითხვა თქვენთანაც იბადება: "კარპატისთან" გაფორმებული წინასწარი კონტრაქტის შემდეგ, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი გადაიყვანეთ "ზესტაფონის" დუბლებში და იქაც არ ათამაშებდით – რატომ?**

- ეს თემის უტრირებაა. ერთი წლით ადრე ბუბას ახალი კონტრაქტი ესპანურ შეკრებაზე ყოფნისას შევთავაზეთ, რაზეც ასეთი პირობა მოგვცა: მაცალეთ ნახევარი წელიწადი და ან ისეთ კონტრაქტს მოვიტან, რომ კლუბი კმაყოფილი დარჩეს, ან ახალ კონტრაქტს გავაფორმებო. გავიდა ექვსი თვე და დაკარგა ადგილი ნაკრებში, ჯერ შეცვალეს, მეორე შეხვედრაში კი აღარ დააყენეს. გია გეგუჩაძეს ვკითხე, "ზესტაფონში" შენც გამოცვალე და რა ხდება-მეთქი? დაუკლოო, ეს იყო სპეციალისტის აზრი. ამის შემდეგ დაუშვილი სალაპარაკოდ დავიბარე და შემომითვალა, არ მცალიაო. როდესაც ფეხბურთელს კლუბის პრეზიდენტთან სალაპარაკოდ არ გცალია, გასაგებია, რომ ფაქტობრივად, ჩემი ფეხბურთელი აღარ ხარ. ამ დროს გამოჩნდა "კარპატის" 88-ნომრიანი მაისურით. გეკითხებით, ხომ იყო თეორიული შანსი, რომ ევროპის ლიგაზე "კარპატის" შევხვედროდით?

**- ლვოველებს არ შეხვედრიხართ, მოთამაშის გამოყენება კი საქართველოს ჩემპიონატშიც შეიძლებოდა.**

- რანაირად შეიძლებოდა, როდესაც სხვა გუნდის მაისურა ეცვა და იქ წასვლაზე ფიქრობდა?

> "ერთი პრეცედენტი თუ გაუვიდათ, მერე ათასი მიებმება, ჩვენი კლუბები მუდამ დაზარალდებიან"

**- როგორ აპირებთ ამ ტრანსფერზე რეაგირებას?**

- ეს ამბავი ფედერაციის გარეშე არ მოგვარდება. ჩვენ ამ შემთხვევაში აბსოლუტურ თანხვედრაში ვართ, რადგან ერთი პრეცენდენტი თუ გაუვიდათ, მერე ათასი მიებმება, ჩვენი კლუბები მუდამ დაზარალდებიან და მერე ჩვენს მოთამაშეებს მესამე და მეოთხე ლიგის კლუბებიდან წაიყვანენ. მე არ შემიძლია მოთამაშე ზესტაფონის "მარგვეთში" გადმოვიყვანო და მერე ვითომ იჯარით დავიმატო? მაგრამ ეს არ უნდა იკადრო.

**- "ლვოვსა" და "კარპატის" ერთმანეთთან ქალაქის გარდა რამე აკავშირებთ?**

- ეტყობა, კავშირი აქვთ, თორემ როგორ შეიძლება, მოთამაშე ერთმა კლუბმა აიყვანოს და უცებ მეორეში გაუშვას? "ზესტაფონის" ინტერესის დასაცავად ბოლომდე ვიბრძოლებ, მეტსაც გეტყვით: ყველაფერს გავაკეთებთ, დემინსკის ფეხბურთში საქმიანობა რომ აუკრძალონ. ეს მათთვის პირველი სკანდალი არ არის, მის "საქმეებს" თავად უკრაინაშიც კარგად იცნობენ.





ნიკა გელაშვილი

დაუშვილის ტრანსფერში "კარპატის" ქმედებას ფიფაც შეაფასებს, შემდგომში ეს თაღლითური სქემა სხვამ რომ აღარ გამოიყენოს. მომხდარზე საგამომძიებლო სტრუქტურებსაც ვაცნობებთ, კვალიფიკაცია მოთამაშის ქმედებასაც რომ მიეცეს და ფეხბურთელს ძალიან დიდი პრობლემებს შევუქმნით. გული მტკივა, ასე რომ ვამბობ, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს - ფეხბურთელის ქურდობა არ შეიძლება. ქარხნიდან მანქანა რომ მოიპარო, როგორ კვალიფიცირდება? ჩემი პროდუქცია კი ფეხბურთელია და მპარავ?! როგორც ვიცი, ასეთი სქემა ადრე საქართველოშიც გამოიყენეს, მაგრამ ასე გაგრძელება არ შეიძლება.

### გელაშვილის ტრანსფერი: ბოხუმიდან 40 პროცენტი

**- გელაშვილზეც გკითხავთ იმას, რაზეც არავინ ლაპარაკობს: ნიკა იანვარში "ზესტაფონს" შეკრებაზე არ გაჰყვა და გავრცელებული ინფორმაციით, კატეგორიულად არ სურდა დარჩენა.**

- დიახ, ასე იყო.

**- ულტიმატუმი წამოგიყენათ?**

- არა, უბრალოდ თქვა, აღარ მინდა აქ თამაშიო. მისი კიდევ ერთი წლით დატოვება გვსურდა, მაგრამ ევროპაში სათამაშოდ მზად იყო. მეორე ბუნდესლიგისთვის კი დამენანა, მაგრამ ეს მისი გადაწყვეტილება იყო.

**- კლუბმა გელაშვილის წასვლით იხეირა?**

- "ზესტაფონი" სულ რაღაც 60 ათას ევროს მიიღებს. "ბოხუმს" ლიცენზირების პრობლემა აქვს და ამ თანხის გადახდაც პრობლემა იყო. ამიტომ შეთანხმებაზე წავედით, "ბოხუმიდან" ნიკას შემდგომი ტრანსფერის 40 პროცენტი "ზესტაფონს" ჩაერიცხება. ბუნდესლიგის შემთხვევაში, ეს საკმაოდ დიდი პროცენტია და თუ ნიკამ ასე გააგრძელა, დიდი შანსია, უკეთეს კლუბში გადავიდეს. "ზესტაფონში" მისი პროგრესირება აღარ მოხერხდებოდა და რადგან გუნდს სულითა და გულით ემსახურა, სიამოვნებით გავუშვი. ფეხბურთელებისგან ამას ვითხოვ, თუ ჩემთან არის, გულით ითამაშოს, თუ არადა, ჯობია წავიდეს.

> "მიმაჩნია, რომ ძლიერი კლუბი თბილისის გარდა სხვა ქალაქებშიც უნდა იყოს. ქართული ფეხბურთი მხოლოდ ასე განვითარდება"

... ცხინვალის "სპარტაკთან" მოგებული თამაშის შემდეგ, გასახდელში შევედი და ბიჭებს გავეხუმრე, ამიერიდან მოგებისთვის პრემიის ნაცვლად გაზეთში დიდ მადლობას გამოგიცხადებთ-მეთქი. მანამდე დაუშვილმა და ძარიამ "ლელოში" მადლობები არ გადაგვიხადეს? მეც ასე რომ მოვიქცე, ეს მოთამაშეებისთვის საკმარისი იქნება? ცხადია, ეს ხუმრობით. ძარია თითქოს უკრაინაში მიდიოდა საცხოვრებლად, თუ არადა, "ზესტაფონში" დავბრუნდებიო, მაგრამ "დინამოში" აღმოჩნდა. გულშემატკივრისთვის იყო საწყენი მისი კონკურენტ გუნდში გადასვლა, მაგრამ კლუბთან კონფლიქტი არ ჰქონია. თანაც თქვა, "დინამოში" თამაში ჩემი ბავშვობის ოცნება იყოო და ხელი როგორ შეგვეშალა? პირიქით, გადავიდა და გუნდში საუკეთესოა. ღმერთმა გაუმარჯოს.

**- მოდით, გულწრფელად ვთქვათ, "დინამო" მხოლოდ მოთამაშეთა საოცნებო კლუბი არაა. თქვენ რა, ასეთი კლუბის პრეზიდენტობას არ ინატრებდით?**

- რატომაც არ ვინატრებდი, მაგრამ ბიზნესი ზესტაფონში მქონდა და კლუბის დაფუძნებაც იქ გადავწყვიტე. მიმაჩნია, რომ ძლიერი კლუბი თბილისის გარდა სხვა ქალაქებშიც უნდა იყოს. ქართული ფეხბურთი მხოლოდ ასე განვითარდება.

**- რა თქმა უნდა... სხვათა შორის, გავრცელდა ხმები, რომ ძარიასთან ერთად, "დინამოს" გელაშვილისა და დვალის გადაყვანაც სურდა, დიდ ხელფასებსაც შეპირდნენ და ამის გამო თბილისელთა მეპატრონე რომან ფიფიასთან კონფლიქტი გქონდათ - ეს ჭორია თუ მართალი?**

- აბსოლუტური სიცრუეა! რომან ფიფიასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და "დინამო" მოთამაშეებს რა თანხებს შესთავაზებს, ეს მისი საქმეა და არა ჩემი. თუ ქართულ ბაზარზე ამით აიწევა ჩვენ მოთამაშეების ფასი და 2-3 ათასის ნაცვლად, ხვალ 30 ათასს გადავუხდით, ეს უკეთესია და ჩვენს ფეხბურთელებს "კარპატისნაირი" გუნდები ველარ წაიყვანენ.

მაგრამ ყველაფერს თავისი ფასი აქვს. ჩვენი ბიუჯეტი 4 მილიონია. მიმაჩნია, რომ დღეს საქართველოს ჩემპიონატში მეტი არც არის საჭირო. უკრაინელები ყოველ წელს ჩემპიონთა ლიგაში ხვდებიან და 70 და 100-მილიონიანი ბიუჯეტებიც აქვთ. თუმცა ჩვენ 4 მილიონს იმდენივე მოგების მოტანა შეუძლია, რასაც უკრაინელები 40-50 მილიონით აღწევენ. ქართული ფეხბურთი ამით არის მიმზიდველი.

### ფიფაში ლობისტი გვჭირდება

**- "ზესტაფონი" პოლ კესანიმ რასიზმის მომიზეზებით დატოვა. კლუბისგან უკომპენსაციოდ თავის დასაღწევად აფრიკელი ფეხბურთელები ხშირად სწორედ ამით აპელირებენ...**

- კესანისაც და სხვა ბევრ აფრიკელსაც კლუბი არარსებული მიზეზით დაუტოვებიათ, მაგრამ რასიზმი ისეთი სათუთი თემაა, როგორც ჩანს, ფიფას კანონმდებლობაში ბევრ ხარვეზს წარმოქმნის.

**- ფიფა ჩვენზე წარმატებული და მდიდარი საფეხბურთო ქვეყნებიდან შესულ საჩივრებსაც უფრო ოპერატიულად იხილავს, ყველა ქვეყანა ერთნაირ მდგომარეობაში არ არის.**

- სამწუხაროდ, ასეა. ჩვენნაირ ქვეყნებს არ აქვთ იმხელა ავტორიტეტი, ფიფაში მის პრობლემებს განსაკუთრებული გულისხმიერებით რომ მიუდგნენ. ის ფაქტი, რომ ფიფას წარმომადგენლები წერილებში ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს "ჩემო მეგობარო"-თი მიმართავენ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველთა მიმართ განსაკუთრებული მეგობრული გრძნობები აქვთ.

მეტიც, ბოლო დროს კონფლიქტური საკითხები ქართული ფეხბურთის სუბიექტების საწინააღმდეგოდ წყდებოდა. ოთხი წელი ვიბრძოდით, ჩეხურ კლუბს გიორგი განუგრავას კომპენსაცია რომ გადაეხადა.

>> მე-4 გვერდზე

## ფეხბურთი



ილია კოკაია (მარცხნივ) და ზვიად სიჭინავა

# კარპატიმ ამ თაღლითურ სქემაზე პასუხი უნდა აგოს

## როგორ მოვიპაროთ ფეხბურთელი ანუ თაღლითური სქემა ლვოვურად

» მე-3 გვერდიდან

ჩვენი საკითხები საკმაოდ არაოპერატიულად იხილება, კესანისა და ჩისამბა ლუნგუს ამბავიც გავიხსენოთ, წავიდნენ და კლუბები მშრალზე დატოვეს, ჩვენ კი ფიფა არ დაგვეხმარა.

**- პირადად თქვენ არ გაქვთ ფიფას შტაბბინაში მისვლისა და ვითარების ადგილზე გარკვევის საშუალება?**

> ჩვენნაირ ქვეყნებს არ აქვთ იმხელა ავტორიტეტი, ფიფაში მის პრობლემებს განსაკუთრებული გულისხმიერებით რომ მიუდგნენ

- კლუბს ამის უფლება არც აქვს, ეს მხოლოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეროგატივაა. "შერიფში" საკმაო ხანი ვმუშაობდი და იყო შემთხვევა, "სტიაუა" ამგვარად ცდილობდა ტირასპოლური კლუბის მოთამაშის გადაბირებას. მოლდოვას ფეხბურთის ფედერაციის წერილის საფუძველზე ფიფამ მოთამაშეს ოპერატიულად გამოუტანა ოთხლიანი დისკვალიფიკაცია, გარიგებაში მონაწილე პირებს კი ფეხბურთში საქმიანობა აუკრძალა. ფედერაციის ხელმძღვანელებს ამაზე ველაპარაკე, გამაგებინეთ, რატომ არის ფიფა ქართული ფეხბურთის მიმართ ასე არაკონსტრუქციულად განწყობილი-მეთქი?

**- იქნებ იმიტომ, რომ ჩვენს კლუბებს უფრო მეტად აქვთ სამართლებრივი მხარე მოსაგვარებელი, ვიდრე იმავე მოლდოვურ კლუბებს და ჩვენი ნაკლებად სჯერათ?**

- ვერ გეტყვით, პრობლემები მართლაც არის. მაგრამ, გვყავს კი ფიფასა და უეფაში ჩვენი კოორდინატორი?

**- ლობისტი ყველა სფეროში აუცილებელია. სხვაგვარად, ჩვეულებრივზე უკეთეს გრანტსაც არ გამოყოფენ.**

- მეც მაგას ვამბობ. ნურავინ მოიტყუებს თავს, რომ მსოფლიო და ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოები ქართული ფეხბურთის ინტერესებს თავისთავად გაითვალისწინებენ. თუ ამ ორგანიზაციებში ჩვენი ლობისტი არ გვეყოლება, გნებავთ ქართველი და გნებავთ უცხოელი, იქ სერიოზული საკითხების გატანის შანსი არ გვექნება. ამ მხრივ კლუბს გაცილებით ნაკლები გასაქანი აქვს, ვიდრე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომელსაც ამ მიმართულებით უფრო აქტიური მუშაობა მართებს.

**- ფიფასა და უეფაში საკმაოდ კარგი კავშირები აქვთ მერაბ ჟორდანიას, ნოდარ ახალკაცსა და დავით პეტრიაშვილს, მაგრამ მათ ვერ ვიყენებთ.**

- თითოეული მათგანი დღეს თავის ცოდნასა და გამოცდილებას წარმატებით იყენებს – ჟორდანია "ვიტესის" პრეზიდენტია; ახალკაცი ფიფაში მუშაობს, მნიშვნელოვან შეკრებებს ესწრება და წელს ევროპის ჩემპიონატზე დირექტორად დანიშნეს; პეტრიაშვილი კი ორივე ორგანიზაციაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. სულაც არ არის შეუძლებელი, რომ თითოეულმა მათგანმა ქართული ფეხბურთის საქმე თანამდებობის შეუცვლელად აკეთოს. საქართველოში ცოტა მოსახლეობაა და არც ერთი ასეთი ადამიანის დაკარგვის უფლება არ გვაქვს. ცუდია, ჰოლანდიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კლუბის პრეზიდენტი ქართველი რომ არის და სამი მოთამაშე რომ წაიყვანა? ასეთ ადამიანებს გვერდში რომ ვერ ვიყენებთ, ალბათ, ამის მიზეზი შურია.



### სახელმწიფო და ფეხბურთი

**- მთავრობაში ბენდუქიძისა და ნოლაიდელის ყოფნის დროს სახელმწიფო კლუბებს აღარ აფინანსებდა და ვამბობდით, სახეობა გაწირესო. ახლა ხელისუფლება ფეხბურთს აფინანსებს და ამ სფეროში რატომ ერევაო. გასაგებია, რომ ზომიერებაა საჭირო, მაგრამ სად არის საქართველოში თუნდაც 20 კოკაია, ფიფია, ჩიხრაძე, რუხაძე, პატარკაციშვილის ოჯახი, რომლებიც კლუბებს მიხედავენ?**

- სახელმწიფოს ფეხბურთი რომ აინტერესებს, ეს ძალიან კარგია და ჩემი აზრით, თანხები სწორედ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე უნდა დაიხარჯოს. არა მგონია, სახელმწიფომ მისგან დაფინანსებული კლუბები თვითდინებაზე მიუშვას და უწინდელივით კლოუნადების მოწყობის უფლება მისცეს, რადგან ხელისუფლებას ფეხბურთის განვითარება ნამდვილად უნდა.

აქვე ჩემპიონატის სისტემაზეც ვიტყვი: ამ სისტემამ არ გაამართლა. შეკრებიდან ჩამოსვლის შემდეგ უმაღლეს ლიგაში სამი შეხვედრა მოვიგეთ, მაგრამ საუკეთესო რვა გუნდში რომელიმესთან მოპოვებული ქულები გადმოგვყვება? ბოლო ტურში "ვიტ ჯორჯიას" რომ მოვუგოთ, რაში გამოგვადგება? არადა, თითოეულ ქულას ფასი უნდა ჰქონდეს.

**- 16-გუნდიან ჩემპიონატზე რას ფიქრობთ?**

- ფედერაციამ ყველაზე კარგი ის გააკეთა, რომ აღარავის აძლევს "ყანაში" თამაშის უფლებას. მთავარია, იყოს მოედნები, ინფრასტრუქტურა და გუნდების სათანადოდ დაფინანსება. ასეთ შემთხვევაში, იდეალური ჩემპიონატი იქნება. სასურველია, მეტი კერძო კლუბი გვყავდეს. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს დაფინანსება უფრო ეფექტური გახდება.

მთელი ევროპა კრიმინალური გარიგებებითაა შეძრული, სხვადასხვა ქვეყანაში უამრავი ადამიანი დააკავეს, რომლებმაც ფეხბურთი გარყვნეს, თაღლითური სქემების გამოყენებით სახელმწიფოს კუთვნილი შემოსავალი დაუმალეს. სახელმწიფო ფულს რომ ხარჯავს, მან უკუგებაც უნდა მიიღოს და მწვრთნელსაც უნდა ესმოდეს და ფეხბურთელსაც, თუ რაში იღებენ მონაწილეობას.

ჩვენი ბაზარიც დასალაგებელია... ნაკრებისა და კლუბების წარმატებასა თუ წარუმატებლობაში ყველას თავისი წილი პასუხიმგებლობა გვაქვს, მათ შორის ფეხბურთელებსაც. სამწუხაროდ, ქართული ფეხბურთი თითქმის ყველამ პირადი კეთილდღეობისა და კარიერისთვის გამოიყენა.

არც ხორვატებს ჰქონდათ დიდი ფული, პირიქით, ბალკანეთიდან აქ ჩამოგვყავს მათი მწვრთნელები და მოთამაშეები, მაგრამ სწორი და ეფექტური მენეჯმენტის პირობებში მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავეს. მთავარია, საქმეს როგორ მიუდგები.

> ქართული ფეხბურთი თითქმის ყველამ პირადი კეთილდღეობისა და კარიერისთვის გამოიყენა

**- ბოლოს ისევ "ზესტაფონზე" გკითხავთ: ალბათ, ბოლოდროინდელმა შედეგებმა გუნდის სამწვრთნელო შტაბისადმი ნდობა უფრო გაზარდა.**

- სამწვრთნელო შტაბს ჩემგან ასპროცენტიანი ნდობა აქვს, თუმცა მეც და კლუბის თითოეულმა ნევრმაც კარგად ვიცით, რომ მიღწეულზე შეჩერება არ შეიძლება და მუშაობა გაორმაგებული ენერგიით უნდა განვაგრძოთ.

**მერაბ მამულაშვილი**
**ლევან ჯანეზაშვილი**

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXII ტური

| | |
|---|---|
| ჰალეშერი-ჰანოვერი II | 2:1 |
| ბერლინერი-ვილჰელმსჰაფენი | 1:1 |
| კილი-ჰაველსე | 1:0 |
| ვოლფსბურგი II-მეპენი | 3:0 |
| კოტბუსი II-პლაუენი | 2:2 |
| გერმანია-ჰამბურგი II | 2:2 |
| ლაიფციგი-ლიუბეკი | 1:0 |
| მოისელვიცი-მაგდებურგი | 0:0 |
| სტ. პაული II-ვერდა II | 2:1 |

### რეგიონალლიგა (სამ)

XXII ტური

| | |
|---|---|
| აინტრახტი II-პფულენდორფი | 4:0 |
| ზონენჰოფი-ბაიერნი II | 3:2 |
| მიუნხენი II-ვორმატია | 0:2 |
| ბაიერნი (ა)-შტ. კიკერსი | 1:3 |
| ფიურტი II-კასელი | 1:1 |
| მანჰაიმი-კარლსრუე II | 2:0 |
| ფრაიბურგი II-ნიურნბერგი II | 0:1 |
| ფრანკფურტი II-ინგოლშტადტი II | 1:2 |

### რეგიონალლიგა (დას)

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ელვერსბერგი-ლევერკუზენი II | 1:0 |
| დორტმუნდი II-შალკე II | 2:1 |
| კობლენცი-კაიზერი II | 2:3 |
| კიოლნი II-ლოტე | 1:1 |
| ფორტუნა (კ)-ვიდენბრუკი | 3:1 |
| ფორტუნა II-ოგერშჰაიმი | 3:1 |
| მაინცი II-ტრირი | 0:1 |
| გლადბახი II-ბოხუმი II | 3:1 |
| ვერლი-ვუპერტალი | 1:0 |

## ავსტრია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| რაპიდი-რიდი | 1:0 |
| ადმირა-ვინერი | 2:0 |
| ტიროლი-აუსტრია | 0:1 |
| ზალცბურგი-მატერსბურგი | 0:1 |
| კაპფენბერგი-შტურმი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რაპიდი | 23 | 9 | 11 | 3 | 31-19 | 38 |
| 2. აუსტრია | 23 | 9 | 8 | 6 | 37-31 | 35 |
| 3. ზალცბურგი | 22 | 9 | 7 | 6 | 33-21 | 34 |
| 4. შტურმი | 23 | 8 | 9 | 6 | 34-28 | 33 |
| 5. რიდი | 23 | 8 | 8 | 7 | 30-26 | 32 |
| 6. ადმირა | 22 | 8 | 7 | 7 | 33-31 | 31 |
| 7. ტიროლი | 22 | 6 | 10 | 6 | 22-26 | 28 |
| 8. მატერსბურგი | 23 | 6 | 8 | 9 | 28-28 | 26 |
| 9. ვინერი | 22 | 5 | 9 | 8 | 17-29 | 24 |
| 10. კაპფენბერგი | 21 | 3 | 5 | 13 | 14-40 | 14 |

## კვიპროსი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| არისი-ოლიმპიაკოსი | 2:3 |
| ენოსისი-ნეა სალამისი | 1:2 |
| ერმისი-აპოელ | 1:4 |
| ალკი-აპოლონი | 2:1 |
| აელ-აეკ | 2:0 |
| ომონია-ეთნიკოსი | 1:1 |
| ანორთოსისი-ანაგენისი | დღეს |

## დანია

XIX ტური

| | |
|---|---|
| აგფ ორჰუსი-ნორდშილანდი | 1:1 |
| მიდტიულანდი-ლუნგბიუ | 1:2 |
| ჰორსენსი-კიოგე | 2:1 |
| ბრონდბიუ-სონდერიისკი | 1:0 |
| ოლბორგი-კოპენჰაგენი | 1:1 |
| ოდენსე-სილკებორგი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 19 | 12 | 4 | 3 | 32-17 | 40 |
| 2. ნორდშილანდ | 19 | 11 | 3 | 5 | 26-14 | 36 |
| 3. ჰორსენსი | 19 | 9 | 5 | 5 | 32-23 | 32 |
| 4. აგფ ორჰუსი | 19 | 7 | 9 | 3 | 25-17 | 30 |
| 5. მიდტიულანდ | 19 | 9 | 3 | 7 | 28-28 | 30 |
| 6. ოლბორგი | 19 | 7 | 6 | 6 | 28-26 | 27 |
| 7. სილკებორგი | 18 | 7 | 5 | 6 | 28-25 | 26 |
| 8. ოდენსე | 18 | 7 | 4 | 7 | 32-30 | 25 |
| 9. ბრონდბიუ | 19 | 5 | 6 | 8 | 21-23 | 21 |
| 10. სონდერიისკი | 19 | 5 | 6 | 8 | 21-29 | 21 |
| 11. ლუნგბიუ | 19 | 4 | 3 | 12 | 19-34 | 15 |
| 12. კიოგე | 19 | 1 | 4 | 14 | 17-43 | 7 |

## რუსეთი

XXX ტური

### საჩემპიონო ზონა

| | |
|---|---|
| ცსკა-ზენიტი | 2:2 |
| ლოკომოტივი-ყუბანი | 2:0 |
| დინამო (მ)-ანჟი | დღეს |
| რუბინი-სპარტაკი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 33 | 18 | 12 | 3 | 63-28 | 66 |
| 2. ცსკა | 33 | 16 | 12 | 5 | 62-35 | 60 |
| 3. დინამო | 32 | 17 | 7 | 8 | 53-33 | 58 |
| 4. სპარტაკი | 32 | 16 | 9 | 7 | 51-34 | 57 |
| 5. ლოკომოტივი | 33 | 16 | 8 | 9 | 52-34 | 56 |
| 6. რუბინი | 32 | 15 | 10 | 7 | 44-28 | 55 |
| 7. ანჟი | 32 | 14 | 10 | 8 | 40-33 | 52 |
| 8. ყუბანი | 33 | 14 | 8 | 11 | 40-32 | 50 |

### გასავარდნი ზონა

| | |
|---|---|
| ტერეკი-ტომი | 1:0 |
| ვოლგა-ნალჩიკი | 1:0 |
| კრასნოდარი-როსტოვი | დღეს |

## სლოვენია

XXII ტური

| | |
|---|---|
| დომჟალე-კოპერი | 1:0 |
| ნაფტა-ოლიმპია | 0:6 |
| გორიცა-ცელიე | 1:1 |
| რუდარი-მურა | 1:2 |
| ტრიგლავი-მარიბორი | 2:1 |

## საბერძნეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| პანიონიოსი-ატრომიტოსი | 1:2 |
| არისი-აეკ | 1:0 |
| ქსანთი-პანაიტოლიკოსი | 0:1 |
| ასტერასი-ერგოტელისი | 3:0 |
| ლევადია-კერკირა | 4:3 |
| დოქსა-იანინა | 1:0 |
| ოფი-ოლიმპიაკოსი | 0:2 |
| პანათინაიკოსი-პაოკ | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 23 | 17 | 4 | 2 | 50-14 | 55 |
| 2. პანათინაიკოს | 23 | 17 | 3 | 3 | 43-18 | 54 |
| 3. პაოკ | 23 | 12 | 6 | 5 | 32-17 | 42 |
| 4. აეკ | 23 | 11 | 5 | 7 | 28-24 | 38 |
| 5. ატრომიტოსი | 22 | 10 | 7 | 5 | 24-20 | 37 |
| 6. ასტერასი | 23 | 10 | 4 | 9 | 17-20 | 34 |
| 7. არისი | 23 | 8 | 9 | 6 | 22-18 | 33 |
| 8. ოფი | 23 | 9 | 6 | 8 | 23-21 | 33 |
| 9. ქსანთი | 23 | 8 | 5 | 10 | 24-25 | 29 |
| 10. ლევადია | 21 | 7 | 4 | 10 | 19-29 | 25 |
| 11. ერგოტელისი | 23 | 6 | 5 | 12 | 20-33 | 23 |
| 12. პანიონიოსი | 23 | 6 | 5 | 12 | 18-24 | 23 |
| 13. პანაიტოლიკ | 23 | 5 | 6 | 12 | 15-28 | 21 |
| 14. იანინა | 21 | 4 | 6 | 11 | 17-26 | 18 |
| 15. კერკირა | 22 | 4 | 6 | 12 | 18-33 | 18 |
| 16. დოქსა | 21 | 4 | 3 | 14 | 9-29 | 15 |

### II დივიზიონი

XVII ტური

პლატანიასი-კალონისი 3:0; ლარისა-ფოკიკოსი 0:0; ეთნიკოსი-აგროტიკოსი 0:0; კალითეა-ანაგენისი (ი) 1:0; პანახაიკი-ვიცასი 1:0; პიერიკოსი-ირაკლისი (პ) 1:0; ტრასივულოსი-ანაგენისი (ე) 2:1; პანთრაკიკოსი-დიაგორასი გადაიდო; ვერია-პანსერაიკოსი დღეს.

## შვეიცარია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| თუნი-სერვეტი | 1:0 |
| ციურიხი-სიონი | 0:1 |
| ბაზელი-ლუცერნი | 3:1 |
| ლოზანა-იანგ ბოიზი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 22 | 13 | 7 | 2 | 44-20 | 46 |
| 2. ლუცერნი | 23 | 10 | 7 | 6 | 30-20 | 37 |
| 3. იანგ ბოიზი | 23 | 9 | 8 | 6 | 32-22 | 35 |
| 4. თუნი | 22 | 8 | 7 | 7 | 25-23 | 31 |
| 5. სერვეტი | 22 | 9 | 3 | 10 | 30-34 | 30 |
| 6. ციურიხი | 23 | 7 | 5 | 11 | 30-30 | 26 |
| 7. გრასჰოპერსი | 22 | 6 | 2 | 14 | 20-42 | 20 |
| 8. ლოზანა | 21 | 3 | 5 | 13 | 16-44 | 14 |
| 9. სიონი | 22 | 10 | 5 | 7 | 27-19 | -1 |
| 10. ქსამაქსი | 18 | 7 | 5 | 6 | 22-22 | 26* |

ქსამაქსი მოხსნილია გათამაშებიდან

### ჩელენჯლიგა

XVIII ტური

ნიონი-სტ. გალენი 0:3; ბელინცონა-ეტ. კარუჟი 2:0; ლუგანო-კიასო 1:1; ვილი-ვადუცი 1:2; ვინტერტური-კრინსი 4:1; დელემონი-ბილი 1:2; ბრიული-ლოკანო 0:6; ვოლენი-არაუ დღეს.

## უელსი

IV ტური

| | |
|---|---|
| აფან ლიდო-კარმარტენი | 5:1 |
| ტნს-ბალა | 3:2 |
| პორტ ტელბოტი-ნიუთაუნი | 1:1 |
| პრესტატინი-ლანელი | 1:2 |
| ბანგორი-ნითი | 1:3 |
| ეირბასი-აბერისტვითი | 3:2 |

## ბულგარეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ბოტევი-სლავია | 0:1 |
| კალიაკრა-მონტანა | 2:3 |
| ლუდოგორეცი-ბეროე | 3:0 |
| ლიტექსი-რაკოვსკი | 3:0 |
| ლევსკი-ჩერნო მორე | 2:1 |
| მინიორი-სვეტკავიცა | 3:0 |
| ჩერნომორეცი-ცსკა | 2:0 |

## ხორვატია

XX ტური

| | |
|---|---|
| ინტერი-სლავენი | 0:1 |
| ზაგრები-ჰაიდუკი | 2:4 |
| სიბალია-კარლოვაცი | 2:0 |
| ისტრა-ვარაჟდინი | 2:1 |
| ზადარი-შიბენიკი | 0:1 |
| სპლიტი-ლუჩკო | 1:1 |
| დინამო-ოსიეკი | 1:0 |
| რიეკა-ლოკომოტივა | 0:0 |

## უკრაინა

XXI ტური

| | |
|---|---|
| ზორია-კარპატი | 5:1 |
| ოლექსანდრია-ვოლინი | 0:1 |
| ჩერნომორეცი-ილიჩივეცი | 1:0 |
| მეტალისტი-ობოლონი | 1:0 |
| ვორსკლა-კრივბასი | 2:1 |
| შახტარი-დნიპრო | 1:1 |
| დინამო-არსენალი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 21 | 17 | 4 | 0 | 42-8 | 55 |
| 2. შახტარი | 21 | 16 | 4 | 1 | 55-13 | 52 |
| 3. მეტალისტი | 21 | 15 | 5 | 1 | 39-16 | 50 |
| 4. დნიპრო | 21 | 10 | 4 | 7 | 32-26 | 34 |
| 5. კრივბასი | 21 | 9 | 4 | 8 | 19-21 | 31 |
| 6. ტავრია | 20 | 8 | 6 | 6 | 29-24 | 30 |
| 7. არსენალი | 21 | 8 | 6 | 7 | 23-18 | 30 |
| 8. მეტალურგი | 20 | 9 | 2 | 9 | 25-22 | 29 |
| 9. ვორსკლა | 21 | 7 | 6 | 8 | 27-30 | 27 |
| 10. ჩერნომორეცი | 21 | 6 | 6 | 9 | 18-25 | 24 |
| 11. ილიჩივეცი | 21 | 6 | 5 | 10 | 20-31 | 23 |
| 12. ვოლინი | 21 | 6 | 4 | 11 | 19-31 | 22 |
| 13. კარპატი | 21 | 3 | 7 | 11 | 18-35 | 16 |
| 14. ზორია | 21 | 4 | 3 | 14 | 20-41 | 15 |
| 15. ოლექსანდრია | 21 | 3 | 5 | 13 | 17-40 | 14 |
| 16. ობოლონი | 21 | 2 | 5 | 14 | 10-32 | 11 |

## ჩეხეთი

XIX ტური

| | |
|---|---|
| დუკლა-სლოვაცკო | 2:0 |
| ტეპლიცე-ლიბერეცი | 1:0 |
| პრშიბრამი-ჰრადეცი | 0:0 |
| სპარტა-პლზენი | 1:3 |
| იაბლონეცი-ბუდეიოვიცე | 1:1 |
| ბოლესლავი-სლავია | 3:2 |
| სიგმა-ვიქტორია | 2:1 |
| ბოჰემიანსი 1905-ბანიკი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტა | 19 | 14 | 1 | 4 | 35-16 | 43 |
| 2. ლიბერეცი | 19 | 12 | 4 | 3 | 43-21 | 40 |
| 3. პლზენი | 19 | 11 | 4 | 4 | 46-27 | 37 |
| 4. ბოლესლავი | 19 | 11 | 4 | 4 | 34-21 | 37 |
| 5. იაბლონეცი | 19 | 9 | 5 | 5 | 43-22 | 32 |
| 6. პრშიბრამი | 19 | 9 | 2 | 8 | 28-30 | 29 |
| 7. ტეპლიცე | 19 | 8 | 4 | 7 | 22-23 | 28 |
| 8. დუკლა | 19 | 7 | 6 | 6 | 26-21 | 27 |
| 9. სლოვაცკო | 19 | 7 | 2 | 10 | 16-22 | 23 |
| 10. ჰრადეცი | 19 | 6 | 5 | 8 | 15-23 | 23 |
| 11. სლავია | 19 | 5 | 7 | 7 | 17-23 | 22 |
| 12. ბოჰემიანსი | 18 | 5 | 4 | 9 | 14-32 | 19 |
| 13. ბუდეიოვიცე | 19 | 4 | 6 | 9 | 21-34 | 18 |
| 14. სიგმა | 19 | 5 | 8 | 6 | 18-21 | 14 |
| 15. ბანიკი | 18 | 2 | 5 | 11 | 15-31 | 11 |
| 16. ვიქტორია | 19 | 2 | 1 | 16 | 12-38 | 7 |

### II დივიზიონი

XVII ტური

სპარტა II-სლოვანი 0:1; ტრშინეციკარვინა 2:0; უსტი-იჰლავა 0:0; ვლაშიმოპავა 1:1; სეზიმოვო-ბოჰემიანსი 2:4; ბრნო-სოკოლოვი 1:0; ჩასლავი-მოსტი 1:2; ზნოიმო-ჟლინი 4:1.

## უნგრეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ვაშაში-ჰონვედი | 1:2 |
| ფეჰერვარი-კაპოშვარი | 2:0 |
| ზალაეგერსეგი-პეჩი | 0:0 |
| უიპეშტი-შიოფოკი | 1:1 |
| ლომბარდ პაპა-პაკში | 1:0 |
| ფერენცვაროში-დებრეცენი | 1:2 |
| კეჩკემეტი-დიოშდიორი | 1:0 |
| ჰალადაში-დიორი | 1:1 |

## მოლდოვა

XVIII ტური

| | |
|---|---|
| კოსტულენი-შერიფი | 0:2 |
| ოლიმპია-დაჩია | 0:1 |
| ისკრა-მილამი | 0:1 |
| ზიმბრუ-ნისტრუ | 3:0 |
| ტირასპოლი-ცსკა | 0:1 |
| სფინტული-აკადემია | 0:2 |

## პოლონეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| კორონა-პოდბესკიძე | 2:0 |
| კრაკოვია-ზაგლებე | 0:2 |
| ბელხატოვი-პოლონია | 2:1 |
| ლეგია-ლკს | 2:0 |
| ლეჩია-ვისლა | 0:2 |
| ვიძევი-შლიონსკი | 2:2 |
| იაგელონია-რუხი | 0:1 |
| ლეხი-გურნიკი | დღეს |

## რუმინეთი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ბრაშოვი-პანდური | 2:1 |
| კლუჟი-ტარგუ | 1:0 |
| ვოინტა-ასტრა | 1:0 |
| რაპიდი-უნივერსიტატეა | 1:1 |
| დინამო-გაზ მეთანი | 2:0 |
| პეტროლული-ვასლუი | 1:2 |
| მიოვენი-სტიაუა | 0:1 |
| ჩახლაული-სპორტული | დღეს |
| კონკორდია-ოცელული | დღეს |

## სერბეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ბორაცი-იავორი | 1:0 |
| სევოინო-იაგოდინა | 1:2 |
| ბასკ-პარტიზანი | 1:1 |
| ცრვენა ზვეზდა-სპარტაკი | 1:0 |
| ბორჩა-სმედერევო | 0:1 |
| მეტალაკი-რადი | 0:1 |
| ჰაიდუკი-ოფკ | 1:2 |
| რადნიჩკი-ვოივოდინა | 0:0 |

## სლოვაკეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| შენიცა-ნიტრა | 3:1 |
| სლოვანი-დ. სტრედა | 3:1 |
| ტატრანი-კოშიცე | 0:1 |
| ტრნავა-მორავცე | 1:0 |
| ჟილინა-რუჟომბეროკი | 2:1 |
| ტრენჩინი-ბისტრიცა | 2:2 |

## არგენტინა

IV ტური

| | |
|---|---|
| ნიუელსი-ბელგრანო | 0:2 |
| ბანფილდი-გოდოი | 1:1 |
| ოლ ბოისი-ველესი | 0:0 |
| ინდეპენდიენტე-არგ. ხუნიორსი | 1:3 |
| სან მარტინი-ესტუდიანტესი | 0:1 |
| სან ლორენსო-ბოკა ხუნიორსი | 0:2 |
| უნიონი-კოლონი | 2:2 |
| არსენალი-რასინგი | შვ. დასრულდა |
| ტიგრე-ლანუსი | შვ. დასრულდა |

## ფინეთი

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| მიპაა-ჰიკ | 3:1 |

ესპანეთი. ლა ლიგა. XXV ტური

# რეალმა (სხვა) ბარსელონა დაიფრინა

## სეზონი კოვზით ილევა, 10 ქულა კი 10 ქულად რჩება

მადრიდში ახლა ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ „სამეფო კლუბმა" შესაძლოა, სეზონის მერე **სერხიო აგუერო გონსალო იგუაინში** გაუცვალოს „მანჩესტერ სიტის". რას იზამ, სხვა ინტრიგა არც არსებობს და... გუშინ „რეალს" „ესპანიოლთან" პრობლემა არ შექმნია, **კრიშტიანო რონალდომ** კი თავისი 30-ე გოლი გაიტანა სეზონში. წუხელ „რეალმა" „ესპანიოლს" 5 უპასუხო გოლი გაუტანა და 3 წლის წინ დაკარგულ ტიტულს მიუახლოვდა.

### პელეგრინი: ჩემპიონთა ლიგისკენ ჰერი ჰერი!

**მანუელ პელეგრინის** „მალაგა" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის კვლავ წარმატებულად იბრძვის. ანდალუსიელებმა ნოემბრის შემდეგ პირველად იმარჯვეს სტუმრად, „ხეტაფე" 3:1 დაამარცხეს, არადა პირველი ტაიმის შემდეგ აგებდნენ. **ლუის გარსიას** გუნდი აშკარად უკეთესი იყო პირველ ნახევარში და „ხეტაფემ" ნამდვილად დაიმსახურა **დიეგო კასტროს** გოლი ტაიმის მიწურულს - მარჯვენა ფლანგზე ჩვეულად ჩაიქროლა **ვალერამ** და საჯარიმოში კასტრო მოძებნა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა მადრიდელებმა კინაღამ 2:0 გახადეს ანგარიში, მერე კი, ვინ იცის რა მოხდებოდა - **დანი გუისას** დარტყმული ხარიხამ აისხლიტა. „მალაგამ" სამი ერთმანეთზე უკეთესი გოლით უპასუხა მასპინძელთა გუნდს. ჯერ საჯარიმოს მისადგომიდან პორტუგალიელმა **ელიზეუმ** გაისროლა შორეულ კუთხეში, შემდეგ ელიზეუს პასით იგივე **ჟერემი ტულალანმა** გაიმეორა. მატჩის მიწურულს ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველმა **სანტი კასორლამ** წინ გამოსული **მოია** შენიშნა და დაახლოებით 40 მეტრიდან გაიტანა - 1:3.

### გამოცნობილი შეცვლები

„იბეროსტარზე" ძალზე ლოგიკური ფრე დაფიქსირდა - 1:1. „ოსასუნას" შეეძლო ბალეარის კუნძულებიდან 3 ქულა წამოეღო, მაგრამ **ხოაკინ კაპარასოსის** მიერ შეცვლაზე შეშვებულმა ორმა ფეხბურთელმა „მალიორკას" ფრე მოუტანა - **სერხიო ტეხერამ** მოაწოდა კუთხური, რომელიც თავურით გოლად **ემილიო ნსუ**ემ აქცია. პირველ ტაიმში ნავარელები **ალვარო სეხუდომ** დააწინაურა, ამ ეპიზოდში მეტისმეტად წინ იყო გამოსული **დუდუ ავატე**.



მარკელ სუსაეტას პირველი გოლი ბასკურ დერბიში

### ეს რაიო აღარ ხუმრობს

„რეალთან" მატჩს თუ არ ჩავთვლით, რომელიც ასევე ღირსეულად წარმართა „რაო ვალეკანომ", „ელვები" იგებენ და იგებენ. ევროთასები? რატომაც არა, გუნდი აშკარად ბრწყინვალე, შემტევ ფეხბურთს თამაშობს. დასანანია, რომ „ვალეკასზე" ასეთი კარგი მატჩი მხოლოდ 12 ათასმა ადამიანმა ნახა. უკვე მე-3 წუთზე მეკარესთან პირისპირ ბრაზილიელი ფორვარდი **დიეგო კოშტა** გავიდა, **ტონიო** მას უხეშად დაეჯახა და წითელი ბარათიც მიიღო. მიუხედავად ამისა, „რასინგი" 27 წუთის შემდეგ 2:0-ს იგებდა, ჯერ **მარკ ტორეხონმა** მახვილი კუთხიდან ოსტატურად დაასრულა საჯარიმოს გათამაშება, შემდეგ **გონსალო კოლსა** გავიდა მეკარესთან პირისპირ და მას თავზე გადააუგდო ბურთი. ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და **სანდოვალმა** ტაიმის მიწურულს **რაულ ტამუდო** და **პიტი** შეიყვანა, ბოლო წუთზე **მიჩუმ** თავით 15 მეტრიდან გაიტანა გოლი - 1:2.

კაცნაკლულ „რასინგს" ყველაზე მეტად მაშინ გაუჭირდა, რაც მეორე ტაიმის დასაწყისში ტრავმა მიიღო მათმა შემტევმა **კრისტიან სტუანიმ**. ამის შემდეგ **მარიოს** კარში ოთხი გოლი გავიდა, რომელთაგან მსაჯმა ერთი შეცდომით არ ჩათვალა და **ტამუდოს** დუბლის გაფორმება არ აცალა. მართალია, დიეგო კოშტას გოლი არ გაუტანია, მაგრამ ის აშკარად საუკეთესო იყო - სამი საგოლე პასი მის ანგარიშზეა.

### ბარსა მესის გარეშე

მოდი, ვნახოთ „ბარსელონა" **ლეო მესის** გარეშე - როგორც ჩანს, ის რაც **ჩავის** და **ინიესტას** დუეტის გარეშე მიუღწეველია, მესის გარეშე (ოღონდ, როცა ეს ორი მოედანზეა) ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუმცა უდიდესი ბრძოლის ფასად.

პირველი გოლი **ადრიანოს** აფეთქებას მოჰყვა, რომელიც დიდებულად შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და ინიესტა მოძებნა. მეორე ტაიმის დასაწყისში **ჟერარდ პიკემ მიგელ დე ლას კუევასი** ბოლო იმედის ჯარიმით შეაკავა და „ბარსა" 10 კაცით დარჩა. მალევე, **ფორმოზე მენდის** ჩაწოდებას **დავიდ ბარალის** საპასუხო გოლი მოჰყვა.

ამის მერე კომიკური სიტუაცია იყო - 10-კაციანი გუნდი გამუდმებით უტევდა, ხოლო რიცხობრივ უპირატესობაში მყოფი, 11 კაცით იცავდა თავს. „ბარსამ" მიზანს მაინც მიაღწია - **სეიდუ კეიტას** დიდებული გოლით და ინიესტა-ჩავის კომბინაციით, რომელიც ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა.

### ბაბა და ქულა

„მარიტიმუდან" ნაყიდმა **პაპა ბაბაკარ დიავარამ**, რომელსაც ესპანეთში მოკლედ და კონკრეტულად ბაბა შეარქვეს, „სევილიას" ქულა გადაურჩინა „ატლეტიკოსთან" მატჩში. სენეგალელმა **ხესუს ნავასის** პასი მიიღო და არ გასჭირვებია **ტიბო კურტუას** კარის დალაშქვრა - 1:1. მანამდე კი „ატლეტიკო" **ედუარდო სალვიოს** თავურით დაწინაურდა, რომელსაც ასისტენტობა **ადრიან ლოპესმა** გაუწია. კლუბებს კვლავ თანაბარი ქულები აქვთ.

### ბარსელონას წყალი გადმოესხა

„ბარსელონადან" გადმოსული **აბრაამ მინეროს** გოლის წყალობით „სარაგოსამ", როგორც იქნა, იმარჯვა - „ვილიარეალი" 2:1 დაასრულა. არადა, თავიდან ყველაფერი ჩვეული სცენარით დაიწყო - არაგონელებმა პირველებმა გაუშვეს. „ელ სუბმარინომ" ბრწყინვალე კომბინაცია გაითამაშა, რომელშიც **ნილმარი**, **კამუნიასი** და **მარტინუჩო** მონაწილეობდნენ. ყველაფერი დიამეტრულად ბოლო წუთებში შეიცვალა, ჯერ **ლუის გარსიამ** გაიტანა ფანტასტიკური გოლი, შემდეგ კი **არანდას** პასით მცველმა აბრაამმა იყოჩაღა.

### სუსაეტას ტრიუმფი ბასკურ დერბიში

ბასკური დერბის გმირი 24 წლის ნახევარმცველი **მარკერ სუსაეტაა**, რომელმაც „სან მამესზე" დუბლი შეასრულა „რეალ სოსიედადის" კარში - 2:0. სუსაეტამ ერთხელ ბურთი ძელს გაარტყა, რამდენჯერმე სტუმრები კი **კლაუდიო ბრავოს** ნახტომებმა იხსნეს. ნახევარმცველმა მეორე გოლი საჯარიმო დარტყმით გაიტანა. ამ თამაშის ბედ-იღბალში **მატეო ლაოსი** ჩაერია, მსაჯმა **კარლოს ველას** გოლი არ ჩაუთვალა 0:1-ზე.

### სოფიანის სამიანი

**სოფიან ფეგულის** გოლის წყალობით „ვალენსიამ" განიმტკიცა მესამე ადგილი ლა ლიგაში. როგორც ჩანს, მცირე კრიზისი დაძლეულია, „ლამურები" ვარსკვლავებს ვერ წყვეტენ, მაგრამ არც კონკურენტებს იკარებენ ახლოს. ასე რომ, რეალურად „ჰაერში" მხოლოდ მე-4 ადგილი და ლიგის ბოლო საგზურია ლა ლიგაში. მეორე ტაიმში „გრანადა" სჯობდა მეტოქეს, ორივე გუნდმა კი თავი უხეშობებით დაგვამახსოვრა: **იტურალდე გონსალესმა** 13 ყვითელი ბარათი დაარიგა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 25 | 22 | 1 | 2 | 85-21 | 67 |
| 2. ბარსელონა | 25 | 17 | 6 | 2 | 73-19 | 57 |
| 3. ვალენსია | 25 | 12 | 7 | 6 | 38-29 | 43 |
| 4. ბილბაო | 25 | [illegible] | 10 | 6 | 41-32 | 37 |
| 5. მალაგა | 25 | 11 | 4 | 10 | 36-37 | 37 |
| 6. ლევანტე | 24 | 10 | 5 | 9 | 34-35 | 35 |
| 7. ოსასუნა | 25 | 8 | 11 | 6 | 29-39 | 35 |
| 8. რაიო ვალეკანო | 25 | 10 | 4 | 11 | 36-38 | 34 |
| 9. ატლეტიკო | 25 | 8 | 9 | 8 | 34-31 | 33 |
| 10. სევილია | 25 | 8 | 9 | 8 | 27-28 | 33 |
| 11. ესპანიოლი | 25 | 9 | 6 | 10 | 27-34 | 33 |
| 12. ბეტისი | 24 | 9 | 3 | 12 | 28-32 | 30 |
| 13. სოსიედადი | 25 | 8 | 6 | 11 | 27-36 | 30 |
| 14. მალიორკა | 25 | 7 | 8 | 10 | 24-30 | 29 |
| 15. ხეტაფე | 25 | 7 | 8 | 10 | 25-34 | 29 |
| 16. გრანადა | 25 | 8 | 4 | 13 | 22-35 | 28 |
| 17. ვილიარეალი | 25 | 6 | 9 | 10 | 26-38 | 27 |
| 18. რასინგი | 25 | 4 | 12 | 9 | 21-35 | 24 |
| 19. სპორტინგი | 25 | 5 | 6 | 14 | 23-48 | 21 |
| 20. სარაგოსა | 25 | 4 | 6 | 15 | 21-46 | 18 |

**ბომბარდირები:** 30 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 28 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 16 - გონსალო იგუაინი (რეალი); 15 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

**მომდევნო ტური**

10 მარტი: მალაგა-ლევანტე, რეალ სოსიედადი-სარაგოსა, სპორტინგი-სევილია, ბეტისი-რეალი.

11 მარტი: ატლეტიკო-გრანადა, ესპანიოლი-რაიო ვალეკანო, ვალენსია-მალიორკა, რასინგი-ბარსელონა, ოსასუნა-ბილბაო.

12 მარტი: ვილიარეალი-ხეტაფე.

**სეგუნდა დივიზიონი.**

XXVII ტური

**დეპორტივო-ალკორკონი 2:1**
**გოლები:** 1:0 ვალერონი (38), 2:0 გამა (41), 2:1 რიერა (82)

**ერკულესი-საბადელი 1:0**
**გოლი:** 1:0 სამუელი (59)

**კარტახენა-გვადალახარა 0:2**
**გოლები:** 0:1 ანიბალი (57), 0:2 ნიკო (90)

**ნუმანსია-მურსია 1:0**
**გოლი:** 1:0 დე სერიო (83)

**ვალიადოლიდი-სელტა 1:2**
**გოლები:** 1:0 გუერა (12), 1:1 ასპასი (30), 1:2 ტომასი (90)

**ვილიარეალი II-ალკოიანო 4:3**
**გოლები:** 0:1 ფ. ლორენტე (8 ს.კ.), 0:2 ალონსიო (15), 1:2 მანუ (23), 2:2 ედუ რამოსი (47), 3:2 ხუანიტო (64), 4:2 პორკარი (70), 4:3 ველინგტონ სილვა (83)
**გაძევება:** მორსილიო (61. ალკოიანო), მაესტრო (68. ალკოიანო)

**ხერესი-კორდობა 1:2**
**გოლები:** 0:1 ბ. გარსია (54), 1:1 რედონდო (60), 1:2 ფედე (72)

**ლას პალმასი-ხირონა 3:2**
**გოლები:** 0:1 ტორტოლერო (13), 1:1 ვიტოლო (59), 2:1 ვიტოლო (78), 2:2 გორირია (87), 3:2 კიროგა (90)
**გაძევება:** პინიოლი (72. ლას პალმასი)

**ალმერია-ელჩე 0:2**
**გოლები:** 0:1 ბერანჟერი (39), 0:2 ჩუმეტრა (58).

**უელვა-ბარსელონა II 0:0**

**უესკა-ხიმნასტიკი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დეპორტივო | 27 | 18 | 3 | 6 | 45-28 | 57 |
| 2. სელტა | 27 | 17 | 4 | 6 | 49-24 | 55 |
| 3. ვალიადოლიდი | 27 | 13 | 9 | 5 | 40-24 | 48 |
| 4. ალმერია | 27 | 13 | 9 | 5 | 46-31 | 48 |
| 5. ერკულესი | 27 | 15 | 3 | 9 | 30-23 | 48 |
| 6. ელჩე | 27 | 14 | 4 | 9 | 42-28 | 46 |
| 7. კორდობა | 27 | 13 | 7 | 7 | 29-23 | 46 |
| 8. ალკორკონი | 27 | 11 | 8 | 8 | 35-28 | 41 |
| 9. ნუმანსია | 27 | 10 | 10 | 7 | 35-27 | 40 |
| 10. ლას პალმასი | 27 | 10 | 7 | 10 | 35-36 | 37 |
| 11. უელვა | 27 | 10 | 6 | 11 | 34-30 | 36 |
| 12. მურსია | 27 | 10 | 6 | 11 | 32-36 | 36 |
| 13. ბარსელონა II | 27 | 9 | 8 | 10 | 41-35 | 35 |
| 14. საბადელი | 27 | 9 | 8 | 10 | 31-42 | 35 |
| 15. ხერესი | 27 | 9 | 6 | 12 | 29-35 | 33 |
| 16. გვადალახარა | 27 | 9 | 5 | 13 | 29-44 | 32 |
| 17. ვილიარეალი II | 27 | 7 | 8 | 12 | 36-45 | 29 |
| 18. უესკა | 27 | 6 | 8 | 13 | 29-41 | 26 |
| 19. ალკოიანო | 27 | 6 | 8 | 13 | 28-43 | 26 |
| 20. კარტახენა | 27 | 5 | 8 | 14 | 16-36 | 23 |
| 21. ხირონა | 27 | 4 | 8 | 15 | 27-42 | 20 |
| 22. ხიმნასტიკი | 27 | 3 | 9 | 15 | 19-36 | 18 |

**ბომბარდირები:** 19 - ულოა (ალმერია); 11 - ბ. გარსია (კორდობა); 10 - ასპასი (სელტა), კამაჩო (უესკა), გუერა (ვალიადოლიდი), ხოსელუ (ვილიარეალი).

**ხეტაფე-მალაგა 1:3**

**ხეტაფე (4-4-2):** მოია - ვალერა, კატა დიასი, ალექსისი, მანე - ბარადა (62. სარაბია), ხ. როდრიგესი, ლასენი, დ. კასტრო (80. პედრო ლეონი) - მიკუ (68. არისმენდი), გუისა.

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გამესი, ველიგტონი, მატეისენი, მონრეალი - ტულალანი, რესიო (46. ელიზეუ) - კასორლა, სება ფერნანდესი (70. დემიკელისი), ისკო (46. ხოაკინი) - რონდონი.

**გოლები:** 1:0 დ. კასტრო (42), 1:1 ელიზეუ (57), 1:2 ტულალანი (81), 1:3 კასორლა (92)

**გაფრთხილება:** ვალერა, ლასენი, მანე - ისკო, რესიო, რონდონი, მატეისენი

**კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 16-20; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 17-9 (6-7); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 11 000

**მალიორკა-ოსასუნა 1:1**

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - ჩიკო, ნუნიეში, რამისი, პ. კასერესი (67. ნსუე) - მარტი, ტისონე (46. ტეხერა) - პერეირა, ალფარო (46. ჰემედი), გ. კასტრო - ვიქტორი.

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, სერხიო, ფლანიო, დამია - ლოლო, ლო - სეხუდო (89. ნეკუნამი), რ. გარსია, ლამა (73. რ. ტორესი) - ნინო (80. ტიმორი).

**გოლები:** 0:1 სეხუდო (45), 1:1 ნსუე (70)

**გაფრთხილება:** ტისონე, ჩიკო - დამია, სეხუდო, ტიმორი

**კუთხური:** 8-8; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 14-9 (2-2); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 13 000

**ვალეკანო-რასინგი 4:2**

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** ხოელი - ტიტო, არიბასი, პულიდო, კასადო (38. ტამუდო) - მოვილია (38. პიტი), ფუენგო - ტრაშორასი, მიჩუ, არმენტეროსი (74. ბრავო) - დ. კოშტა.

**რასინგი (4-2-3-1):** ტონიო - ალვარო, ტორეხონი, ბერნარდო სუნიგა, სისმა - დიოპი, კოლსა - არანა, ადრიანი (3. მარიო), სამპერიო (69. ბაბაკარი) - სტუანი (60. კრისტიანი).

**გოლები:** 0:1 ტორეხონი (9), 0:2 კოლსა (27), 1:2 მიჩუ (45), 2:2 მიჩუ (63), 3:2 ტამუდო (67), 4:2 პიტი (72)

**გაფრთხილება:** არმენტეროსი, კოშტა, ფუენგო, ტამუდო - ალვარო, დიოპი, ბერნარდო სუნიგა

**გაძევება:** ტონიო (3)

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 22-9 (13-3); **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

**მაყურებელი:** 12 000

**ბარსელონა-სპორტინგი 3:1**

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, მასკერანო, პიკე, ადრიანო - ჩავი, კეიტა, ინიესტა - კუენკა (80. პუიოლი), ფაბრეგასი (58. ტელიო), პედრო (58. სანჩესი).

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხუან პაბლო - დ. სუარესი (47. ბარალი), ბოტია, გალვესი, კანელია - ანდრე კაშტრო, ნაჩო კასესი - მენდი, ორფილა, აიოსე (47. კარმელო) - დე ლას კუევასი (74. ეგურენი).

**გოლები:** 1:0 ინიესტა (41), 1:1 ბარალი (49), 2:1 კეიტა (78), 3:1 ჩავი (87)

**გაფრთხილება:** ინიესტა, ჩავი, კეიტა, ალვეში - აიოსე, კანელია, დე ლას კუევასი, გალვესი, კარმელო, ეგურენი, ბარალი

**გაძევება:** პიკე (46)

**კუთხური:** 13-1; **ჯარიმა:** 12-22; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 15-4 (5-1); **ბურთის ფლობა:** 75%-25%.

**მაყურებელი:** 73 500

**სევილია-ატლეტიკო 1:1**

**სევილია (4-4-2):** პალოპი - კოკე, სპაჰიჩი (56. ტროხოვსკი), ესკუდე, ფ. ნავარო - ხესუს ნავასი, მედელი, რაკიტიჩი (56. ფასიო), რეიესი - კანუტე, ბ. დიავარა (73. დელ მორალი).

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი (90. პერეა), მირანდა, დომინგესი, ფილიპე ლუიში - ტიაგო (80. პიცი), მ. სუარესი - კოკე, გაბი, სალვიო - ადრიან ლოპესი.

**გოლები:** 0:1 სალვიო (9), 1:1 ბ. დიავარა (53)

**გაფრთხილება:** მედელი, ნავარო - ფილიპე ლუიში, ტიაგო, სალვიო, ხუანფრანი, დომინგესი

**კუთხური:** 1-6; **ჯარიმა:** 15-21; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 20-9 (5-6); **ბურთის ფლობა:** 55%-45.

**მაყურებელი:** 40 500

**სარაგოსა-ვილიარეალი 2:1**

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - პ. ალვარესი, ლანსარო (40. და სილვა), პარედესი, ობრადოვიჩი (17. ორტი) - აპონიო, აბრაამი - ლუის გარსია, რუბენ მიკაელი, ლაფიტა (46. ედუ ორიოლი) - არანდა.

| 1. საუთჰემპტონი | 34 | 19 | 8 | 7 | 62-32 | 65 |
| 2. ვესტ ჰემი | 33 | 19 | 7 | 7 | 53-32 | 64 |
| 3. რედინგი | 33 | 18 | 6 | 9 | 43-28 | 60 |
| 4. ბლეკპული | 34 | 15 | 11 | 8 | 57-44 | 56 |
| 5. მიდლსბრო | 33 | 15 | 11 | 7 | 41-35 | 56 |
| 6. ბირმინგემი | 33 | 15 | 10 | 8 | 53-32 | 55 |
| 7. ბრაიტონი | 34 | 15 | 9 | 10 | 40-34 | 54 |
| 8. კარდიფი | 33 | 14 | 11 | 8 | 50-41 | 53 |
| 9. ჰალ სიტი | 32 | 15 | 7 | 10 | 32-26 | 52 |
| 10. ლიდსი | 34 | 14 | 7 | 13 | 52-49 | 49 |
| 11. ლესტერი | 33 | 13 | 9 | 11 | 45-37 | 48 |
| 12. ბარნლი | 34 | 14 | 5 | 15 | 47-43 | 47 |
| 13. კრისტალ პალ. | 33 | 12 | 11 | 10 | 34-30 | 47 |
| 14. იპსვიჩი | 33 | 13 | 4 | 16 | 53-60 | 43 |
| 15. ბარნსლი | 34 | 12 | 7 | 15 | 46-53 | 43 |
| 16. დერბი | 33 | 12 | 7 | 14 | 35-44 | 43 |
| 17. უოტფორდი | 34 | 11 | 10 | 13 | 39-52 | 43 |
| 18. პიტერბორო | 33 | 10 | 8 | 15 | 51-53 | 38 |
| 19. მილუოლი | 34 | 8 | 10 | 16 | 35-47 | 34 |
| 20. ნოტინგემი | 33 | 9 | 5 | 19 | 29-51 | 32 |
| 21. ბრისტოლ სიტი | 34 | 8 | 7 | 19 | 28-55 | 31 |
| 22. ქოვენთრი | 34 | 7 | 7 | 20 | 29-48 | 28 |
| 23. პორტსმუთი | 33 | 9 | 9 | 15 | 34-37 | 26 |
| 24. დონკასტერი | 32 | 6 | 8 | 18 | 28-53 | 26 |

*პორტსმუთს დაკლებული აქვს 10 ქულა*

**ბომბარდირები:** 17 – რიჩარდ ლამბერტი (საუთჰემპტონი), 15 – როს მაკორმაკი (ლიდსი), 13-13 – დარიუს ჰენდერსონი (მილუოლი), ჯეი როდრიგესი (ბარნლი), 12-12 – კევინ ფილიპსი (ბლეკპული), მაიკლ ჩოპრა (იპსვიჩი), დევიდ ნაჯენტი (ლესტერი)

### ლიგა ერთი. XXXIV ტური

**ბორნმუთი-ჩარლტონი 0:1, ბერი-ჰადერსფილდი 3:3, ჩესტერფილდი-ტრანმერი 1:0, კოლჩესტერი-პრესტონი 3:0, ექსეტერი-სტივენეიჯი 1:1, ჰარტლპული 1:1, ლეიტონი-უოლსოლი 1:1, ნოტს ქაუნთი-კარლაისლი 2:0, როჩდეილი-შეფილდ უენს. 0:0, სკანტორპიუი-კომბი 4:1, შეფილდ იუნ-ოლდჰემი 2:3, იოვილი-ბრენტფორდი 2:1**

იტალია. სერია A. XXVI ტური

# ისევ მსაჯები, სკანდალი...

## რა ტოტი, რის კლოზე, ვარსკვლავი ბერგონცია

ტური შაბათის ორი მატჩით დაიწყო, რომლებშიც ჩემპიონატის ლიდერებმა მიიღეს მონაწილეობა. წინასწარი პროგნოზით, "მილანს" ურთულესი მატჩი უნდა ჰქონოდა სიცილიაში, "იუვენტუსი" კი "კიევოსთან" საშინაო თამაშში უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდა... რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა, "მილანმა" უპრობლემოდ დაამარცხა "პალერმო", აი "იუვემ" კი...

■ ■ ■

თუმცა, ჯერ "რენცო ბარბერაზე" გადავინაცვლოთ, სადაც შინ შესანიშნავად მოასპარეზე "პალერმომ" მილანს" უმასპინძლა. ბევრისთვის მოულოდნელად, შეხვედრის ბედი პირველ 35 წუთში გადაწყდა და ამაში მთავარი "დამნაშავე" **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გახლავთ. შვედმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა, დაბრუნდა და მეტოქეს ერთბაშად სამი ბურთი მიართვა. დიახ, ზლატანმა 35 წუთში ჰეთთრიკი შეასრულა და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ "მილანისთვის" უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. პირველი გოლი იბრამ **რობინიოს** პასის შემდეგ გაიტანა, სკანდინაველი ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდა და უძლიერესი დარტყმით **ემილიანო ვივიანოს** შანსი არ დაუტოვა, 1:0. მეორე გოლი კიდევ უფრო ეფექტური გამოდგა – სიცილიელთა ხანგრძლივი შეტევის შემდეგ, მილანელებმა კონტრიერიში ელვისებურად განავითარეს, მეტოქის საჯარიმოსთან ბურთი ისევ იბრამ მიიღო, თითქოს მარჯვნივ რობინიოსთვის უნდა გაეკეთებინა პასი, მაგრამ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო, ერთი მეურვე ოსტატურად მოატყუა და მარცხენა ფეხით უზუსტესად დაარტყა, 2:0. მესამე გოლი ზლატანმა 35-ე წუთზე გაიტანა, საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი, აწია თავი, დაარტყა და მეკარისაგან მარცხენა კუთხე დალაშქრა, 3:0. მეოთხე გოლი მილანელებმა მეორე ტაიმში გაიტანეს, **ტიაგო სილვამ** თავური დარტყმით დალაშქრა ვივიანოს კარი - 4:0...

მილანელებს კიდევ არაერთი მომენტი ჰონდათ და შეეძლოთ უფრო დიდი ანგარიშითაც მოეგოთ – რაც არ უნდა გასაკვირი იყო, სიცილიელთა რიგებში საუკეთესო მოთამაშე კიპერი ვივიანო გახლდათ და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მაგალითად ზლატან იბრაჰიმოვიჩმა პოკერი არ შეასრულა. ერთი სიტყვით, "მილანმა" უპრობლემოდ გაიმარჯვა, რამაც **მასიმილიანო ალეგრი** კმაყოფილებით აავსო:

*"შესანიშნავად ვითამაშეთ და თქმა არ სჭირდება, რომ ეს გამარჯვება დავიმსახურეთ. ვგრძნობ, რომ ეს მოგება შესაძლოა გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს სკუდეტოსთვის ბრძოლაში. სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ მაინტერესებს როგორ ითამაშებს "იუვენტუსი", უკვე "არსენალთან" ჩემპიონთა ლიგის პაექრობაზე ვარ გადართული".*

■ ■ ■

ალეგრიმ კი თქვა "იუვეს" თამაში არ მაინტერესებსო, მაგრამ ვეჭვობთ, რომ ტურინული გრანდისა და "კიევოს" დაპირისპირებას დიდი ინტერესით მიადევნა თვალი - თამაში კი ფრედ დასრულდა და ამ ფრემ პირველ რიგში სწორედ "მილანის" წისქვილზე დაასხა წყალი. არადა, თამაში მასპინძელთა გააფთრებული იერიშებით დაიწყო და ამ ყველაფერმა შედეგი მალევე გამოიღო – მე-18 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **ანდრეა პირლომ** სტანდარტულიდან ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩააგდო, პირველი დარტყმა "კიევოს" კიპერმა მოიგერია, თუმცა დამატებაზე ყველას **პაოლო დე ჩელიემ** დაასწრო და გახსნა კიდეც ანგარიში, 1:0. მომენტების ალწერით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ მეორე ნახევარში ვერონელები გამოცოცხლდნენ, აქტიურად გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე და თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრეს – მარცხენა ფრთიდან იერიშში **დრამე** ჩაერთო, მეკარისაგან შორეულ კუთხეში დაარტყა, ბურთი კარის ხაზის სიახლოვეს მყოფ **ლეონარდო ბონუჩის** მოხვდა და ისე გაეხვა ბადეში, 1:1.

მატჩის შემდეგ **ანტონიო კონტე** ემოციური გახლდათ: *"არავინ იფიქროს, რომ კრიზისი გვაქვს და პოზიციების დათმობას ვაპირებთ. პირიქით, წინ ყველაზე მნიშვნელოვანი თამაშებია და დარწმუნებული იყავით, რომ საუკეთესო "იუვე" ჯერ კიდევ არ გინახავთ. ჩვენ კუდეტოსთვის ვიბრძოლებთ, აუცილებლად ვიბრძოლებთ".*

■ ■ ■

როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან დაძაბული გამოდგა რომაული დერბი, რომელიც "ლაციოს" მინიმალური გამარჯვებით დასრულდა, 2:1. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: "მილანი"-"იუვენტუსის" მატჩის მსგავსად, აქაც მთავარი მოქმედი პირი მატჩის არბიტრი გახლდათ... ჯერ კიდევ მერვე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **მიროსლავ კლოზე** **მაარტენ სტეკელენბურგთან** პირისპირ დარჩა, ეს უკანასკნელი ფეხებში ჩაუვარდა გერმანელ ფორვარდს და თერთმეტმეტრიანი აიკიდა... ყველაზე მთავარი კი ის გახლავთ, რომ რეფერიმ ჰოლანდიელ კიპერს წითელი ბარათი უჩვენა და "რომა" კაცნაკლული დატოვა. გაძევება აშკარად გადამეტებული იყო და ვფიქრობთ, არბიტრ **ბერგონცის** მაქსიმუმ ყვითელი ბარათი უნდა ამოეღო ჯიბიდან. თერთმეტმეტრიანი ზუსტად **ერნანესმა** დაარტყა და დააწინაურა კიდეც თანაგუნდელები.

**ლუის ენრიკეს** შეგირდთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ გატყდნენ და კიდევ უფრო აქტიურად გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე, რასაც ძალიან მალე ანგარიშის გათანაბრება მოჰყვა - გოლი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა **სალი მუნტარის** მიერ გატანილ სკანდალურ გოლს, რომელიც "მილანი"-"იუვენტუსის" შეხვედრაში **პაოლო ტალიავენტომ** და მისმა ლაინსმენმა არ ჩათვალეს... ამჯერად, არბიტრები კარგად გაერკვნენ ვითარებაში და დაინახეს, რომ ბურთმა გადაკვეთა კარის ხაზი, 1:1.

მეორე ტაიმში, "რომას" დაღლა დაეტყო, რამაც განაპირობა კიდეც მატჩის საბოლოო შედეგი – 61-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც საჯარიმოში ჩაკიდულ ბურთს **სტეფანო მაური** დაუხვდა და ერთი შეხებით გადაგზავნა სტეკელენბურგის დუბლიორის, **ბოგდან ლობონტის** კარის ჩარჩოში, 1:2. ლუის ენრიკემ სცადა მატჩის გადარჩენა, **ბოიან კრკიჩი** ჩართო თამაშში, მაგრამ შედეგი ამას არ მოჰყოლია - "ლაციომ" მეორე დერბიც მოიგო მიმდინარე სეზონში და ყველა სიკეთესთან ერთად, უმნიშვნელოვანესი ქულები ჩაიწერა აქტივში.

■ ■ ■

"ბიანკოჩელესტეს" წისქვილზე "უდინეზეს" საშინაო ფრემაც დაასხა წყალი, ფრიულელები მთელი შეხვედრის განმავლობაში უტევდნენ მეტოქეს, კარშიც ბლომად დაარტყეს, მაგრამ ბურთმა არაფრით ინება ბერგამოელთა კარის ხაზის გადაკვეთა. საბოლოოდ, 0:0 "უდინეზეს" კონკურენტთა სასარგებლოდ.

■ ■ ■

"ნაპოლიმ" ურთულესი გასვლითი მატჩი მოიგო ემილიაში – არადა, არბიტრებმა "პარმა" აშკარად დაჩაგრეს, როდესაც ნეაპოლელთა მეორე და შესაბამისად, გამარჯვების გოლის ეპიზოდში **ესეკიელ ლავეციზე** მინიმუმ მეტრიანი თამაშგარე ვერ დაინახეს. მოკლედ, მსაჯები XXVI ტურშიც მთავარი მოქმედი პირები გახლდნენ.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ბერგონციმ მეკარე სტეკელენბურგი მერვე წუთზე გააძევა

**პალერმო–მილანი 0:4**

**პალერმო (4-3-2-1):** ვივიანო - პიზანო, მუნიოსი, მანტოვანი, ბარეტო – ბერტოლო (49. აგირეგარაი), მილიაჩო, დონატი – ილიჩიჩი (84. ზაპავი) – მიკოლი, ბუდანი (59. დელა როკა).

**მილანი (4-4-2):** აბიატი – აბატე, ბონერა, ტიაგო სილვა, ანტონინი (46. მესბა) – ამბროზინი, მუნტარი, ნოჩერინო, ემანუელსონი (54. ელ შაარავი) – რობინიო (81. ინძაგი), იბრაჰიმოვიჩი.

**გოლები:** 0:1 იბრაჰიმოვიჩი (22), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (31), 0:3 იბრაჰიმოვიჩი (35), 0:4 ტიაგო სილვა (58).

**კუთხური:** 6-10; **ჯარიმა:** 5-15; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 13(4)-19(12); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 30 000

**იუვენტუსი–კიევო 1:1**

**იუვენტუსი (4-4-2):** ბუფონი – ლიხტშტაინერი (78. დელ პიერო), ბარძალი (41. ბონუჩი), კიელინი, დე ჩელიე – მარკიზიო (72. კასერესი), პირლო, პადოინი, ჯაკერინი – ვუჩინიჩი, მატრი.

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – დრამე, აჩერბი, ანდრეოლი, ფრეი – ბრედლი, სამარკო (64. ჰეტემაი), ლუჩანო (64. მოსკარდელი) – რიგონი – თერეუ, პალოსკი (83. ვაჩეკი).

**გოლები:** 1:0 დე ჩელიე (18), 1:1 დრამე (76).

**გაფრთხილება:** დრამე (კიევო).

**კუთხური:** 12-0; **ჯარიმა:** 12-6; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 9(5)-11(3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 39 000

**პარმა–ნაპოლი 1:2**

**პარმა (3-4-3):** მირანტე – ძაკარდო, პალეტა, სანტაკროჩე – მარიგა, გალოპა, ბიაბიანი, მოდესტო, მუსაჩი (64. ვალდესი) – ჯოვინკო, ოკაკა (76. მარკესი).

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანკტისი – გრავა (36. ფერნანდესი), კანავარო, ბრიტოსი (19. კამპანიარო) – მაჯო, დოსენა, ჯემაილი, გარგანო (60. ინლერი) – ლავეცი, ჰამშიკი – კავანი.

**გოლები:** 0:1 კავანი (40), 1:1 ძაკარდო (77), 1:2 ლავეცი (86).

**გაფრთხილება:** ძაკარდო, სანტაკროჩე, მარიგა, მუსაჩი – გრავა, კანავარო, ჯემაილი, ლავეცი.

**კუთხური:** 12-1; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 14(4)-9(4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 18 000

**რომა–ლაციო 1:2**

**რომა (4-3-3):** სტეკელენბურგი – ტადეი, ჟუანი (77. ბოიანი), ჰაინცე, ანხელი – სიმპლისიო, დე როსი, პიანიჩი (57. მარკინიო) – ტოტი, ლამელა (9. ლობონტი), ბორინი.

**ლაციო (4-2-3-1):** მარკეტი – სკალონი, ბიავა, დიასი, გარიდო - გონსალესი, ლედესმა – მათუზალემი, მაური (85. ალფარო), ერნანესი (87. დიაკიტე) – კლოზე.

**გოლები:** 0:1 ერნანესი (10-პენ.), 1:1 ბორინი (16), 1:2 მაური (61).

**გაფრთხილება:** ჰაინცე, ტოტი, ბორინი, ბოიანი – ბიავა, დიასი, მათუზალემი, მაური.

**გაძევება:** სტეკელენბურგი (8) – სკალონი (85).

**კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 26-10; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 7(1)-10(6); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 60 000

**ფიორენტინა–ჩეზენა 2:0**

**ფიორენტინა (3-5-2):** ბორუცი – ნატალი, გამბერინი, ნასტასიჩი, კასანი - ლაძარი, მონტოლივო, სალიფუ (46. ვარგასი), პასკუალი – იოვეტიჩი (20. ჩერჩი), ამაური.

**ჩეზენა (4-4-2):** ანტონიოლი – როსი, მორასი, როდრიგესი, კომოტო – კოლუჩი, სანტანა, პაროლო (79. არიგონი), მარტინიო (69. რენელა) – დელ ნერო (54. მარტინესი), იაკვინტა.

**გოლები:** 1:0 მორასი (61-საკ. კარში), 2:0 ნასტასიჩი (74).

**გაფრთხილება:** ლაძარი, ამაური – მორასი, კომოტო.

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 17-22; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 11(4)-6(2); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 18 000

**ლეჩე–ჯენოა 2:2**

**ლეჩე (3-5-2):** ბენასი – ტომოვიჩი, მილიონიკო, კაროციერი (71. ესპოზიტო) – კუადრადო (55. ბლაზი), ჯაკომაცი, დელვეკიო, ბერტოლაჩი, ბრივიო – მურიელი, დი მიკელე (77. ბოჟინოვი).

**ჯენოა (3-5-3):** ფრეი – გრანკვისტი (33. კარვალიო), მორეტი (81. ბელუსკი), **კალაძე** – როსი, მესტო, კუჩკა, ბიონდინი, იანკოვიჩი (72. კონსტანტი) - პალასიო, სკული.

**გოლები:** 0:1 სკული (21), 1:1 მურიელი (61), 2:1 ბრივიო (81), 2:2 სკული (86).

**გაფრთხილება:** ტომოვიჩი, კაროციერი, დელვეკიო, დი მიკელე, მურიელი – კუჩკა, ბიონდინი.

**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 16-11; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 6(2)-13(8); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 10 000

**სიენა–კალიარი 3:0**

**სიენა (3-5-2):** პეგოლო – ვიტიელო, ტერცი, როსეტინი – დელ გროსო, ჯორჯი, გაცი (75. გონსალესი), ვერგასოლა, ბრიენცა – ბოგდანი (52. კალაიო), დესტრო (68. პარავიჩინი).

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო, დესენა, ასტორი, არიაუდო – კონტი, ეკდალი (46. იბარბო), ნაინგოლანი – კოსუ (84. ჩეპელინი) – რიბეირო, ნენე (80. ლარივეი).

**გოლები:** 1:0 ბოგდანი (40), 2:0 კალაიო (85), 3:0 დელ გროსო (82).

**გაფრთხილება:** გაცი, კალაიო - ასტორი.

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 10-20; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 7(5)-7(2); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 11 000

**უდინეზე–ატალანტა 0:0**

**უდინეზე (3-5-1-1):** ჰანდანოვიჩი – ბენეტია, დანილო, დომიცი – ბასტა (85. ფერონეტი), პაციენცა, ასამოა, ფერნანდესი, პასკუალე (64. არმერო) – ფაბრინი (53. ფლორო ფლორესი) – დი ნატალე.

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – მანფრედინი, რაიმონდი, სტენდარდო (24. ფერი), ბელინი – ბრიგი, სკელოტო, კარმონა (36. კაცოლა), ბონავენტურა (76. კაროცა) – მარილუნგო - დენისი.

**გაფრთხილება:** ფერნანდესი, ფლორო ფლორესი – სკელოტო, მარილუნგო, კაცოლა.

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 14(7)-2(0); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 16 000

**ბოლონია–ნოვარა 1:0**

**ბოლონია (4-4-2):** ჟილე – რაჯი, პორტანოვა, კერუბინი, პულცეტი (69. კონე) – დიამანტი (88. გარიჩი), მუდინგაი, პერესი, რუბინი – რამირესი (69. აკვაფრესკა), დი ვაიო.

**ნოვარა (3-5-2):** უიკანი – მორგანელა, ლიზუძო (46. პაჩი), ჩენტურიონი – გარსია, ჯემიტი, პეშე, რადოვანოვიჩი, რიგონი – ჯედა (67. რუბინო), კარაჩოლო (74. პორკარი).

**გოლი:** 1:0 აკვაფრესკა (83).

**გაფრთხილება:** კონე, აკვაფრესკა – ლიზუძო, გარსია, რუბინო.

**გაძევება:** კარაჩოლო (78. ნოვარა)

**კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 8-17; **თამაშგარე:** 8-1; **კარში დარტყმა:** 22(6)-6(0); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 22 000

**ინტერი–კატანია 2:2**

**ინტერი (4-3-3):** ჟულიო სეზარი – ძანეტი, ლუსიო, სამუელი, ნაგატომო – ფარაონი (46. სნეიდერი), კამბიასო (61. პოლი), პალომბო (61. ობი) – პაცინი, ფორლანი, მილიტო.

**კატანია (4-3-3):** კარიცო – მოტა, ლეგროტალიე, სპოლი, მარკეზე - ალმირონი, ისკო, ლოდი – გომესი (87. ლიამა), ბერგესიო (69. ებაგუა), ბარიენტოსი (76. სეიმური).

**გოლები:** 0:1 ისკო (19), 0:2 გომესი (38), 1:2 ფორლანი (71), 2:2 მილიტო (80).

**გაფრთხილება:** სნეიდერი - ისკო.

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 14-11; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 12(7)-12(5); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 45 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 26 | 16 | 6 | 4 | 53-22 | 54 |
| 2. იუვენტუსი | 25 | 13 | 12 | 0 | 38-16 | 51 |
| 3. ლაციო | 26 | 14 | 6 | 6 | 41-30 | 48 |
| 4. უდინეზე | 26 | 13 | 7 | 6 | 37-23 | 46 |
| 5. ნაპოლი | 26 | 11 | 10 | 5 | 44-25 | 43 |
| 6. რომა | 26 | 11 | 5 | 10 | 39-33 | 38 |
| 7. ინტერი | 26 | 11 | 4 | 11 | 36-36 | 37 |
| 8. კატანია | 25 | 8 | 10 | 7 | 34-35 | 34 |
| 9. პალერმო | 26 | 10 | 4 | 12 | 39-43 | 34 |
| 10. კიევო | 26 | 9 | 7 | 10 | 22-31 | 34 |
| 11. ატალანტა | 26 | 9 | 11 | 6 | 30-28 | 32 |
| 12. ჯენოა | 26 | 9 | 5 | 12 | 35-50 | 32 |
| 13. ფიორენტინა | 25 | 8 | 7 | 10 | 25-25 | 31 |
| 14. ბოლონია | 25 | 8 | 7 | 10 | 25-29 | 31 |
| 15. კალიარი | 26 | 7 | 10 | 9 | 23-28 | 31 |
| 16. სიენა | 26 | 7 | 8 | 11 | 30-28 | 29 |
| 17. პარმა | 25 | 7 | 8 | 10 | 30-39 | 29 |
| 18. ლეჩე | 26 | 6 | 7 | 13 | 30-42 | 25 |
| 19. ნოვარა | 25 | 3 | 8 | 14 | 20-44 | 17 |
| 20. ჩეზენა | 25 | 4 | 4 | 17 | 16-40 | 16 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 18 – დი ნატალე (უდინეზე), იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 16 - კავანი (ნაპოლი); 15 - დენისი (ატალანტა); 14 – პალასიო (ჯენოა); 13 - კლოზე (ლაციო); 12 - მილიტო (ინტერი), იოვეტიჩი (ფიორენტინა).

**მომდევნო ტური**

**9 მარტი:** ნაპოლი-კალიარი, კიევო-ინტერი;
**10 მარტი:** პალერმო-რომა;
**11 მარტი:** ნოვარა-უდინეზე, ჯენოა-იუვენტუსი, ატალანტა-პარმა, მილანი-ლეჩე, ჩეზენა-სიენა, კატანია-ფიორენტინა, ლაციო-ბოლონია.

**გადადებული მატჩები:**

**7 მარტი:** ჩეზენა-კატანია, პარმა-ფიორენტინა, ბოლონია-იუვენტუსი.

**სერია B. XXIX ტური**

**ვარეზე-ვიჩენცა 3:0**
**გოლები:** 1:0 ძეჩინი (28), 2:0 კურტიჩი (39), 3:0 კაჩატორე (88).

**ბარი-კროტონე 1:1**
**გოლები:** 1:0 ბინდი (13-ს.კ.), 1:1 კაეტანო (87).

**ემპოლი-ლივორნო 1:1**
**გოლები:** 0:1 ბელინგერი (5), 1:1 დუმიტრუ (87).

**გროსეტო-ტორინო 0:3**
**გოლები:** 0:1 ოდუამადი (12), 0:2 ბიანკი (90), 0:3 ანტენუჩი (90).

**იუვე სტაბია-ნოჩერინა 2:2**
**გოლები:** 0:1 ნეგრო (8), 0:2 ნეგრო (30), 1:2 საუ (68), 2:2 კაზერტა (89).

**მოდენა-ჩიტადელა 3:0**
**გოლები:** 1:0 არდემანი (43), 2:0 არდემანი (45), 3:0 ჯენარო (62).

**პადოვა-ალბინოლეფე 3:2**
**გოლები:** 1:0 ბოვო (6), 1:1 კოკო (12-პენ.), 2:1 რუოპოლო (29), 3:1 კაჩა (62), 3:2 კოკო (78-პენ.).

**პესკარა-სასუოლო 3:2**
**გოლები:** 0:1 სანსონე (42), 1:1 იმობილე (50-პენ.), 2:1 იმობილე (58), 3:1 ინსინიე (62), 3:2 სანსონე (76-პენ.).

**რეჯინა-ასკოლი 1:1**
**გოლები:** 0:1 სონჩინი (71), 1:1 ვიოლა (79-პენ.).

**სამპდორია-ვერონა 2:0**
**გოლები:** 1:0 პოცი (33), 2:0 პოცი (52).

**გუბიო-ბრეშა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორინო | 29 | 17 | 8 | 4 | 37-18 | 59 |
| 2. პესკარა | 28 | 17 | 4 | 7 | 59-41 | 55 |
| 3. სასუოლო | 29 | 15 | 10 | 4 | 38-21 | 55 |
| 4. ვერონა | 29 | 16 | 6 | 7 | 37-27 | 54 |
| 5. პადოვა | 28 | 14 | 7 | 7 | 42-31 | 49 |
| 6. ვარეზე | 29 | 13 | 9 | 7 | 37-25 | 48 |
| 7. რეჯინა | 29 | 11 | 10 | 8 | 48-37 | 43 |
| 8. ბრეშა | 28 | 11 | 9 | 8 | 30-26 | 42 |
| 9. სამპდორია | 28 | 9 | 13 | 6 | 34-23 | 40 |
| 10. ბარი | 29 | 11 | 9 | 9 | 35-32 | 40 |
| 11. იუვე სტაბია | 28 | 11 | 8 | 9 | 40-37 | 37 |
| 12. ჩიტადელა | 29 | 10 | 7 | 12 | 33-39 | 37 |
| 13. გროსეტო | 29 | 9 | 10 | 10 | 30-39 | 37 |
| 14. ლივორნო | 29 | 7 | 10 | 12 | 31-34 | 31 |
| 15. მოდენა | 28 | 6 | 11 | 11 | 28-42 | 29 |
| 16. კროტონე | 29 | 6 | 12 | 11 | 30-38 | 29 |
| 17. ვიჩენცა | 29 | 6 | 11 | 12 | 31-42 | 29 |
| 18. გუბიო | 28 | 6 | 8 | 14 | 26-39 | 26 |
| 19. ემპოლი | 28 | 6 | 7 | 15 | 33-46 | 25 |
| 20. ალბინოლეფე | 29 | 5 | 10 | 14 | 30-45 | 25 |
| 21. ასკოლი | 29 | 8 | 7 | 14 | 29-39 | 24 |
| 22. ნოჩერინა | 29 | 3 | 10 | 16 | 36-53 | 19 |

*შენიშვნა: ასკოლი – 7 ქულა, იუვე სტაბია - 4, ბარი – 2, კროტონე - 1 ქულა.*

**ბომბარდირები:** 20 – იმობილე (პესკარა); 18 – გ. სანსონე (სასუოლო); 15 – საუ (იუვე სტაბია); 14 – ტავანო (ემპოლი). 13 – აბრუსკატო (ვიჩენცა); 12 – სანსოვინი (პესკარა), ჯონატასი (ბრეშია), კოკო (ალბინოლეფე).

**ლეგა პრო 1/A**

აველინო-მონცა 1:2, ბენევენტო-კომო 1:0, ფოლინო-სორენტო 2:1, რეჯანა-ფოჯა 0:2, სპალ-კარპი 2:2, ტარანტო-პრო ვერჩელი 0:0, ტრიტიუმი-ლუმეცანე 0:0, ვიარეჯო-პავია 1:3, პიზა-ტერნანა დღეს.

**ლეგა პრო 1/B**

ბარლეტა-ტრიესტინა 1:1, კარარეზე-ბასანო 1:0, ფერალპიზალო-ლატინა 2:1, პერგოკრემა-სპეცია 1:2, პორტოგრუარო-კრემონეზე 0:4, პრატო-პიაჩენცა 0:3, ლანჩანო-სუდტიროლი 2:1, ტრაპანი-სირაკუზა 1:2.

# ოლიმპიური საქართველო 1952-2012

## ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება“.

–ხუან ანტონიო სამარანჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ოლიმპიური საქართველო

## 2004-2008 წლები

ათენის ოლიმპიადამ ფუძემყარი ტრადიციებისკენ შემობრუნა საქართველოს ოლიმპიური სამყარო და მისი რჩეული წარმომადგენლებიდან პეკინში 2008 წელს გამართულ XXIX ოლიმპიურ თამაშებში ექვსმა მედალი დაიმსახურა. გარდა იმისა, რომ სახელმწიფომ სერიოზული მხარდაჭერა აღმოუჩინა, ოლიმპიურ და ზოგადად ქართულ სპორტს, ამაღლდა პასუხისმგებლობა სპორტულ ფედერაციებსა და ნაკრებ გუნდებში. საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე 2004-2008 წლების ოლიმპიურ ციკლში მიღწეულმა შედეგებმა გააჩინა იმის რწმენა, რომ პეკინში უკეთ შეგვეძლო ქართული სპორტის წარმოჩენა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ პეკინის ოლიმპიადა ქართული ოლიმპიური სპორტის ისტორიაში შევიდა განსაკუთრებულად ღირსახსოვარი მოვლენით - ტყვიის მსროლელმა **ნინო სალუქვაძემ,** რომელსაც 1988 წლიდან მოყოლებული არც ერთი ოლიმპიადა არ გამოუტოვებია, ამჯერად ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა და ერთადერთი სპორტსმენი გახდა საქართველოდან, რომლის პირად მონაგარში უკვე სამივე სინჯის ოლიმპიური მედალია. და ეს წარმატება ერთადერთია არა მხოლოდ ქალთა, არამედ საერთო ქართულ ოლიმპიურ სპორტში.

ბრწყინვალედ იასპარეზეს პეკინში ჩვენმა მოჭიდავეებმა და ძიუდოისტებმა. გადავხედოთ მათ მონაპოვარს: **მანუჩარ კვირკველია** ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, **რევაზ მინდორაშვილი** - თავისუფალ ჭიდაობაში და **ირაკლი ცირეკიძე** ძიუდოში. ვერცხლის პრიზიორი არ გვყოლია, ხოლო ბრინჯაოს მედალიც ჩვენმა სამმა სპორტსმენმა დაიმსახურა: ნინო სალუქვაძემ - სროლაში, **ოთარ თუშიშვილმა** და **გიორგი გოგშელიძემ** თავისუფალ ჭიდაობაში.

საქართველოდან სულ 35 ოლიმპიელი გამოდიოდა პეკინში (ათენთან შედარებით ორით მეტი) სპორტის 11 სახეობაში. ზემოხსენებული სამ-სამი ოქროსა და ბრინჯაოს მედლების მაჩვენებლით საქართველო 27-ე ადგილზე გავიდა, თამაშებში მონაწილე 204 ქვეყანას შორის. დავძენთ, რომ წინა ოლიმპიადაზე ათენში, 2004 წელს სულ 4 მედალი მოვიპოვეთ, ორ-ორი ოქრო-ვერცხლი.

## საუკეთესოდ ცირეკიძე დასახელდა

2008 წლის სპორტული შედეგების მიხედვით საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა რეფერენდუმმა საუკეთესო სპორტსმენად პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ძიუდოისტი **ირაკლი ცირეკიძე** დაასახელა.

### თქვენთვის, ერუდიტებო!

**ვიქტორინა**

**ეძღვნება საიუბილეო XXX ოლიმპიურ თამაშებს**

**1. სად ჩატარდება 2008 წლის შემდეგ მომდევნო ოლიმპიური თამაშები?**

ა - რიო-დე-ჟანეიროში
ბ - ლონდონში
გ - ჩიკაგოში

**2. რამდენი ოქროს მედლის მოპოვებას გეგმავს საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია ზაფხულის 30-ე ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - ერთის
ბ - ორის
გ - ოფიციალურად არ გამოცხადებულა

**3. რომელი ქვეყანა იქნება ფავორიტი წინა ოლიმპიადის შედეგების მიხედვით 30-ე ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - ჩინეთი
ბ - აშშ
გ - დიდი ბრიტანეთი

**4. საქართველოს ოლიმპიელებმა დღემდე 30-ე ოლიმპიური თამაშების რამდენი ლიცენზია მოიპოვეს ?**

ა - 11
ბ - 14
გ - 23

**5. ვინ იქნება წლევანდელ ოლიმპიურ თამაშების გახსნის ცერემონიალზე საქართველოს დელეგაციის მედროშე?**

ა - მანუჩარ ცხადაია
ბ - დავით მარსაგიშვილი
გ - ნინო სალუქვაძე

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, 5-გ

### შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა:** თქვენს გაზეთში წავიკითხე, რომ 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც ათენში ჩატარდა, ორ ათეულზე მეტი ქართველი სპორტსმენი მონაწილეობდა სხვა ქვეყნის სახელით.

ძალიან გთხოვთ გაგვაცნოთ თუნდაც ის სპორტსმენები და ქვეყნები, ვის სპორტულ ღირსებასაც ჩვენი თანამემამულეები იცავდნენ და მედლები მოიპოვეს.

**თიკა და ლუკა სამადაშვილები**
თბილისი

**პასუხი:** დავიწყოთ ოლიმპიური ჩემპიონებით. ათენში ოლიმპიადის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგნენ:

**ანა დოლონაძე** - გერმანია (ბატუტი)
**ჯარჯი ზვიადაური** (ილიას ილიადისი) - საბერძნეთი (ძიუდო)
**ალექსანდრე დოხტურიშვილი** - უზბეკეთი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
მეორე პრიზიორი:
**გიორგი წურწუმია** - ყაზახეთი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
ბრინჯაოს მედალოსნები:
**თეა დონღუზაშვილი** - რუსეთი (ძიუდო)
**რევაზ ჩომახიძე** - რუსეთი (წყალბურთი).

### საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე


მანუჩარ კვირკველია


ირაკლი ცირეკიძე


რევაზ მინდორაშვილი


ნინო სალუქვაძე


ოთარ თუშიშვილი


გიორგი გოგშელიძე

## წლები და შედეგები

### ოლიმპიადა: XXIX, პეკინი, 2008 წ.

**I ადგილი: მანუჩარ კვირკველია** - ბ\რ ჭიდაობა(74კგ); **ირაკლი ცირეკიძე** - ძიუდო (90); **რევაზ მინდორაშვილი** - თავ. ჭიდაობა (84).

**III ადგილი: ნინო სალუქვაძე** - ტყვიის სროლა; **ოთარ თუშიშვილი** - თავ. ჭიდაობა (66); **გიორგი გოგშელიძე** - თავისუფალი ჭიდაობა (96).

**მონაწილე** - 35. ოქრო - 3, ბრინჯაო - 3. სულ 6 მედალი.

**პეკინში გამოდიოდნენ**

**ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა), **ქრისტინე ესებუა** (მშვილდოსნობა), **ხათუნა ნარიმანიძე** (მშვილდოსნობა), **ილია გიორგაძე** (ტანვარჯიში), **ლუბა გოლოვინა** (ბატუტზე ხტომა), **მარიამ ქევხიშვილი** (ბირთვის კვრა), **დავით ილარიანი** (მძლეოსნობა, თარჯრბენი), **ანა სალნიკოვა** (ცურვა), **ირაკლი რევიშვილი** (ცურვა), **ნიკოლოზ იზორია** (კრივი, 57კგ), **კახაბერ ჟვანია** (კრივი, 69კგ), **რაულ ცირეკიძე** (ძალოსნობა, 85კგ), **არსენ კასაბიევი** (ძალოსნობა, 94კგ), **ალბერტ კუზილოვი** (ძალოსნობა, 105 კგ), **ნესტორ ხერგიანი,** (ძიუდო, 60კგ), **ზაზა კედელაშვილი,** (ძიუდო, 66კგ), **დავით ქევხიშვილი** (ძიუდო, 73კგ), **საბა გავაშელიშვილი** (ძიუდო, 81კგ), **ირაკლი ცირეკიძე** (ძიუდო, 90კგ), **ლომერ ჟორჟოლიანი** (ძიუდო, 100კგ), **ლაშა გუჯეჯიანი** (ძიუდო, მძიმე), **ლაშა გოგიტაძე** (ბ/რ ჭიდაობა, 55კგ), **დავით ბედინაძე** (ბ/რ ჭიდაობა, 60კგ), **მანუჩარ კვირკველია** (ბ/რ ჭიდაობა, 74კგ), **ბადრი ხასაია** (ბ/რ ჭიდაობა, 84კგ), **რამაზ ნოზაძე** (ბ/რ ჭიდაობა, 96კგ), **ბესიკ გუჩაშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა, 55კგ), **ოთარ თუშიშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა, 66კგ), **გელა სალირაშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა, 74კგ), **რევაზ მინდორაშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა, 84კგ), **გიორგი გოგშელიძე** (თავისუფალი ჭიდაობა, 96კგ), **გეორგია** (პლაჟის ფრენბურთი), **საქა-რთველო** (პლაჟის ფრენბურთი).

### ოლიმპიური თამაშების პროგრამა

1. ოლიმპიური თამაშების პროგრამა ოლიმპიური სპორტის სულ მცირე თხუთმეტ სახეობას უნდა შეიცავდეს. ეს აუცილებელი მინიმუმი ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის საჭირო არ არის.

2. ყოველი ოლიმპიური თამაშების შემდეგ სოკ-ი განიხილავს ოლიმპიური თამაშების პროგრამას.

3. ასევე განიხილება სპორტის სახეობათა, დისციპლინებისა და შეჯიბრებების თამაშების პროგრამაში შეტანისა და გამორიცხვის სტანდარტები, ხოლო სოკ-ის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოები განსაზღვრავენ თამაშების პროგრამაში სპორტის სახეობათა, დისციპლინების და შეჯიბრებათა შეტანის ან გამორიცხვის შემთხვევებს.

### თარიღები და ფაქტები

■ ოლიმპიური თამაშები სამოყვარულო სპორტის გრანდიოზული ზეიმია, მაგრამ თამაშების ისტორიაში ერთხელ დაირღვა სამოყვარულო სპორტის სტატუსი და ოლიმპიადაში პროფესიონალმა სპორტსმენებმაც მიიღეს მონაწილეობა. ეს მოხდა 1900 წელს, როცა მოყვარულ მოფარიკავეთა პარალელურად შეჯიბრებაში პროფესიონალებიც მონაწილეობდნენ.

■ ყველაზე ხანდაზმულ ოლიმპიურ ჩემპიონად მძლეოსნობაში ინგლისელი **თ. გრინი** ითვლება. ოქროს მედალი 50 კმ-ზე სიარულში მან 1932 წლის ოლიმპიადაზე მოიგო, როცა 39 წლისა იყო.

■ ლეგენდარულ ფინელ სტაიერს **პ. ნურმის** ოლიმპიური ჯილდოების აბსოლუტური რეკორდი ეკუთვნის. 1920-1928 წწ. ოლიმპიადებში მან ოქროს 9 და ვერცხლის 3 მედალი მიიღო.

■ აზიის მძლეოსანთა შორის პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა იაპონელმა სპორტსმენმა **მ. ოდამ.** ეს მოხდა 1928 წელს. ოდამ გაიმარჯვა სამხტომში - 15 მ 21 სმ.

■ პირველად 100-მეტრიანი დისტანცია ქალთა შორის I წუთზე უფრო სწრაფად გაცურა ავსტრალიელმა **დ. ფრეზერმა** ტოკიოში. გამარჯვებულის დრო ნახევარფინალში 59,9 წამს შეადგენდა, ფინალში კი - 59,5-ს.

■ ყველაზე ხანდაზმული ოლიმპიური ჩემპიონები ტანვარჯიშში იყვნენ: ვაჟთა შორის - იაპონელი **მ. ტაკემოტო.** რომში მან 41 წლის ასაკში მოიგო ოლიმპიური ოქროს მედალი. 35 წლის ასაკში გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები ჩვენი **გ. ურბანოვიჩი** (1952 წ.) და უნგრელი ა. კელეტი (1956 წ.)

■ მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში იშვიათად შეხვდებით სპორტსმენს, რომელიც ატარებდა ორ უმაღლეს ტიტულს - მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონისას. ურუგვაელებმა **ს. ნაზაციმ, ხ. ლ. ანდრადემ** და **ე. სკარონემ** 1924 და 1928 წლებში ოლიმპიური ოქრო მოიპოვეს. 1930 წელს ისინი მსოფლიოს ჩემპიონებიც გახდნენ. ამავე გუნდის წევრებმა **ლ. ფერნანდესმა, ა. გესტიდომ** და **პ. სეამ** 1928 წელს ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულებს 1930 წელს მსოფლიოს ჩემპიონის წოდებაც დაუმატეს.

### ეს საინტერესოა...

ანტიკურ ოლიმპიადებში მონაწილენი ტრადიციულად თამაშების წინ ფიცს დებდნენ ზევსის საკურთხეველთან. „განსაკუთრებით იმას იფიცებოდნენ, რომ არ ითაღლითებდნენ“.

ისე როგორც დღეს, ანტიკური ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას მაყურებელს მაცნეები წარუდგენდნენ ათლეტებს - აცხადებდნენ მათ სახელს და ქვეყანას. მონაწილეები ორ ასაკობრივ კატეგორიად იყოფოდნენ: ახალგაზრდები თვრამეტ წლამდე და მამაკაცები.

**„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი“ /ზაურ ბოლქვაძე/**

გაგრძელება ყოველი თვის პირველ ორშაბათს    პროექტის ავტორია პელოპონესის უნივერსიტეტის ოლიმპიური აკადემიის ასპირანტი თორნიკე გაჩეჩილაძე

ევროპული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

● ჭიდაობა. მეტოქე

# ევროპა, რუსები და მეტოქეები




6-12 მარტს ბელგრადი მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, რომელშიც ბევრი ცნობილი ათლეტი არ მიიღებს მონაწილეობას - უმეტესობა სალიცენზიო შეჯიბრებებისთვის ემზადება, ნაწილი - ოლიმპიადისთვის. თუმცა ტურნირის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფავორიტი - რუსეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები, ამ წუთისთვის ოპტიმალური შემადგენლობით გამოვა. საგანგებოდ ამ შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად დანიშნულმა ახალმა მწვრთნელმა **მაგომედ ჰუსეინოვმა** ის მოჭიდავეები წაიყვანა, რომლებმაც მოიგეს მთავარი შესარჩევი შეჯიბრება - ივან იარიგის სახელობის „ოქროს დიდი პრიზი": **ჯამალ ოთარსულთანოვი** (55), **რასულ მურთაზალიევი** (60), **ალან გოგაევი** (66), **დენის ცარგუში** (74), **ანზორ ურიშევი** (84), **აბდუსალამ გადისოვი** (96) და **ბახტიარ ახმედოვი** (120).

როგორც ვხედავთ, რუსთა მთავარი გუნდი კვლავაც რუსების გარეშეა დარჩენილი, ყველაზე მეტი წარმომადგენელი კი დაღესტნელებს ჰყავთ - მურთაზალიევი, გადისოვი და ახმედოვი. მერე ჩეჩნები მოდიან 2 კაცით - ოთარსულთანოვი და ურიშევი, დანარჩენებიდან კი გოგაევი ოსია, ხოლო ცარგუში - აფხაზი. ამათგან მხოლოდ მურთაზალიევია დებიუტანტი. ვფიქრობთ, ქართველ ქომაგს ყველაზე მეტად ურიშევისა და **დავით მარსაგიშვილის** შეხვედრა აინტერესებს ევროპის შარშანდელი ფინალის გამო. შეგახსენებთ, რომ მაშინ მთავარი არბიტრის გადაწყვეტილება სამსაჯო მაგიდასთან შეცვალეს და ჩემპიონად არა ქართველი, არამედ ჩეჩენი გამოაცხადეს.

ბელგრადში წასაყვანი შემადგენლობა დაასახელა რუს ბერძენ-რომაელთა ქართველმა დამრიგებელმა **გოგი კოლუაშვილმაც**, რომელსაც ამჯერად გუნდში აღარ ჰყავს **ამბაკო ვაჩაძე** (66). ქართველი მწვრთნელიც მთავარი შესარჩევი ტურნირის - ივან პოდდუბნის მემორიალის შედეგებს დაეყრდნო, რადგან იქ გამარჯვებულებმა მომდევნო საცდელ შეჯიბრებებშიც კონკურენტებზე არანაკლებად იჭიდავეს: **მინგიან სემენოვი** (55), **ასლან აბდულინი** (60), **ისლამ-ბეკ ალბიევი** (66), **რომან ვლასოვი** (74), **ალექსეი მიშინი** (84), **რუსტემ ტოტროვი** (96) და **ხასან ბაროევი** (120). აქ 33 წლის ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ მიშინისა და ახალწამოჩიტული ვარსკვლავის, სახელოვანი **ალექსანდრ კარელინის** მწვრთნელ **ვიქტორ კუზნეცოვის** აღზრდილ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ვლასოვის ხარჯზე რუსთა წვლილი შედარებით დიდია, თუმცა მაინც კავკასიელები სჭარბობენ - მსოფლიოს პრიზიორი ტოტროვი და ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ბაროევი ოსები არიან, ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ალბიევი ჩეჩენია, თუმცა იქაური პოლიტიკური ვითარების გამო ინგუშეთში ცხოვრობს და ვარჯიშობს, აბდულინი კი ყაბარდოელია. აქედანვეა დებიუტანტი სემენოვიც - ყალმუხეთიდან, რომელიც რუსული ჭიდაობის ფედერაციის ბლოგზე ქომაგებმა ასეთი პოსტით გააცილეს - „მთელი ყალმუხეთი შენთანაა".

სხვა წამყვანი გუნდებიდან აზერბაიჯანელებზე უკვე ვწერდით, ბულგარელი „თავისუფლები" კი უძლიერესი შემადგენლობით იქნებიან: **რადოსლავ მარინოვ ველიკოვი** (55), **ანატოლი გუიდია** (60), **ლეონიდ ბაზანი** (66), **კირილ ტერზიევი** (74), **მიხაილ განევი** (84), **გეორგი სრედკოვი** (96), **დიმიტარ კუმჩევი** (120). თურქებმაც უმთავრეს ლიდერებს უხმეს - **აჰმეტ პეკერი** (55), **მუნირ რეჯებ აკტაში** (60), **იაკუბ გორი** (66), **სონერ დემირტაში** (74), **სერდარ ბოკე** (84), **სერხან ბალცი** (96), **ტახა აკგიული** (120). „თავისუფლებზე" ერთს შევნიშნავთ და ამით დავამთავრებთ - ბელარუსებს არ ეყოლებათ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ალექსეი შემაროვი**. ცხადია, ეს საჩემპიონო შანსებს **დავით მოძმანაშვილსაც** უზრდის, რომელიც შარშან მსოფლიოზე სწორედ შემაროვთან დამარცხდა.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა უკვე რამდენჯერმე გაცნობეთ და ახლა აღარ შევჩერდებით, სამაგიეროდ, სხვა ქვეყნების სახელით მოასპარეზე ქართველებს გაგაცნობთ, თუმცა მათი რიცხვიც შედარებით მცირეა. აზერბაიჯანის ბერძნულ-რომაულ ნაკრებში კვლავ იჭიდავებს ევროპის პრიზიორი **შალვა გადაბაძე** (96), უკრაინის „თავისუფალთა" გუნდში **ჯამბულ ცოტაძე** (84) გამოვა, გერმანელთა ღირსებას **დავით ბიჩინაშვილი** (84) დაიცავს, ბელარუსის ბერძენ-რომაელთა გუნდში კი ევროპის პრიზიორი **ბესარიონ ჩუგოშვილი** (120) იჭიდავებს.

## კურამაგომედოვის ბრუნდება?

ეტყობა, დიდი სპორტის ნოსტალგია მხოლოდ ქართველებს არ ახასიათებთ და ამ დღეებში ჭიდაობაში დაბრუნების სურვილი 34 წლის დაღესტნელმა **კურამაგომედ კურამაგომედოვმაც** გამოთქვა. დარწმუნებული ვართ, ამ გვარ-სახელის წაკითხვისას ბევრი გაიფიქრებს, რაღა დროს მაგისი ჭიდაობაა, ხოლო ახალი თაობის ქომაგს იქნებ კარგად არც ახსოვდეს ის. ავარელი მოჭიდავე მსოფლიოს ჩემპიონია, ევროპის პირველობა კი ლეგენდებით დახუნძლულ დაღესტნელთაგან ყველაზე მეტჯერ - 5-ჯერ მოუგია. ამის მიუხედავად, არც იმ ახალ თაობას გაემტყუნება, რადგან 2007 წლის მერე არც უჭიდავია. თავის დროზე ის 96-ში გამოდიოდა და **ლუკა კურტანიძის** ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი იყო. მოგვიანებით ორივემ მძიმე წონაში გადაინაცვლა და ახლა იქ გაგრძელდა მათი პაექრობა, თუმცა ეს ორივესთვის „გედის სიმღერა" იყო და მალევე დატოვეს კიდეც ასპარეზი. დაბრუნების სურვილი მან „ლელოს" მკითხველისთვის ნაცნობ ჟურნალისტ **მურად კანაევთან** (ჩვენ მის წიგნზეც მოგითხრეთ, სადაც ქართველ ფალავნებზეც საუბრობს) გამოთქვა და აღნიშნა, რომ თავის დროზე სპორტიდან წასვლა ხელის ტრავმამ აიძულა. თუმცა, მისი თქმით, სპორტიდან არც წასულა და სულ იმ წრეში ტრიალებდა, რადგან ის ატმოსფერო მუდამ ენატრებოდა. ის თურმე ინტენსიურად ჭიდაობს საკონტროლო შეხვედრებს და გამოთქვამს იმედს, რომ ძველი კონდიციების აღდგენას შეძლებს. ვიდრე სპორტს დაუბრუნდება მანამდე დაღესტანის ხელისუფლება 700 მაყურებელზე გათვლილ მისი სახელობის დარბაზს ხსნის.

## ბაროევი ფილმში

„თურქული გამბიტისა" და სხვა ცნობილი ფილმების რეჟისორმა **ჯანიკ (ჯახონბეკ) ფაიზიევმა** თავის ახალ ფილმში „აგვისტო, მერვე" მსახიობთა ცნობილ კრებულთან ერთად ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი ხასან ბაროევიც მიიწვია. გასაგებია, რომ ფილმის შინაარსი აგვისტოს ომს ეძღვნება. ის ერთი ოჯახის პირად ტრაგედიაზეა აგებული - მოსკოველი ქალბატონი 7 წლის ვაჟს მამასთან აგზავნის ცხინვალში, სადაც ამასობაში ომიც იწყება... ბაროევი ამ ფილმში ჯარისკაცის როლში იყო და რეჟისორის ქებაც დაიმსახურა. *„როცა ადამიანი ტალანტია, ის ტალანტია ყველაფერში. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ისე ითამაშა, დარწმუნებული ვარ, ის დიდ მსახიობებსაც თავისუფლად გაუწევს პარტნიორობას"* - განაცხადა ფაიზიევმა. მან ისიც იცის, რომ საქართველოში ამ ფილმს უარყოფითი შეფასება მოჰყვა, რაზეც ამბობს: *„არსებობს პოლიტიკა და არსებობენ უბრალო ადამიანები. რიგითი ქართველები თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია. მათთან ხანგრძლივი და მეგობრული ურთიერთობა მაქვს, ასეთ ფილმებზე ნერვიული რეაგირება კი პოლიტიკოსების საქმეა"*.

**ირაკლი თავაძე**

● ჭადრაკი

# ქართველთა კვარტეტი ტრიოს ჩამორჩება

თურქულ გაზიანთეფში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა ინდივიდუალური ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 11 წარმომადგენელი მონაწილეობს. შაბათს მე-2 ტურში ჩვენთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ახალგაზრდა დიდოსტატის **სოფიკო გურამიშვილის** წარმატება - თბილისელმა მოჭადრაკემ 2010 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულს, ევროპის ინდივიდუალური პირველობების მრავალგზის პრიზიორსა და გუნდურში კონტინენტის ჩემპიონატების ორგზის ოქროსმედალოსან ნადეჟდა კოსინცევას აჯობა, რომელიც საერთაშორისო ფედერაციის რეიტინგით პირველ ათეულში შედის. ასევე წარმატებით ითამაშა **სალომე მელიამ**, რომელმაც შავი ფიგურებით ნელი ალექსანიანი (რუსეთი) დაამარცხა. დანარჩენ ქართველთა და ფავორიტთა მეორე ტურის პარტიები კი ასე დამთავრდა: მერი არაბიძე - ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) 0,5:0,5, მირანდა მიქაძე - ნინო ხურციძე 0:1, ჰოანგ თან თრანგი (უნგრეთი) - სოფიო გვეტაძე 0,5:0,5, ზოია შლენინგი (გერმანია) - ნინო ბაციაშვილი 0,5:0,5, ლელა ჯავახიშვილი - მონიკა სეპსი (შვეიცარია) 1:0, ნაზი პაიკიძე - ისიმ პატელი (თურქეთი) 1:0, სანდუგაჩ შაიდულინა (რუსეთი) - ნანა ძაგნიძე 0:1, კაროლინა ოლსაროვა (ჩეხეთი) - ბელა ხოტენაშვილი




0:1, ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) - ალინა კაშლინსკაია (რუსეთი) 1:0, მარტა მიხნა (გერმანია) - ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) 0:1, მარი სებაგი (საფრანგეთი) - კარინა ჰოროვსკა (პოლონეთი) 1:0, დარია ჩაროჩკინა (რუსეთი) - ვა-

» მე-13 გვერდზე

კალათბურთი

● ქართველი NBA-ში



# სმიტი-ზაზას დუეტმა ოკლა მოკლა

**ზაზა ფაჩულიამ სეზონის მეოთხე ორმაგი დუბლი მიითვალა: „ოკლაჰომა სიტისთან" 10 ქულა და 14 მოხსნა მოაგროვა. რაც მთავარია, „ატლანტა ჰოქსმა" მატჩი მოიგო. დასავლეთის კონფერენციის ერთპიროვნული ლიდერის ძლევამ ამერიკაში იმდენად დიდი რეზონანსი გამოიწვია, რომ ჩრდილში მოექცა ჯორჯიელთა წინა დღის გამარჯვება „მილუოკი ბაქსთან". ჩვენ კი, ორივე შეხვედრაზე თანმიმდევრობით ვთქვათ.**

## რქებდამტვრეული ხარირმები

18 თებერვლიდან 29-მდე „ატლანტას" ხუთიდან ოთხი მატჩი ჰქონდა წაგებული. მაშინ, როცა ზოგიერთი სპეციალისტი კრიზისზე ალაპარაკდა, ჯორჯიელებმა მარტის დადგომა ორი ეფექტური გამარჯვებით აღნიშნეს.

ზაზამ ყოფილი კლუბის, „მილუოკის" წინააღმდეგ 23 წუთი ითამაშა. მეორე ტაიმი „ქორებმა" სტაბილურად ჩაატარეს და მეოთხე პერიოდში მწვრთნელ **ლარი დრიუს** ზაზას დახმარება აღარ დასჭირვებია. მით უმეტეს, რომ მილუოკელებს აკლდათ ლიდერი მეფარე **ენდრიუ ბოგუტი**.

**ჯოშ სმიტი** „ბაქსთან" მატჩში მოითელა (24 ქულა, 14 მოხსნა) და „ოკლაჰომასთან" გაიბრწყინა...

### ატლანტა-მილუოკი 99:94

**ზაზა ფაჩულია:** 23 წუთი, 8 ქულა (6/3 ორქულიანი, 2/2 საჯარიმო), 5 მოხსნა, 2 ფოლი.

**I პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 11:03 | 2-3 | ფოლი: 1 |
| 10:47 | 3-3 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 9:15 | 6-8 | ორქულიანი: 2ქ |
| 7:26 | 12-15 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 7:13 | 12-15 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 3:36 | 21-19 | საჯარიმოები: 2/2 (4ქ) |
| 3:19 | 21-22 | ორქულიანი: 6ქ |
| 2:54 | 21-24 | პარგომ ზაზა შეცვალა |

**II პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 6:56 | 32-29 | ზაზამ ი. ჯონსონი შეცვალა |
| 3:58 | 36-35 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 3:57 | 36-35 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 2:06 | 46-37 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |

**III პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 10:17 | 53-39 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 10:17 | 53-39 | ფოლი (ტექნიკური): 2 |
| 7:09 | 58-49 | ფოლი: 3 |
| 6:54 | 58-49 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 5:56 | 63-54 | ორქულიანი: 8ქ |
| 4:45 | 65-54 | მაკგრეიდიმ ზაზა შეცვალა |

## სმიტი დურანტზე მაღლა

...სმიტმა 30 ქულა, 12 მოხსნა მოაგროვა და კევინ დურანტის 35 ქულა „ოკლაჰომას" ძლევით გაახუნა. სათამაშო დღის საუკეთესო 10 მომენტში „ატლანტა"-„ოკლას" მატჩიდან ოთხი ეპიზოდი მოხვდა. №1-ად კი ჯოშ სმიტის ჩატენვა დასახელდა - ფაჩულიამ მოხსნა, კალათისკენ დაძრულ სმიტს ბურთი შეაგება და ჯოშმაც **სერჟ იბაკას** თავსზემოდან ეფექტურად ჩააგდო.

სწორედ იბაკა, **პერკინსი** და დურანტი განაპირობებენ „ოკლაჰომას" წინა ხაზის სიძლიერეს, თუმცა ამერიკელი მიმომხილველები ერთხმად აღიარებენ, რომ დასავლეთის კონფერენციის ლიდერის ატლანტაში დამარცხება უმთავრესად ფარქვეშ არადამაჯერებელი თამაშის შედეგია. ამის მიზეზად კი ზაზა ფაჩულია და ჯოშ სმიტი სახელდებიან, რომლებმაც ერთობლივად 26 მოხსნა მიითვალეს. „ჰოქსმა" კი სტუმრებს მოხსნებში 41:40 აჯობა.

- *„ოკლაჰომას" მსგავს ძლიერ გუნდთან მოგებისთვის აუცილებელი იყო ფარისკენ გზა ბრძოლით გაგვეკაფა. ასეც მოვიქეცით და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ,* - აღნიშნა ნამატჩევს 28 წლის ქართველმა ცენტრმა.

### ატლანტა-ოკლაჰომა 97:90

**ზაზა ფაჩულია:** 41 წუთი, 10 ქულა (11/5 ორქულიანი), 14 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 3 შეცდომა, 4 ფოლი.

**I პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 10:53 | 2-0 | შეცდომა: 1 |
| 9:52 | 2-2 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 8:38 | 4-7 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 8:30 | 4-7 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 8:21 | 4-7 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 7:35 | 4-9 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 7:11 | 4-9 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 7:07 | 4-9 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 4:58 | 12-15 | პასი: 1 (ჰაინრიხი 2ქ) |
| 4:18 | 14-16 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა |

**II პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 11:41 | 26-27 | ფოლი: 1 |
| 11:27 | 27-29 | ორქულიანი: 2ქ |
| 9:45 | 27-31 | მოხსნა: შეტ-3, დაც-2 |
| 9:41 | 27-31 | შეცდომა: 2 |
| 7:09 | 31-38 | ორქულიანი:L4ქ |
| 6:45 | 36-40 | მოხსნა: შეტ-3, დაც-3 |
| 3:42 | 36-44 | ორქულიანი: 6ქ |
| 1:21 | 42-49 | ფოლი: 2 |
| 1:21 | 43-49 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 10:52 | 47-55 | მოხსნა: შეტ-3, დაც-4 |
| 8:03 | 55-61 | ორქულიანი: 8ქ |
| 4:39 | 65-68 | ფოლი: 3 |
| 4:39 | 65-68 | შეცდომა: 3 |
| 3:36 | 65-68 | მოხსნა: შეტ-4, დაც-4 |
| 2:39 | 67-68 | რადმანოვიჩმა ზაზა შეცვალა |
| 1:23 | 70-70 | ზაზამ სმიტი შეცვალა |

**IV პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 11:00 | 75-76 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 10:56 | 75-76 | მოხსნა: შეტ-5, დაც-4 |
| 10:15 | 77-79 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 8:56 | 77-79 | ჩაჭრა: 1 (კოლისონს ჩაუჭრა) |
| 7:01 | 79-81 | მოხსნა: შეტ-5, დაც-5 |
| 6:50 | 79-83 | ორქულიანი: 10ქ |
| 6:50 | 79-83 | მოხსნა: შეტ-6, დაც-5 |
| 6:03 | 79-83 | მოხსნა: შეტ-7, დაც-5 |
| 6:03 | 79-83 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 5:24 | 79-83 | მოხსნა: შეტ-8, დაც-5 |
| 5:20 | 79-83 | მოხსნა: შეტ-9, დაც-5 |
| 5:18 | 79-85 | პასი: 2 (სმიტი 2ქ) |
| 2:44 | 84-88 | ფოლი: 4 |

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი

სუპერლიგა. XVI ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ თსუ, ისევ არმია, ისევ გაწევ-გაძევება

**მე-16 ტურს ორი მთავარი მატჩი ჰქონდა: „ქუთაისმა“ შინ „ოლიმპი“ დაამარცხა, ხოლო „შსს აკადემიამ“ - „დინამო“. შეხვედრები საინტერესოდაც წარიმართა, თუმცა ტურის მოვლენად მაინც არასპორტული ამბავი იქცა - თსუ-სა და „არმიის“ მატჩისას მომხდარი ინციდენტის გამო სტუდენტთა ყველა კალათბურთელი გააძევეს გარდა ხუთისა და მეორე ტაიმში თსუ-მ შეუცვლელად ითამაშა.**

**სოხუმი-ბათუმი 91:52**

24:12, 31:13, 23:11, 13:16

**სოხუმი:** ფარლალავა (27ქ, 6მ, 6პ, 3ჩ), როგავა (11ქ, 8მ, 4პ, 2დ), ბულიავა, ჩლაიძე, ათუაშვილი (19ქ, 14მ, 2დ), ფაცაცია (10ქ, 6მ, 3პ), გაფრინდაშვილი (2ქ), ქადარია, ჯგერენაია (8ქ, 5მ, 3პ), ჯანაშია (10ქ), ჩაჩიბაია (4ქ, 3პ).

**ბათუმი:** რამიშვილი (1ქ), მიქელაძე (22ქ, 4ჩ), ემირიძე, კეშელავა (15ქ, 8მ), ნინუა (1ქ, 3პ), ელიაზე (7მ, 3ჩ), რევაზაშვილი (13ქ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, ი. ბერიშვილი, გ. მიქელაძე.

„სოხუმმა“ მატჩი ისე ჩაატარა, როგორც ფავორიტს შეშვენოდა: პირველი წუთიდან ბოლომდე მცირე ჩავარდნაც არ მოსვლია. მწვრთნელ **რიმვიდას სამულენასს** საშუალება მიეცა ახალგაზრდა **რეზო როგავას** სათანადოდ გამოცდისა. რამდენად კმაყოფილი დარჩა, ამაზე მატჩისშემდგომი კომენტარიც მიგვითითებს.

**რიმვიდას სამულენასი** (სოხუმის მწვრთნელი):

- მინდა აღვნიშნო ახალგაზრდა მოთამაშის, რევაზ როგავას კარგი გარჯა, რომელმაც დაკისრებულ ფუნქციას თავი შესანიშნავად გაართვა, ითამაშა ისე, როგორც გამთამაშებელს შეეფერება. სასიამოვნოა, რომ ასეთი ახალგაზრდა კალათბურთელი თავდაჯერებულად გამოდის უმაღლეს ლიგაში.

**მიხეილ კობეშავიძე** (ბათუმის მწვრთნელი):

- მოხარული ვარ, რომ საქართველოში ისეთ მწვრთნელებს იწვევენ, როგორიც „სოხუმშია“. რაც შეეხება ჩემს გუნდს, ახალგაზრდული შემადგენლობა გვყავს, გვაქვს ფინანსური კრიზისიც და როგორც შევძელით ისე ვითამაშეთ.

**შსს აკადემია-დინამო 87:74**

15:13, 21:18, 18:21, 33:22

**შსს:** მუდი, ნიკოლაძე (5ქ, 6მ, 3პ), ლონდარიძე (2ქ), თენიეშვილი (3ქ), ტაბსი (10ქ, 5მ, 3პ), ბლერი (41ქ, 4პ), ბოქოლიშვილი (3ქ), სმიტი (15ქ, 9მ), ტრეპალოვაცი (6ქ, 13მ, 2დ), ბექაური (2ქ).

**დინამო:** ლეჟავა (3ქ), სანაძე (16ქ), მარხვაშვილი (1ქ), კეიდია (2ქ), ალხანაიძე, ნივნივაძე (3ქ, 6მ, 4პ), ზეჩევიჩი (18ქ, 4პ), ოლუიჩი (14ქ, 6მ, 3ჩ, 2დ), კარტერი (17ქ, 7მ, 7პ, 3ჩ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, ს. საინერსი.

„არმიასთან“ მე-15 ტურის მატჩში მონაწილეობა არ მიუღია „შსს აკადემიას“ სნაიპერ **ლარი ბლერს**. იგი გუნდის ხელმძღვანელობამ უდისციპლინობის გამო დასაჯა. განიხილებოდა ბლერის გუნდიდან მოკვეთის შესაძლებლობაც, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და ლარიმ „აკადემიასთან“ ერთად ვარჯიში განაგრძო. იგი „დინამოსთან“ მატჩისთვისაც სათანადოდ მოემზადა და შსს-ს მიერ ჩაგდებული ქულებიდან თითქმის ნახევარი საკუთარ ანგარიშზე ჩაიწერა - 87-დან 41. იგი ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა.

ძალოვანთა გამარჯვება სამწამიან ზონაში კარგმა თამაშმაც განაპირობა: **ქიენ კარტერი** საშუალოდ 13.6 მოხსნას აგროვებს, შაბათს კი ფარქვეშიდან ასხლეტილ ბურთს 7-ჯერ დაეუფლა. შსს-მ მოხსნებში 44:25 იმარჯვა.

დინამოელთა მხრიდან უნდა აღინიშნოს **ალექსანდრ ზეჩევიჩის** ზუსტი თამაში. მან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა - 18 ქულა ჩააგდო (6-დან 6 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი, 4-დან 3 საჯარიმო).

**გიორგოს კეცელიდისი** (შსს აკადემიას მწვრთნელი):

- ქალბატონებს მსურს მივულოცო დედის დღე, რადგან რამდენადაც ვიცი ძალიან მნიშვნელოვანი დღესასწაულია საქართველოში. წავაგეთ წინა ორი თამაში, მაგრამ ამჯერად შევასრულეთ მთავარი ამოცანა - კარგად ვითამაშეთ დაცვაში. ასევე - თავდასხმაში. თავადაც ნახეთ, ლარი ბლერმა ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა.

**ირაკლი ხოშტარია** (დინამოს მწვრთნელი):

- თამაშის წინ ვეუბნებოდი ბიჭებს, რომ რთული თამაში გველოდა, რადგან „შსს აკადემია“ ჩვენი უშუალო კონკურენტია. მომავლისთვის გავითვალისწინებ იმ შეცდომებს რაც დღეს დავუშვით. ეს უმთავრესად დაცვას ეხება, რადგანაც ამ ეტაპზე მთავარი ყურადღება მასზე გვაქვს გადატანილი.

**ლარი ბლერი** (შსს-ს უკანახაზელი):

- კარგი გუნდური თამაში ვაჩვენეთ. მსურს მადლობა გადავიხადო ჩვენს გულშემატკივრებს, რომლებიც ძალიან გვეხმარებიან. მწვრთნელი კარგ სათამაშო სტრატეგიას გვთავაზობს და თუ ყველაფერი ისე შევასრულეთ როგორც დღეს, აუცილებლად მივაღწევთ წარმატებას.


თსუ-არმია


სამედიცინო-რუსთავი


სოხუმი-ბათუმი


შსს აკადემია-დინამო

**თსუ-არმია 56:118**

7:27, 15:28, 16:32, 18:31

**თსუ:** თავამაიშვილი (2ქ), ნინიაშვილი, ჩიტაშვილი (15ქ, 5მ, 3პ), ხიზანიშვილი (13ქ), შერმადინი (4ქ), მაისურაძე, ჩქარეული (6ქ, 5მ), ბაქრაძე (7ქ), ჩიკვილაძე, ვ. ბერუაშვილი (9ქ, 5მ, 3პ).

**არმია:** რიჩარდსონი (13ქ), ბაბიაშვილი (10ქ, 5მ), ბოისა (16ქ, 9პ, 5მ), მინაშვილი (10ქ, 10მ, 4პ), უგრეხელიძე (8ქ), კვიმსაძე (7ქ, 9მ, 5პ), ტომასი (19ქ, 7მ, 3პ), ათანელიშვილი (16ქ, 6მ), შელბომი (4ქ, 5მ), დიასი (8ქ, 5მ, 3პ), საყვარელიძე (1ქ, 6პ), შარაბიძე (6ქ, 5მ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ი. ბერიშვილი, გ. მიქელაძე.

ჯერ მე-5 ტურის ამბებს გაგახსენებთ: „არმიასა“ და თსუ-ს მატჩის მონაწილეები შელაპარაკდნენ, რასაც წაკინკლავება მოჰყვა. თანაგუნდელთა დასაშოშმინებლად მოედანზე ორივე გუნდის სათადარიგოები შევარდნენ... მსაჯმა **დავით ბერეკაშვილმა** ყველა სათადარიგო გააძევა - წესების მიხედვით მოედანზე შესვლის უფლება არ ჰქონდათო. შეხვედრა იქამდე გაგრძელდა, ვიდრე თსუ-დან მოედანზე ერთი კალათბურთელი არ დარჩა (დანარჩენმა ოთხმა ხუთ-ხუთი პერსონალური შენიშვნა მიიღო).

ასეთი მაგალითის მიუხედავად, მსგავსი ქმედება კვლავ განმეორდა მე-16 ტურში, ისევ „არმიასა“ და თსუ-ს კალათბურთელებს შორის. თუმცა იმ განსხვავებით, რომ მოედანზე მხოლოდ თსუ-ს სათადარიგოები შევიდნენ და მსაჯებმა ისინი გააძევეს. მათ გარდა დისკვალიფიკაცია მიიღეს მოვლენების ეპიცენტრში მოხვედრილმა **ჯერემი რიჩარდსონმა** და **ბექა ჩიკვილაძემ**. მომდევნო მატჩის გამოტოვება მხოლოდ მათ ემუქრებათ, თსუ-ს ყველა სათადარიგო კი შაბათს „სოხუმის“ წინააღმდეგ ითამაშებს.

**კოტე ტულუში** (არმიას მწვრთნელი):

- სამწუხაროა, რომ ასეთი ინციდენტი ჩვენს თამაშზე უკვე მეორედ ხდება. მე „არმიაში“ დავიწყებ მიზეზების ძებნას, თუმცა ფაქტი ერთია: ასეთი შემთხვევები აღარ უნდა განმეორდეს. პირველ რიგში გულშემატკივარს უნდა ვცეთ პატივი.

**ნუგზარ ჭეიშვილი** (თსუ-ს მწვრთნელი):

- ჩვენ სხვა გეგმები გვაქვს, „არმიას“ - სხვა. თსუ-ს მიზანი 8 გუნდში მოხვედრაა. ვერ ვიტყვი, რომ „არმიას“ რაიმე წინააღმდეგობას გავუწევდით იმ რესურსით, რაც დღეს გაგვაჩნია. ვწუხვარ ჩვენი ბიჭების საქციელის გამო. მით უმეტეს, რომ ბექა ჩიკვილაძეს იმ მომენტში მოდავეებთან არაფერი ესაქმებოდა. დასანანია, რომ მატჩი გაფუჭდა სანახაობრივი თვალსაზრისით.

**მერაბ რატიშვილი** (მატჩის კომისარი):

- მე-2 პერიოდის დასრულებამდე 3.5 წამით ადრე ატეხილი ჩხუბის დროს თსუ-ს სათადარიგოთა სკამიდან მოედანზე ოთხი მოთამაშე შევიდა. ამიტომ, კალათბურთის ოფიციალური წესების 39.1.2 პუნქტის მიხედვით თსუ-ს კალათბურთელები: ზურაბ მაისურაძე, თორნიკე ნინიაშვილი, სოსო შერმადინი და გივი ბაქრაძე დისკვალიფიცირებულნი იქნენ თამაშიდან.

**სამედიცინო-რუსთავი 74:66**

21:13, 12:20, 26:14, 15:19

**სამედიცინო:** ჭოჭუა (31ქ, 6მ, 3პ), დვალიშვილი (24ქ, 12მ, 5პ, 3ჩ), აბაიშვილი (4ქ, 8პ), ილიჩი (1ქ), ტომარაძე (5ქ), კვეტენაძე (2ქ), პირველაშვილი (2ქ), სამოილოვიჩი (2ქ), შვანგირაძე (3ქ).

**რუსთავი:** ტუჯანი (4ქ, 9მ), ჩაჩანიძე (13ქ), არწივიძე (13ქ, 6პ), ხმელიძე (20ქ), მაჭავარიანი (14ქ, 3ჩ), გ. არაბული, ბააკაშვილი, გუგავა (2ქ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, დ. ბერიშვილი

პრესკონფერენციაზე „სამედიცინოს“ თავკაცმა **კახა შენგელიამ** ხაზი გაუსვა, რომ „რუსთავი“ შეკრული, ახალგაზრდული გუნდია და მისი ძლევა რთულია. ეს უშუალოდ შეხვედრამაც დაამტკიცა - ქვემოქართლელები ბოლომდე ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდნენ, თუმცა საბოლოოდ 8 ქულის სხვაობით დამარცხდნენ.

საინტერესოა, რომ „მედიკოსთა“ გამარჯვება უმთავრესად სამი კალათბურთელის დამსახურებაა: **მიშა ჭოჭუამ** 31 ქულა ჩააგდო, **აკაკი დვალიშვილმა** 24 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა, **მალხაზ აბაიშვილმა** 8 პასი ჩამოარიგა. საინტერესოა, რომ სამივე რუსთაველია და ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა.

**კახა შენგელია** (სამედიცინოს მწვრთნელი):

- „რუსთავზე“ ნაკლები შეცდომა დავუშვით და მოგებაც ამან განაპირობა. სუსტად გაისარჯნენ ლეგიონერები, ილიჩის შემთხვევაში ეს გადაღლილობის ბრალი უნდა იყოს, ხოლო სამოილოვიჩს რაც შეეხება, ალბათ ნაკლები სათამაშო დროით არის განპირობებული. ჩვენს გუნდში ვინც როგორ იმსახურებს, იმდენი დრო ეძლევა.

მიხეილ ბერუაშვილი (რუსთავის მწვრთნელი):

- ვიბრძვით, მაგრამ რაღაც გვაკლია, ალბათ გამოცდილება. სუპერლიგაში თამაშით ახალგაზრდები გაიზრდებიან და მომავალში უკეთეს შედეგს აჩვენებენ.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 14 | 14 | 0 | 1267/888 | 28 |
| 2. ქუთაისი | 15 | 11 | 4 | 1277/1149 | 26 |
| 3. ოლიმპი | 14 | 11 | 3 | 1152/1029 | 25 |
| 4. სოხუმი | 15 | 9 | 6 | 1218/1134 | 24 |
| 5. შსს აკადემია | 15 | 9 | 6 | 1355/1197 | 24 |
| 6. დინამო | 15 | 7 | 8 | 1230/1279 | 22 |
| 7. სამედიცინო | 15 | 6 | 9 | 1225/1278 | 21 |
| 8. თსუ | 14 | 5 | 9 | 1126/1250 | 19 |
| 9. სტუ | 14 | 5 | 9 | 1088/1189 | 19 |
| 10. ბათუმი | 15 | 2 | 13 | 1055/1327 | 17 |
| 11. რუსთავი | 14 | 1 | 13 | 959/1232 | 15 |

**ვაჟა სიმონიშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

## ჭადრაკი

მე-11 გვერდიდან

ლენტინა გუნინა (რუსეთი) 0:1, ვიქტორი ჩმილიტე (ლიტვა) - იოლანტა ზავადსკა (პოლონეთი) 1:0.

გუშინ მე-3 ტურის პარტიები გაიმართა. სალომე მელია - ანტოანეტა სტეფანოვა 0,5:0,5, ვალენტინა გუნინა - სოფიკო გურამიშვილი 0,5:0,5, ნინო ხურციძე - გულნარ მამადოვა (აზერბაიჯანი) 0,5:0,5 ნაზი პაიკიძე - მარია მუზიჩუკი (უკრაინა) 0,5:0,5, ანა უშენინა (უკრაინა) - მერი არაბიძე 0,5:0,5, სოფიო გვეტაძე - ლელა ჯავახიშვილი 0,5:0,5, ნინო ბაციაშვილი - ინა ივახინოვა (რუსეთი) 1:0, ნანა ძაგნიძე - ირინა ბულმაგა (რუმინეთი) 1:0, ბელა ხოტენაშვილი - ლილი დრლიევიჩი 1:0, ნადეჟდა ხარმუნოვა (რუსეთი) - მირანდა მიქაძე 1:0. საკვირველია, მაგრამ ნადეჟდა კოსინცევამ გუშინ ბულგარელ ივა ვიდენოვასთანაც წააგო. ნატაშა ბოიკოვიჩი (სერბეთი) - მარი სებაგი 0:1, იოლანტა ვოინოვიჩი (ჩერნოგორია) - ვიქტორია ჩმილიტე 0:1, ოლგა გირია (რუსეთი) - ანა მუზიჩუკი (სლოვენია) 0,5:0,5, ალექსანდრე კოსტენიუკი - ზოია შლენინგი 0:1, ტატიანა კოსინცევა - ქრისტინა-ადელა ფოიშორი (რუმინეთი) 0:1, ლილით გალოიანი (სომხეთი) - ელმირა სკრიპჩენკო (საფრანგეთი) 0:1, იოანა დვორაკოვსკა (პოლონეთი) - კატერინა ლაგნო (უკრაინა) 0:1.

სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ევროპის ამჟამინდელი ჩემპიონი, ლიტველი ვიქტორია ჩმილიტე, ფრანგი მარი სებაგი და რუმინელი ქრისტინა ადელა ფოიშორი დაწინაურდნენ. მოჭადრაკეთა დიდი ჯგუფი მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება. ქართველთა მონაგარი კი ასეთია: მელია, ბაციაშვილი, გურამიშვილი, ხურციძე – 4-4, პაიკიძე, .არაბიძე, გვეტაძე, ჯავახიშვილი, ძაგნიძე, ხოტენაშვილი – 2-2, მიქაძე-1 ქულა.

ვაჟა დანელია

## როშფორული დუბლი

ფრანგულ როშფორში, როგორც გაუწყეთ, თბილისელმა დიდოსტატმა **დავით არუთინიანმა** ბლიცტურნირი მოიგო. იმავე ქალაქში შაბათს დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი კლასიკური პარტიებით. ბოლო ტურში არუთინიანი ქართველ დიდოსტატ **დავით ჯოჯუას** დაუზავდა და მან 9 შესაძლებლიდან 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მართალია, ეგვიპტელმა ბასემ ამინმაც ამდენ ქულას მოუყარა თავი, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მას მე-2 ადგილი ერგო. გამარჯვებულებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ და, შესაბამისად, მესამე-მეექვსე ადგილები ანდრეი სუმეტცმა (უკრაინა), ალექსეი ბარსოვმა (უზბეკეთი), **დავით ჯოჯუამ** (საქართველო) და ევანდრო ბარბოსამ (ბრაზილია) გაინაწილეს.

როშფორული ტურნირის დამთავრებისთანავე მისმა მონაწილეებმა კაპელე ლა გრანდეს 28-ე საერთაშორისო ფესტივალზე გადაინაცვლეს, სადაც უფრო ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ტურნირის საპრიზო ფონდი 30. 000 ევროა, საიდანაც გამარჯვებული 3.000 ევროს მიიღებს, მეორე-მეხუთე ადგილებზე გასულები, შესაბამისად, 2.000, 1500, 1000 და 900 ევროთი დაჯილდოვდებიან.

პირველ ტურში თორნიკე სანიკიძემ შავებით ოლივერ სიმონს სძლია, დავით ჯოჯუამ ქუენთინ ლოსიაუ დაამარცხა, დავით არუთინიანმა კი ხორხე ფერეირას აჯობა.

ვაჟა დანელია




## ლეგიონერები



ბურთით ვასილ კაკოვინი

# ლიდერები აგებენ, თუმცა ამით არაფერი იცვლება

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-19 ტური საკმაოდ დაძაბული და სხვა ტურებთან შედარებით ბევრად საინტერესო გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ ლიდერთა შორის მყოფმა ქართველ მორაგბეთა სამმა გუნდმა წარუმატებლობა განიცადა, სატურნირო ცხრილში პირველი ხუთი ადგილი მაინც ჩვენებურთა გუნდებს უკავიათ.

ამასთან ერთად უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს „ბრივმა“ და „აჟენმა“, რის შედეგადაც მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესეს. თეორიულად, მათ შეუძლიათ წარმატების შემთხვევაში პლეი ოფშიც კი გააღწიონ.

მე-19 ტურში ყველაზე დიდ ინტერესს ლიდერების **ჯაბა ბრეგვაძისა** და **აქვსენტი გიორგაძის** „ტულუზისა“ და **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონის“ დაპირისპირება იწვევდა. „ვულკანები“ შინ თამაშობდნენ და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ჩემპიონს შანსი არ დაუტოვეს - 35:5.

ტულუზელებმა, რომლებსაც ეროვნულ გუნდში მიწვეული რვა მოთამაშე აკლდათ, მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა მეტოქეს მატჩის პირველ ტაიმში გაუწიეს. „კლერმონმა“ პირველი ნახევარი 12:5 მოიგო, თუმცა შესვენების შემდეგ მრისხანე „ტულუზი“ საბოლოოდ გატეხა.

ბრეგვაძე თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო, ზირაქაშვილი და გიორგაძე დაშავებულნი არიან.

არანაკლები ინტერესით ელოდნენ რაგბის ქომაგები მესამეადგილოსანი **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონის“ შეხვედრას შინ **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიესთან“. თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბულ, უშელავათო ბრძოლაში წარიმართა. შესაბამისად პირველი ტაიმი ფრედ 3:3 დასრულდა.

მეორე ნახევარში მთელი თავისი ბრწყინვალებით წარმოჩინდა ტულონელთა მგეზავი **ჯონი ვილკინსონი**, რომელმაც პირველ ტაიმში გატანილ საჯარიმოს კიდევ სამი მიუმატა და არბიტრის მიერ დაფიქსირებული საჯარიმო ლელო გარდასახა (14 ქულა). „ტულონმა“ პრინციპულ მეტოქეს 19:6 მოუგო.

გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ჟღენტი 57-ე წუთზე შეცვალეს, ქუბრიაშვილი მოედანზე 65-ე წუთიდან გამოჩნდა, ნარიაშვილი და შველიძე განაცხადში არ იყვნენ.

**ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“ ყველასთვის მოულოდნელად შინ ვერას გახდა აუტსაიდერთან, **გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონთან“ - 6:6. ეს ანგარიში მატჩის 21-ე წუთზე დაფიქსირდა და აღარ შეცვლილა.

კავთიძე თამაშში 59-ე წუთიდან ჩაერთო, რატიანიძესა და ფეიქრიშვილს არ უთამაშიათ.

**დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივმა“ შინ დაამარცხა პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლი „სტად ფრანსე“ 25:9. ამ გამარჯვებით ჩვენებურთა გუნდმა სახიფათო, დივიზიონიდან გასავარდნ ზონას თავი დააღწია და, თეორიულად, პლეი ოფშიც შეუძლია მოხვდეს.

პარიზელებთან მატჩის საწყისი 15 წუთი სტუმართა უპირატესობით წარიმართა და არგენტინელი მგეზავის **ფელიპე კონტეპომის** ორი საჯარიმოს წყალობით დაწინაურდნენ - 6:0. ბრიველებმა მალევე შესძლეს თამაშის დალაგება და პირველი ტაიმი 11:9 მოიგეს.

შესვენების შემდეგ კი „ბრივი“ მთლიანად აკონტროლებდა მატჩის მსვლელობას და მეტოქეს მონაგრის გაზრდის საშუალება არ მისცა. თვითონ კი აქტივს 14 ქულა შესძინა.

კაკოვინი ძირითად შემადგენლობაში იყო და 75-ე წუთზე შეცვალეს, ხინჩაგიშვილი და ნატრიაშვილი თამაშში 51-ე წუთიდან ჩაერთნენ. ასე რომ, პარიზულ გუნდს 25 წუთის განმავლობაში „ბრივის“ შერკინების პირველხაზელთა ქართული სამეული არბევდა.

**ბექა შეყლაშვილის** „აჟენმა“ შინ დამარცხა „პერპინიანი“ - 22:17 და ახლა 44 ქულით მე-7 ადგილზეა. შეყლაშვილი თამაშში 75-ე წუთიდან ჩაერთო.

### I დივიზიონი

#### XIX ტური

**ტულონი-მონპელიე 19:6, მეტრო რასინგი-ბაიონი 22:21, ბიარიცი-ბორდო 38:13, ბრივი-სტად ფრანსე 25:9, აჟენი-პერპინიანი 22:17, კლერმონი-ტულუზი 35:5, კასტრი-ლიონი 6:6.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ტულუზი - 69 ქულა, 2. კლერმონი - 65, 3. ტულონი - 56, 4. კასტრი - 50, 5. მონპელიე - 48, 6. მეტრო რასინგი - 45, 7. აჟენი - 44, 8. სტად ფრანსე - 42, 9. ბრივი - 37, 10. ბორდო - 37, 11. პერპინიანი - 32, 12. ბაიონი - 30, 13. ბიარიცი - 30, 14. ლიონი - 26.**

#### XX ტური

**მეტრო რასინგი-ბორდო, ტულუზი-კასტრი, მონპელიე-ბაიონი, ბიარიცი-ბრივი, აჟენი-კლერმონი, სტად ფრანსე-ლიონი, პერპინიანი-ტულონი.**

მეორე დივიზიონში გათამაშების ლიდერმა **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლმა“ სტუმრად წააგო **დავით ლოსაბერიძისა** და **ზერო პეტრიაშვილის** „პოსთან“ - 16:18. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

ამ გამარჯვების შემდეგ „პოს“ 63 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა, მას კვალში უდგას „ალბი“, რომელმაც შინ დაამარცხა **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკი“ - 23:10.

დათუნაშვილმა სრულად ითამაშა, ნაცარაშვილი მე-40 წუთზე შეცვალეს, ასეიშვილი მოედანზე ერთი წუთის შემდეგ გამოჩნდა.

გათამაშების აუტსაიდერმა, **თედო ზიბზიბაძის, დავით დადუნაშვილისა** და **ალექსანდრე მარგველაშვილის** „პერიგომ“ სტუმრად წააგო „კარკასონთან“ - 10:24. ზიბზიბაძე, რომელმაც სრულად ითამაშა, არბიტრმა 50-ე წუთზე სინბინში გაუშვა. მარგველაშვილი თამაშში ორი წუთის შემდეგ ჩაერთო, დადუნაშვილი კი მოედანზე 61-ე წუთიდან გამოჩნდა.

**მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა“ შინ წააგო ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბეზიესთან“ - 18:26. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

### II დივიზიონი

#### XXII ტური

**ალბი-ორიაკი 23:10, ტარბი-ბეზიე 18:26, ოში-ბურგუენი 25:15, ექსი-ნარბონი 29:36, კარკასონი-პერიგო 24:10, პოგრენობლი 18:16, მონ დე მარსანი-ოიონაქსი 43:0**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. გრენობლი - 73 ქულა, 2. დაქსი - 66, 3. პო - 63, 4. ალბი - 56, 5. მონ დე მარსანი - 56, 6. ლა როშელი - 55, 7. ოში - 54, 8. კარკასონი - 52, 9. ბურგუენი - 47, 10. ტარბი - 46, 11. ექსი - 45, 12. ოიონაქსი - 42, 13. ორიაკი - 37, 14. ნარბონი - 37, 15. ბეზიე - 27, პერიგო - 27.**

#### XXIII ტური

**პო-ალბი, ნარბონი-ბეზიე, ორიაკი-კარკასონი, დაქსი-მონ დე მარსანი, ოიონაქსი-პერიგო, ექსი-ტარბი, ლა როშელი-ბურგიენი, ოში-გრენობლი.**

ბესიკ ჯანგავაძე

## ერთა თასი

# მიზანი: დავამარცხოთ საქართველო

საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშების მორიგ ტურში, 10 მარტს სტუმრად ითამაშებს რუმინეთის ეროვნულ გუნდთან. „სტეჟარის“ დროებითმა მთავარმა მწვრთნელმა **ჰარი დუმიტრაშმა** გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.

რუმინელებმა თითქმის ყველა უძლიერესს უხმეს. მათ შორის ინგლისში მოთამაშე **პაულიკა იონის**, რომელიც ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში პირველად ითამაშებს.

გაფართოებულ განაცხადში არ არის, თუმცა შესაძლოა გუნდს დაუბრუნდეს შერკინების მესამეხაზელი **ოვიდიუ ტონიცა.** „სტეჟარმა“ საწვრთნელი შეკრება კვირას 18 საათზე დაიწყო.

*„ასე იმიტომ მოვიქეცით, რომ მოსამზადებლად მეტი დრო გვქონოდა. საჭიროა კიდევ უფრო მეტად დავხვეწოთ შერკინებისა და უკანა ხაზის ურთიერთქმედება. ამის გარეშე საქართველოს ნაკრების დამარცხება ძალიან გაგვიჭირდება“* - თქვა ჰარი დუმიტრაშმა.

### საქართველოს ნაკრები

**პირველი ხაზი: ვასილ კაკოვინი, ირაკლი ნატრიაშვილი (ორივე-ბრივი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), რეზო ბელქანია (ლა სეინი), შალვა მამუკაშვილი (არმია), თორნიკე ლომიძე (აია).**

**მეორე ხაზი: გიორგი ჩხაიძე (სენ ჟუნიენი), გიორგი ნემსაძე (ვალანს დაჟენი), გელა შალამბერიძე (აია).**

**მესამე ხაზი: შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბინაძე (არმია), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), დიმიტრი ბასილაია (ვალანს დაჟენი).**

**№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), გიორგი ბეგაძე (ბათუმი XV), ბიძინა სამხარაძე (არმია).**

**№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა მალაღურაძე (ვალანსი).**

**№12-13: მერაბ შარიქაძე (გლოსტერი), დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო),**

**№11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ-ეტიენი), ალექსანდრე თოდუა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (არმია).**

**№15: ბექა ნიკლაური (გდინია), გიორგი შკინინი (არმია).**

### რუმინეთის ნაკრები

შერკინება: ანდრეი ურსაკე, ანდრეი რადოი, მიჰაი მაკოვეი, (სამივე-ბაია მარე), მიჰაიტა ლაზარი, ვალენტინ ურსაკე (ორივე-ექსი), პეტრუ ტამბა, ვლად ბადალიჩესკუ, ფლავიუს დობრე, მიჰაიტა ადასკალიტეი, კოზმინ რატიუ (ყველა-დინამო), პაულიკა იონი (ლონდონ აირიში), მარიუს ტინკუ (პერპინიანი), კრისტიან პეტრე (სენტ ეტიენი), ვალენტინ პოპირლანი (ბუქარესტი), ალინ კოსტე (ბურგ ან ბრესი), ვიორელ ლუკაჩი (სტიაუა), დანიელ კარპო (ტიმიშოარა), ანდრეი გორჩიოაია (სარასენზი), ბოგდან პეტრანუ (ფარული).

უკანა ხაზი: ფლორინ სურუჯიუ (ბუქარესტი), ვალენტინ კალაფეტეანუ, მადალინ ლემნარუ, (ორივე-ტიმიშოარა), დანუც დუმბრავა, ფლორინ ვლაიკუ (სტიაუა), დორინ მანოლე (ორტეზი), ჩაბა გალი, კრისტიან დინსი, გეორგ კატუნა, იონუც ნიაკსუ (ოთხივე-ბაია მარე), კონსტანტინ გეარა, ადრიან აპოსტოლი (ორივე-ფარული), კატალინ ნიკოლაე (დინამო), იულიან დუმიტრაში (ლურდი).

### ერთა თასი 2012

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +33 | 9 |
| 2.ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +42 | 9 |
| 3.საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | +18 | 6 |
| 4.რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | -24 | 4 |
| 5.პორტუგალია | 3 | 0 | 0 | 3 | -34 | 2 |
| 6.უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | -35 | 0 |

### ორი წლის ჯამი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 7 | 6 | 0 | 1 | +151 | 28 |
| 2.რუმინეთი | 7 | 5 | 0 | 2 | +130 | 25 |
| 3.ესპანეთი | 7 | 4 | 0 | 3 | -41 | 19 |
| 4.პორტუგალია | 8 | 3 | 0 | 5 | -19 | 16 |
| 5.რუსეთი | 7 | 3 | 0 | 4 | -22 | 15 |
| 6.უკრაინა | 6 | 0 | 0 | 6 | -199 | 0 |

### 10 მარტი

#### IV ტური

რუმინეთი-საქართველო
პორტუგალია-ესპანეთი
რუსეთი-უკრაინა

ბესიკ ჯანგავაძე



## უცხოური სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ტორონტოს მწვრთნელი შეუცვალეს

გასულ უქმეებზე „ტორონტო მეიპლ ლივზმა" მწვრთნელი შეიცვალა. შაბათს კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ბრაიან ბურკმა** თავის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე რთული გადაწყვეტილება მიიღო. მან მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლა **რონ უილსონი**, რომელიც მისი დიდი მეგობარი გახლავთ და თავის დროზე, ისინი კოლეჯის საერთო საცხოვრებელში ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. *„ეს ძალიან რთული გადაწყვეტილება იყო ჩემთვის"*, - აღნიშნა ბურკმა.

გადაწყვეტილების მიზეზი მარტივია - „ტორონტო" პლეი ოფში ვერ გადის. თუმცა ეს არავის უკვირს - 2008-09 წლების სეზონიდან მოყოლებული, როცა გუნდს სათავეში უილსონი ჩაუდგა, „ტორონტოს" არც ერთხელ არ უბრძოლია პლეი ოფის საგზურისთვის. „მეიპლ ლივზის" გულშემატკივრებისთვის უილსონი დიდი ხანია იქცა ნომერ პირველ მტრად. თუმცა ფანების ზეწოლის მიუხედავად, ბურკი ბოლომდე იცავდა თავის მეგობარს. ამჯერად სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ გენერალურ მენეჯერს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

ბურკი და უილსონი ადრეც თანამშრომლობდნენ, კერძოდ, 2010 წლის ოლიმპიადაზე, როცა ამერიკის ნაკრებმა ვერცხლის მედლები მოიპოვა.

ახლა „ტორონტოს" სათავეში ჩაუდგება **რენდი კარლაილი** - ბურკის კიდევ ერთი ძველი ნაცნობი. რამდენიმე წლის განმავლობაში ბურკი და კარლაილი „ანაჰაიმში" მუშაობდნენ და ამ კლუბს სტენლის თასი მოაპოვებინეს.

კარლაილი წელს გაათავისუფლეს „ანაჰაიმის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან.

„ტორონტოს" რეგულარულ ჩემპიონატში 18 მატჩი დარჩა ჩასატარებელი, მისი ჩამორჩენა მერვე ადგილთან 5 ქულას შეადგენს.

**2 მარტი**

**ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი 0:5**

0:3, 0:2, 0:0

**გოლები:** 0:1 პარიზე-25 (კლარკსონი-11, ელიაში-40), 0:2 პარიზე-26 (კოვალჩუკი-37, ენრიკე-27), 0:3 ზუბრუსი-16 (კლარკსონი-12), 0:4 პარიზე-27 (ენრიკე-28, სალვადორი-6), 0:5 ელიაში-21 (ზუბრუსი-22).

**ოტავა-ჩიკაგო 1:2**

1:0, 0:2, 0:0

**გოლები:** 1:0 მ. მიხალეკი-29 (სპეცა-44, გილროი-16), 1:1 ბიკელი-7 (შარპი-28, კრუგერი-11), 1:2 მარიან ჰოსა-27 (შარპი-29, მეიერსი-9).

**ტამპა ბეი-რეინჯერსი 4:3 (ო)**

0:1, 1:1, 2:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ანისიმოვი-13 (მაკდონაჰი-18), 0:2 გაბორიკი-31 (სტეპანი-29, ბ. რიჩარდსი-25), 1:2 პიატი-7 (ბრეტ კონოლი-6, ლი-8), 2:2 პურსელი-18 (სან ლუი-38, სტემკოსი-33), 3:2 სტემკოსი-45 (ლი-9, პურსელი-31), 3:3 დუბინსკი-7 (გაბორიკი-26, სტრალმანი-11), 4:3 მელოუნი-11 (პურსელი-32, ბრიუერი-15).

**დეტროიტი-მინესოტა 6:0**

2:0, 3:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ფილპულა-20 (ზეტერბერგი-38, კრონვალი-15), 2:0 ბ. სმიტი-1 (აბდელკადერი-13, ქლიირი-18), 3:0 ჰელმი-8 (ფრანცენი-26, კრონვალი-16), 4:0 ფილპულა-21 (ზეტერბერგი-39, კრონვალი-17), 5:0 ი. უაიტი-7, 6:0 ზეტერბერგი-15 (ფილპულა-32, ი. უაიტი-23).

**ედმონტონი-დალასი 1:3**

0:0, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 დვორაკი-4 (ნისტრიომი-4, ფიდლერი-13), 0:2 ვინკური-3 (ლარსენი-6, ბენი-33), 0:3 რაიდერი-27, 1:3 სემ განიე-15 (ჰემსკი-24, რ. სმიტი-24).

**ანაჰაიმი-კალგარი 3:2**

1:1, 1:0, 1:1

**გოლები:** 0:1 გლენკროსი-21 (ო. იოკინენი-33, ბროდი-11), 1:1 რაიანი-24 (სელიანე-35, ლიდმანი-12), 2:1 პერი-31 (გეტცლაფი-36, ჰაგმანი-11), 2:2 ტანგეი-10 (კამალერი-17, იგინლა-27), 3:2 გეტცლაფი-9 (პერი-21, ბოშემენი-14).

**3 მარტი**

**ბოსტონი-აილენდერსი 2:3**

1:1, 0:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ლუჩიჩი-22 (როლსტონი-6, კორვო-20), 1:1 ბეილი-10 (ნილსენი-19, ულსტრიომი-3), 1:2 მოულსონი-28 (ნილსენი-20, ტავარესი-37), 2:2 სეგუინი-22 (ხარა-29, კრეისი-29), 2:3 ტავარესი-26 (მოულსონი-28, ენდრიუ მაკდონალდი-12).

**მონრეალი-ტორონტო 1:3**

1:0, 0:1, 0:2

**გოლები:** 1:0 ე. კოული-23 (დეშარნე-37, პასიორეტი-23), 1:1 ფრატენი-6 (გრაბოვსკი-25), 1:2 გრაბოვსკი-19 (მაკარტური-16, გუნარსონი-15), 1:3 გრაბოვსკი-20 (ფრატენი-6, ფანოფი-30).

**კაროლინა-ტამპა ბეი 3:4 (ო)**

0:1, 3:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 უოლასი-1 (მენონი-8), 1:1 ე. სტიუარტი-8 (ე. სტაალი-38, შპაჩეკი-10), 2:1 ი. იოკინენი-10, 3:1 ე. სტიუარტი-9 (ე. სტაალი-39, ტლუსტი-16), 3:2 სტემკოსი-46, 3:3 პურსელი-19 (სან ლუი-39, მელოუნი-23), 3:4 სტემკოსი-47 (პურსელი-33).

**ფლორიდა-ნეშვილი 1:3**

0:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ა. კოსტიცინი-13 (გოსტადი-11, გილი-9), 0:2 ფიშერი-19 (ერატი-33), 1:2 ვოლსკი-2 (გოკი-11, ფლიშმანი-27), 1:3 ლეგუანდი-15 (ა. კოსტიცინი-13, რ. სატერი-31).

**ფინიქსი-კოლამბუსი 2:5**

0:1, 2:1, 0:3

**გოლები:** 0:1 ნეში-23 (მაკენზი-7, ჯ. მური-5), 0:2 ნეში-24 (ბრასარი-18), 1:2 რეი უიტნი-20 (დოუნი-19, რუნდბლანდი-6), 2:2 კორპიკოსკი-14 (დოუნი-20), 2:3 ნიკიტინი-4 (უმბერგერი-16), 2:4 ბრასარი-12 (ნეში-23), 2:5 ჟილი-2 (ჯ. ჯონსონი-17).

**კოლორადო-პიტსბურგი 1:5**

0:2, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 ეშემი-3 (ადამსი-8, ორპიკი-11), 0:2 ენგელანდი-4 (ჯ. სტაალი-12, სალივანი-24), 0:3 მალკინი-38 (ჯ. ნილი-32, მარტინი-19), 0:4 პარკი-6 (ზ. მიხალეკი-7), 1:4 ჰანვიკი-2 (პ. შჩასტნი-25, ლანდესკოგი-23), 1:5 სალივანი-13 (მარტინი-20, ორპიკი-12).

**ვანკუვერი-ბაფალო 3:5**

0:3, 1:0, 2:2

**გოლები:** 0:1 ლეინო-5 (კალეტა-3, გერბე-18), 0:2 ლეინო-6 (კალეტა-4, მიერსი-13), 0:3 ბოიესი-5 (ტროპი-2), 1:3 ბუტი-12 (ბაროუზი-21, ბიეკსა-29), 1:4 ერჰოფი-5 (ბოიესი-11, ელისი-4), 2:4 ქუტი-13 (კასიანი-5), 3:4 კასიანი-4 (კესლერი-25, ჰამჰუისი-27), 3:5 ენისი-7 (სტეფორდი-20, სეკერა-10).

**სან ხოსე-სტ ლუისი 1:3**

1:2, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ენდი მაკდონალდი-6 (შატენკირკი-24, პიეტრანჯელო-27), 1:1 ტ. მიტჩელი-6 (დ. მური-17, ვინიკი-14), 1:2 ოში-16 (კოლაიაკოვო-14, სობოტკა-15), 1:3 შატენკირკი-9 (ოში-30, პიეტრანჯელო-28).

**ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი 4:2**

1:1, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 დ. ბრაუნი-19 (ა. მარტინენი-4, ვოინოვი-9), 1:1 ბრუკბანკი-3 (რაიანი-17, სელიანე-36), 2:1 ჯ. კარტერი-16 (კინგი-3, მ. რიჩარდსი-18), 3:1 ჯ. კარტერი-17 (მ. რიჩარდსი-19, კინგი-4), 3:2 სმიტ-პელი-4 (კოლიანო-13, ლიდმანი-13), 4:2 კოპიტარი-19 (მ. რიჩარდსი-20).



ერთად აღარ არიან

### ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი



მარტენ ფურკადი

# თერთმეტგზის მაგდალენა

რუჰპოლდინგში მსოფლიოს ჩემპიონატი სპრინტით გაგრძელდა. ქალებს შორის მასპინძელმა **მაგდალენა ნოიერმა** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დღეს ის ყველაზე ძლიერია სპორტის ამ სახეობაში და რა სამწუხაროა, რომ კარიერის ზენიტში მყოფი გერმანელი ამ სეზონის შემდეგ აქტიურ კარიერას ასრულებს.

ნოიერი სტარტის წინ ამბობდა, რომ მთავარი იყო სროლისას შეცდომა არ დაეშვა. და მან ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა. სროლის სისწრაფით ის მეორე იყო, რბოლაში სისწრაფით კი მხოლოდ **დარია დორმაჩოვას** ჩამორჩა, მაგრამ გერმანელმა ბელარუსზე 28 წამით ნაკლები დახარჯა ათ გასროლაზე და ტიტული მას დარჩა.

ნოიერი მსოფლიოს 11-გზის ჩემპიონი გახდა. ხანდახან დაუჯერებელია, რომ 25 წლის სპორტსმენმა კარიერაში უკვე ამდენს მიაღწია და კიდევ უფრო რთულია იმის დაჯერება, რომ მაგდალენა დიდი სპორტიდან მიდის.

რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა გამოვყოთ დორმაჩოვას გამოსვლა. ვერცხლის პრიზიორს სროლის სისწრაფეში მართლაც აქვს პრობლემები, მაგრამ სიზუსტის მხრივ გართულება არ ჰქონია და ეს უკვე პროგრესია. შესაძლოა, ნოიერის წასვლის შემდეგ სწორედ დორმაჩოვას ეპოქა დადგეს. ამის ყველა პირობა არსებობს.

**სპრინტი. ქალები**

1. **მაგდალენა ნოიერი** (გერმანია) - 21:07.0 (0+0); 2. **დარია დორმაჩოვა** (ბელარუსი) - +15.2 (0+0); 3. **ვიტა სემერენკო** (უკრაინა) - +37.6 (0+0); 4. **ჰელენა ეკჰოლმი** (შვედეთი) - +44.9 (0+0); 5. **მარი ლორ ბრიუნე** (ფინეთი) - +46.7 (0+0); 6. **ტორა ბერგერი** (ნორვეგია) - +52.4 (0+1).

■ ■ ■

მამაკაცთა სპრინტში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ბიატლონისტი, რომელმაც სროლისას ორი შეცდომა დაუშვა. ასეთი რამ ამ დისციპლინაში იშვიათად ხდება. სპრინტში ერთი შეცდომითაც რთულია მოგება, რომ არაფერი ვთქვათ ორ აცილებაზე. რთული მეტეოროლოგიური პირობებისას ფრანგებმა საუკეთესოდ შეარჩიეს თხილამურები. საუკეთესო ათეულში სამი ფრანგი აღმოჩნდა, პირველ ადგილზე კი **მარტენ ფურკადი** გავიდა.

მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლის ლიდერმა თითო სასროლეთზე თითო შეცდომა დაუშვა, ისევე როგორც მისმა მთავარმა კონკურენტმა **ემილ ჰეგლე სვენდსენმა**, რომელმაც ვერცხლი მოიპოვა. ფინიშზე ფრანგმა ნორვეგიელს 15 წამი მოუგო, რაც გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა. ასეა თუ ისე, რბოლის ტემპით სვენდსენი და ფურკადი აშკარად ჯაბნიდნენ დანარჩენებს. კონკურენტები ნახევარ წამზე მეტით ჩამორჩნენ ამ დუეტს.

ძალიან სუსტად გამოვიდა გერმანიის ნაკრები. მასპინძელთაგან საუკეთესო - **ანდრეას ბირნბაჰერი** მე-16 ადგილზე გავიდა, **გემპლი** - მე-19-ზე, წინა ჩემპიონატის სპრინტის ტრიუმფატორი **პაიფერი** - 37-ეზე.

**სპრინტი. კაცები**

1. **მარტენ ფურკადი** (საფრანგეთი) - 24:18.6 (1+1); 2. **ემილ ჰეგლე სვენდსენი** (ნორვეგია) - +15.1 (1+1); 3. **კარლ იუჰან ბერგმანი** (შვედეთი) - +17.7 (0+0); 4. **დანიელ მეზოტიჩი** (ავსტრია) - +27.1 (0+0); 5. **სიმონ ფურკადი** (საფრანგეთი) - +35.4 (2+0); 6. **ფრედრიკ ლინდსტრიომი** (შვედეთი) - +35.6 (0+1).

### კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

**2 მარტი**

**ტორონტო-მემფისი 99:102**

21:23, 31:22, 23:32, 24:25

**ტ:** ბეილისი (18), ჯ. ჯონსონი (14+5 მოხსნა), ბარბოზა (13), კლეიზა (12+7 მოხსნა), ა. ჯონსონი (10+5 მოხსნა), კალდერონი (10+9 პასი).

**მ:** გეი (23+12 მოხსნა), გასოლი (21+5 მოხსნა), კონლი (21+5 პასი+3 ჩაჭრა), მაიო (16), კანინგემი (11+3 ჩაჭრა).

**კლივლენდი-ჩიკაგო 91:112**

28:30, 16:26, 27:38, 20:18

**კ:** ჯეიმისონი (22), სეშენსი (16+7 პასი), ტომპსონი (7+11 მოხსნა).

**ჩ:** დენგი (24+6 მოხსნა), როუზი (19+9 პასი+3 ჩაჭრა), ბუზერი (13+11 მოხსნა), ბრიუერი (13), ჰემილტონი (10).

**ნიუ ორლეანი-დალასი 97:92**

25:19, 27:27, 22:23, 23:23

**ნ-ო:** კამანი (20+13 მოხსნა), ჰენრი (19), ჯეკი (15+6 პასი+5 მოხსნა), ბელინელი (14), ჯონსი (11+5 მოხსნა), აიონი (10).

**დ:** ბობუა (25+4 ჩაჭრა), ნოვიცკი (19+9 მოხსნა), კარტერი (14), მერიონი (11).

**ფილადელფია-გ. სტეიტი 105:83**

25:23, 25:24, 25:18, 30:18

**ფ:** უილიამსი (25), იანგი (16+7 მოხსნა), ბრენდი (14+14 მოხსნა), ჰოლიდეი (13), იგუოდალა (12+11 მოხსნა+6 პასი), ალენი (10+7 მოხსნა).

**გ-ს:** ლი (24+15 მოხსნა), ელისი (20+7 პასი+3 ჩაჭრა), რაიტი (10), ტომპსონი (9).

**იუტა-მაიამი 99:98**

27:26, 30:18, 21:27, 21:27

**ი:** ჯეფერსონი (20+6 მოხსნა), მაილზი (14+5 მოხსნა), ჰარისი (13+5 პასი), ჰეივორდი (12+5 პასი+5 მოხსნა), კანტერი (11+6 მოხსნა), ჰოვარდი (10+9 მოხსნა).

**მ:** ჯეიმსი (35+10 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), უეიდი (31+6 პასი), ბატიე (18+4 დაფარება).

**ლეიკერსი-საკრამენტო 115:107**

31:26, 34:32, 27:16, 23:33

**ლ:** ბრაიანტი (38+8 მოხსნა), ბინუმი (19+15 მოხსნა+3 დაფარება), გასოლი (15+7 მოხსნა), უორლდ პისი (15), ბარნსი (10).

**ს:** გარსია (18+3 ჩაჭრა), ტორნტონი (15), ევანსი (14+5 მოხსნა), ტომასი (14+6 პასი), ფრედეტე (12), სელმონსი (12), კაზინსი (10+13 მოხსნა).

**ატლანტა-მილუოკი 99:94**

27:25, 12:26, 26:25, 34:18

**ა:** სმიტი (24+19 მოხსნა+3 დაფარება), ტიგი (11), პარგო (11), უილიამსი (10), მაკგრეიდი (9+11 მოხსნა+5 პასი).

**მ:** ჯენინგსი (34+9 პასი), გუდენი (26+10 მოხსნა), უდრიხი (10), ილიასოვა (8+10 მოხსნა).

**ბოსტონი-ნიუ ჯერსი 107:94**

29:20, 29:20, 29:31, 20:23

**ბ:** პირსი (27+8 პასი), გარნეტი (20+10 მოხსნა), რონდო (14+13 პასი+5 ჩაჭრა), უილკოქსი (14+7 მოხსნა), პიეტრუსი (11+5 მოხსნა).

**ნ-ჯ:** ლოპესი (28), უილიამსი (12+8 პასი), ბრუქსი (11), მოროუ (11), გრინი (11).

**ჰიუსტონი-დენვერი 105:117**

25:26, 29:25, 24:31, 27:35

**ჰ:** მარტინი (35), ლოური (17+7 მოხსნა+5 პასი), სკოლა (13), პერსონსი (10), პატერსონი (6+10 მოხსნა+4 დაფარება).

**დ:** ლოუსონი (22+15 პასი+7 მოხსნა), აფლალო (17), ფარიდი (16+11 მოხსნა), მილერი (16), ბრიუერი (15), ჰარინგტონი (13+7 მოხსნა), კუფოსი (10+7 მოხსნა).

**სან ანტონიო-შარლოტი 102:72**

29:20, 22:21, 23:18, 28:13

**ს-ა:** პარკერი (15), ჯეფერსონი (14+7 მოხსნა), დანკანი (14+8 მოხსნა), ბონერი (14), ლეონარდი (10+5 მოხსნა), ბლერი (4+11 მოხსნა).

**შ:** მაგეტი (14), დიაო (14+6 მოხსნა).

**ფინიქსი-კლიპერსი 81:78**

17:21, 15:14, 31:17, 18:26

**ფ:** დადლი (22+7 მოხსნა), გორტატი (18+14 მოხსნა), ჰილი (14), ფრაი (6+14 მოხსნა).

**კ:** გრიფინი (17+7 მოხსნა), პოლი (16+5 პასი), მარტინი (14+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), უილიამსი (13), ბატლერი (9+8 მოხსნა).

**3 მარტი**

**ატლანტა-ოკლაჰომა 97:90**

27:24, 26:23, 23:28, 21:15

**ა:** სმიტი (30+12 მოხსნა), ტიგი (16+3 ჩაჭრა), ჰაინრიხი (10), ფაჩულია (10+14 მოხსნა).

**ო:** დურანტი (35+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), უესტბრუკი (25), იბაკა (10+6 მოხსნა+3 დაფარება), ჰარდენი (10+6 მოხსნა).

**ვაშინგტონი-კლივლენდი 101:98**

24:33, 26:22, 28:23, 23:20

**ვ:** კროუფორდი (31), უოლი (24+5 მოხსნა+5 პასი), მეისონი (11), მაკგი (9+12 მოხსნა+4 დაფარება).

**კ:** ჯეიმისონი (29+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), ირვინგი (20+6 პასი), ჰოლინზი (15+7 მოხსნა), გი (11+5 მოხსნა), სეშენსი (11).

**მემფისი-დეტროიტი 100:83**

28:28, 18:19, 23:23, 31:13

**მ:** გასოლი (17+9 მოხსნა), მაიო (17), სპეიტსი (16+7 მოხსნა), გეი (15+5 მოხსნა), პონდექსტერი (12), ალენი (11), კონლი (10+12 პასი+4 ჩაჭრა).

**დ:** სტაკი (20), ნაიტი (15+7 მოხსნა), მონრო (14+11 მოხსნა), პრინსი (13), მაქსიელი (10).

**პორტლენდი-მინესოტა 110:122**

28:40, 32:21, 22:23, 28:38

**პ:** ბატუმი (29), უოლასი (25+14 მოხსნა+5 ჩაჭრა), კროუფორდი (23), ოლდრიჯი (14+7 მოხსნა).

**მ:** ლავი (42+10 მოხსნა), უებსტერი (21+8 მოხსნა), უილიამსი (15), რიდნური (11+6 მოხსნა), რუბიო (6+12 პასი).

**ორლანდო-მილუოკი 114:98**

36:21, 25:39, 24:20, 29:18

**ო:** ჰოვარდი (28+14 მოხსნა+4 დაფარება), რიჩარდსონი (18+5 მოხსნა), ანდერსონი (16+6 მოხსნა+5 ჩაჭრა), თურქოგლუ (16+5 მოხსნა+9 პასი), რედიკი (14), დუჰონი (12), ნელსონი (8+10 პასი).

**მ:** ჯენინგსი (27+5 პასი), ილიასოვა (18+7 მოხსნა), დელფინო (10).

**ნიუ ორლეანი-ინდიანა 84:102**

23:25, 14:29, 17:25, 30:23

**ნ-ო:** ჯეკი (18), ბელინელი (15), ჯონსი (12+9 მოხსნა), კამანი (10+6 მოხსნა), აიონი (10+6 მოხსნა).

**ი:** გრეინჯერი (20), უესტი (14+13 მოხსნა), კოლისონი (13), ჯორჯი (11+5 ჩაჭრა), ამუნდსონი (11+10 მოხსნა), ჰილი (10), ჰიბერტი (4+10 მოხსნა).

**დალასი-იუტა 102:96**

24:20, 19:16, 31:19, 28:41

**დ:** ნოვიცკი (40+6 მოხსნა), ტერი (22).

**ი:** მილსეპი (24+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), ფეივორსი (14+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), მაილზი (13), ჯეფერსონი (11+10 მოხსნა), ჰოვარდი (10+6 მოხსნა).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. ტურნირები

# როჯერი ნოვაკს ნამოენია

დუბაის 500-იან ტურნირზე დიდხნიანი შესვენების შემდეგ შედგა ტრადიციული მეტოქეების - შვეიცარიელი **როჯერ ფედერერისა** და ბრიტანელი **ენდი მიურეის** დაპირისპირება. შარშან მათ არც ერთხელ არ მოუწიათ შეხვედრამ, რადგან დიდ ტურნირებზე მესამე და მეოთხე ნომრებად იყვნენ განთესილები და ფინალამდე ვერ შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

ბოლოს ფედერერი და მიურეი 2010 წლის ნოემბერში, ლონდონში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ როჯერმა ორ სეტში გაიმარჯვა. საერთოდ, ენდი როჯერისთვის ყოველთვის უხერხულ მეტოქედ ითვლებოდა და მათი ურთიერთდაპირისპირების საერთო ანგარიში იყო 8:6 ბრიტანელი ჩოგბურთელის სასარგებლოდ.

ამ 14 მატჩიდან ერთ-ერთი სწორედ დუბაიში გაიმართა - 2008 წელს. მაშინ როჯერი სათავეში ედგა რეიტინგს, მიურეი კი მე-11 ჩოგანი იყო. ბრიტანელი განთესილებს შორის ვერ მოხდა და მათი შეხვედრა პირველ წრეში შედგა. ენდიმ ბრწყინვალედ ითამაშა დაცვაში და ძირითადად, მეტოქის შეცდომების ხარჯზე სამ სეტში გაიმარჯვა. მაშინ ფედერერმა გააკრიტიკა ახალგაზრდა მეტოქე თამაშის პასიური სტილის გამო. ახლა მიურეი უფრო უნივერსალური მოთამაშეა, მაგრამ მაინც უფრო მეტად თამაშის ჩაშლას ანიჭებს უპირატესობას.

ამჯერად რთული იყო იმის განსხვავება, ვინ თამაშობდა დაცვიდან და ვინ შეტევით სტილში. სწრაფი კორტის გათვალისწინებით, ორივე ჩოგბურთელი ცდილობდა საკუთარ მოწოდებაზე ინიციატივის შენარჩუნებას, თუმცა სუფთა მოგებული ქულები ფედერერს მეტი ჰქონდა.

ენდი თავიდან კარგად გამოიყურებოდა და მოწოდება უკეთ გამოდიოდა. პირველი ბრეიკ-პოინტიც მან მოიპოვა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა. შემდეგ ფედერერმა გაასწორა პირველი მოწოდება და მიურეის მიღებაზე კარგა ხანი ხელმოსაჭიდი არაფერი ჰქონდა. ამასობაში, როჯერმა სამი „დაფარული" სეტბოლი მოიპოვა. ენდიმ ამ ბურთებზე კარგად ითამაშა და სამივე საფრთხე მოიგერია. თითქოს ფსიქოლოგიურად ამას დადებითად უნდა ემოქმედა ბრიტანელისთვის, მაგრამ ფედერერმა იქვე კიდევ ერთი შანსი მიიღო. მეხუთე ცდიდან შვეიცარიელმა ბრეიკი გააკეთა და შემდეგ სეტზე ჩააწოდა.

მეორე პარტიაში ბევრი არაფერი შეცვლილა. ფედერერის მოწოდებაზე ბრძოლა თითქმის არ ყოფილა. მხოლოდ ერთხელ გაიბრძოლა მიურეიმ და ბრეიკი გააკეთა. სხვათა შორის ეს იყო ტურნირზე შვეიცარიელის პირველი წაგება საკუთარ მოწოდებაზე. მაგრამ ენდის ეს წარმატება იმ მომენტში მოხდა, როცა ის უკვე აგებდა ბრეიკით. ასე რომ, მან მხოლოდ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო, როცა ფედერერის თამაშში ჩავარდნამ გაიარა, შოტლანდიელმა ისევ დათმო საკუთარი მოწოდება და ანგარიშის გათანაბრება ველარ შეძლო - 5:7, 4:6.

ფედერერმა სეზონში მეორე ტიტული მოიპოვა, დუბაიში მეხუთე და კარიერაში - 72-ე. საჩემპიონო რბოლის ახალ ვერსიაში როჯერი მეორე ადგილზე გადაინაცვლებს, ამასთან, ჯოკოვიჩთან ჩამორჩენა მხოლოდ 360 ქულა იქნება.

თუ გასული წლის ბოლო მონაკვეთს ავიღებთ, როცა ფედერერმა ზედიზედ სამი ტურნირი მოიგო, გამოვა, რომ როჯერს საუკეთესო შედეგები აქვს მამაკაცთა ტურში.

ამ კვირას ჩოგბურთელები აშშ-ში გაემგზავრებიან, სადაც ორი მასტერსი ელით - ინდიან უელსში და მაიამიში. თუმცა, მანამდე მოთამაშეებს დასვენების საშუალება ექნებათ - ინდიან უელსში ტურნირი შაბათს დაიწყება.

■ ■ ■

როგორც უკვე ალვნიშნეთ, დუბაიში ტოპ-ათეულის რვა წარმომადგენელი თამაშობდა. იქ არ ჩასულან ესპანელები - **რაფა ნადალი** და **დავიდ ფერერი**. პირველმა გასულ კვირას დასვენება აირჩია, ფერერი კი სეზონის ამ პერიოდში სამხრეთამერიკულ გრუნტზე ამჯობინებს თამაშს.

დავიდმა ძალიან იოლად დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი აკაპულკოს ტურნირზე. აქ ფინალში ესპანური დერბი შედგა - ფერერს **ფერნანდო ვერდასკო** დაუპირისპირდა, რომელიც თანამემამულეს ურთიერთშეხვედრებში 7:6-ს უგებდა. თუმცა ვერდასკო იმ დონის მოთამაშე აღარ არის, როგორიც რამდენიმე წლის წინ იყო, რაც გუშინდელმა ფინალმაც დაადასტურა.

ფერერმა ფერნანდოს ერთი ბრეიკ-პოინტის შანსიც არ მისცა და საკუთარ გეიმებზე მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ შვიდი ქულა დათმო. მიღებაზე კი დავიდმა ოთხი ბრეიკი აიღო. საათსა და 9 წუთში დაფიქსირდა საბოლოო ანგარიში - 6:1, 6:2.

დავიდმა კარიერაში მე-14 და სეზონში მესამე ტიტული მოიგო. მან ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა მექსიკურ ტურნირზე. ვერდასკომ კი კარიერაში მე-17 ფინალი ითამაშა და მეთორმეტედ დამარცხდა.

■ ■ ■

აკაპულკოში პარალელურად ქალებიც ასპარეზობდნენ და იქაც ფინალში ერთი ქვეყნის წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს - იტალიელები **სარა ერანი** და **ფლავია პენეტა**.

კაცების ფინალისგან განსხვავებით, აქ გადამწყვეტი მატჩი 2 საათი და 28 წუთი გაგრძელდა და ერანიმ ურთულეს ბრძოლაში სამ სეტში მოიგო - 5:7, 7:6(2), 6:0.

ჩოგბურთელები სუსტად თამაშობდნენ საკუთარ მოწოდებაზე - ერანიმ ცხრა ბრეიკი გააკეთა, პენეტამ - შვიდი. სარასთვის ეს მესამე ტიტულია კარიერაში. აღსანიშნავია, რომ ერანიმ თანამემამულე **რობერტა ვინჩისთან** ერთად აკაპულკოში წყვილთა ტურნირიც მოიგო.

**ATP**

**Dubai Tennis Championships**

დუბაი (საამიროები). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 700 475 დოლარი

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ენდი მიურეი (ბრიტ, 3) 7:5, 6:4.

**Abierto Mexicano**

აკაპულკო (მექსიკა). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 1 280 000 დოლარი

**ფინალი**

**დავიდ ფერერი (ესპ, 1)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 6:1, 6:2.

**WTA**

**Abierto Mexicano**

აკაპულკო (მექსიკა). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**ფინალი**

**სარა ერანი (იტა)**-ფლავია პენეტა (იტა) 5:7, 7:6(2), 6:0.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



როჯერ ფედერერი მთავარი პრიზით

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ჩილე | |
|---|---|
| უნ. კატოლიკა-რეინჯერსი | 2:0 |
| პალესტინო-უნ. ესპანიოლა | 1:3 |
| დეპ. იკიკე-აუდაქსი | 1:2 |
| უნ. კონსეპსიონი-ო'ჰიგინსი | 1:3 |
| უნ. დე ჩილე-კობრესალი | 3:1 |
| სან ფელიპე-უაჩიპატო | 1:2 |
| კობრელოა-და სერენა | 2:2 |
| ს. უონდერერსი-კოლო კოლო | 0:0 |

| ეკვადორი | |
|---|---|
| დეპ. კიტო-ტეძ. უნივერსიტარიო | 0:0 |
| ოლმედო-ლიგა დე ლოხა | 0:1 |
| ლდუ დე კიტო-ემელეკი | 2:0 |
| დეპ. მაკარა-ელ ნასიონალი | 1:2 |
| მანტა-დეპ. კუენკა | 0:0 |

| ურუგვაი | |
|---|---|
| ფენიქსი-დანუბიო | 1:1 |
| რამპლა-რასინგი | 4:3 |
| ატლეტიკო-სერო ლარგო | 4:2 |
| სერიტო-დეფენსორი | 0:2 |
| ბელა ვისტა-მონტევიდეო | 2:2 |
| ლივერპული-ელ ტანკე | 1:0 |
| რენტისტასი-რივერ პლეიტი | 0:2 |

| მექსიკა | |
|---|---|
| ტეკოსი-ტიხუანა | 0:2 |
| კერეტარო-მორელია | 0:3 |
| კრუს ასული-მონტერეი | 4:3 |
| ტიგრესი-ატლანტე | 1:0 |
| ს. ლაგუნა-სან ლუისი | 5:2 |
| ატლასი-პაჩუკა | 0:0 |
| ტოლუკა-პუმასი | 0:2 |

**კალათბურთი**

| NBA | |
|---|---|
| ბოსტონი-ნიუ იორკი | 115:111 (ო) |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| დრამასი-ოლიმპიაკოსი | 55:73 |
| პანიონიოსი-რეტიმნო | 76:77 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ლაგუნ არო-ესტუდიანტესი | 103:81 |
| ობრადოირო-რეალი | 69:83 |
| გრან კანარია-მანრესა | 63:77 |
| ბილბაო-ბარსელონა | 65:72 |

| გერმანია | |
|---|---|
| ბაიერნი-არტლანდი | 97:70 |
| სკაილაინერსი-ბამბერგი | 76:68 |
| ბონი-ვიურცბურგი | 65:69 |

| იტალია | |
|---|---|
| აველინო-კანტუ | 63:72 |
| ბენეტონი-მონფერატო | 66:63 |
| ბიელა-მონტეგრანარო | 63:73 |
| ვარეზე-ბოლონია | 86:63 |
| სკავოლინი-კაზერტა | 75:81 |
| მონტეპასკი-მილანი | 77:68 |

| თურქეთი | |
|---|---|
| ტურკ ტელეკომი-ფენერბაჰჩე | 76:78 |
| ეფესი-გალათასარაი | 65:74 |

**ჰოკეი**

| NHL | |
|---|---|
| რეინჯერსი-ბოსტონი | 4:3 |
| აილენდერსი-ნიუ ჯერსი | 1:0 |

| კჰლ | |
|---|---|
| ამური-ავანგარდი | 2:4 |
| ბარისი-მეტალურგი (მ) | 3:2 |
| იუგრა-ტრაქტორი | 6:7 |
| ს. იულიაევი-აკ ბარსი | 3:4 (ო) |
| ცსკა-სკა | 1:2 (ო) |
| სევერსტალი-ატლანტი | 4:0 |
| დინამო (მნ)-დინამო (მ) | 1:3 |
| დინამო (რ)-ტორპედო | 1:4 |

| ავსტრია | |
|---|---|
| ლინცი-ვენა | 8:3 |

| გერმანია | |
|---|---|
| ჰანოვერი-ტომას საბო | 3:1 |
| კიოლნი-იზერლონი | 2:1 |
| შტრაუბინგი-აუგსბურგი | 1:2 |
| ჰამბურგი-ინგოლშტადტი | 7:4 |
| კრეფელდი-მანჰაიმი | 1:2 |
| მიუნხენი-აისბარენი | 2:4 |
| დიუსელდორფი-ვოლფსბურგი | 2:5 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| სტავანგერი-რუსენბორგი | 9:1 |
| ლორენსკოგი-სტიორნენი | 7:0 |
| ვოლერენგა-სტორჰამარი | 2:3 |
| ლილეჰამერი-სპარტა | 1:2 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| პოპრადი-მარტინი | 4:2 |
| კოშიცე-ტრენჩინი | 5:3 |
| ჟილინა-ნიტრა | 2:1 |
| სლოვანი-ზვოლენი | 2:3 (ბ) |
| ბისტრიცა-სკალიცა | 3:4 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| კარლოვი ვარი-სლავია | 1:3 |
| ბოლესლავი-ლიტვინოვი | 4:3 |
| ტრშინეცი-ზლინი | 1:2 (ო) |

**ჩოგბურთი**

| ATP. აკაპულკო | |
|---|---|
| ფერერი-ვერდასკო | 6:1, 6:2 |

| ATP. დელრეი ბიჩი | |
|---|---|
| ისნერი-ანდერსონი | 5:7, 6:7 |

| WTA. აკაპულკო | |
|---|---|
| ერანი-პენეტა | 5:7, 7:6, 6:0 |

| WTA. კუალა ლუმპური | |
|---|---|
| მარტიჩი-იანკოვიჩი | 6:7, 7:5, 7:6 |
| ჰსიე-მარტიჩი | 2:6, 7:5, 4:1 უარი |

TV პროგრამა

**5 მარტი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXV ტური. რეალი-ესპანიოლი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXIV ტური. ნიურნბერგი-ბორუსია (მ).
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XXVI ტური. უდინეზე-ატალანტა.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVI ტური. ბორდო-ნიცა.
**18:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVI ტურის მიმოხილვა.
**19:00** იტალიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ინტერი-კატანია.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
**22:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტური. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ.
**00:00** იტალიის ჩემპიონატი. XXVI ტური. რომა-ლაციო.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენცო-ბოკა ხუნიორსი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-მაიამი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ბაიერნი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-ირლანდია.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სპორტინგი.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. როჯერ ფედერერი-ენდი მიურეი. დუბაი. საემიროები.
**00:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-მაიამი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. აკაპულკო. მექსიკა.
**13:00** სპორტ-NEWS.
**13:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. აკაპულკო. მექსიკა.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ატლეტიკო.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ნიუ იორკი.
**21:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. აკაპულკო. მექსიკა.

ფორმულა 1



# გასაიდუმლოებული რედ ბული

ბარსელონას ტესტების მესამე დღეს პრაქტიკულად ყველა გუნდი რბოლის იმიტაციას გეგმავდა, გარდა ამისა, ტოპ-გუნდებმა ბოლო ორი დღისთვის შემოინახეს ყველაზე საინტერესო ტექნიკური სიახლეების გამოცდა.

დილით, ბოქსებში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თემა იყო „რედ ბულის“ ტექნიკური სიახლეები - მანქანა, რომელიც **მარკ უებერმა** ტრასაზე გაიყვანა, გარეგნულად ძალიან განსხვავდებოდა იმისგან, რომლითაც წინა დღეს **სებასტიან ფეტელი** მუშაობდა. **ედრიან ნიუიმ** ისევ გააკვირვა მეტოქეები არასტანდარტული გადაწყვეტილებებით.

მექანიკოსები მონდომებით მალავდნენ RB8-ის უკანა ნაწილს, მაგრამ ტრასაზე ამ სიახლეს ვერ დამალავდნენ და ფოტოგრაფები სხვადასხვა რაკურსით იღებდნენ ფოტოებს და პრესცენტრში მიიჩქაროდნენ სურათების გასაგზავნად.

დილით რაიკონენს პრობლემები შეექმნა საჭის სისტემასთან დაკავშირებით. ტრასაზე გასვლის შემდეგ ფინელი მაშინვე ბოქსებში დაბრუნდა, ერთი საათის შემდეგ კიდევ ერთი წრე გაიარა და ისევ გადასცა მანქანა მექანიკოსებს. შემდეგ ჯერზე რაიკონენმა შეძლო სესიის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე ტრასაზე გასვლა.

პირველ საათებში გუნდები კონცენტრირებული იყვნენ მოკლე წრეების სერიებზე, პარალელურად პიტსტოპებზე მუშაობდნენ, შესვენების წინ კი რამდენიმე პილოტმა საკვალიფიკაციო რეჟიმში იმუშავა - რბოლის იმიტაცია დღის მეორე ნაწილისთვის გადაიტანეს.

მეორე სესიისთვის სინოპტიკოსები წვიმას ვარაუდობდნენ. პროგნოზი გამართლა და პირველად წელს გუნდებს მუშაობაში ხელი შეუშალა კოკისპირულმა წვიმამ, რომელმაც შეწყვიტა რბოლის იმიტაცია ერთბაშად ხუთი პილოტისთვის. მეათე მოსახვევში გაჩერდა **ბრუნო სენას** მანქანა და პირველად დღის განმავლობაში წითელი დროშები გამოფინეს.

დღის ბოლომდე ასფალტმა გაშრობა ვერ მოასწრო და პირველ ადგილზე დარჩა **სერხიო პერესის** შედეგი, რომელიც დილით კვალიფიკაციის რეჟიმში მუშაობდა - 1.22,094. ჯერჯერობით ეს არის ბარსელონას ტესტების საუკეთესო დრო.

**III დღე**

| | |
|---|---|
| 1. პერესი (Sauber) | 1.22,094 (112 წრე) |
| 2. ჯ. ბატონი (McLaren) | +0,009 (44) |
| 3. დ. რიკარდო (ტორო როსო) | +0,061 (130) |
| 4. ფ. მასა (Ferrari) | +0,319 (121) |
| 5. პ. დი რესტა (Force India) | +0,352 (108) |
| 6. ბ. სენა (Williams) | +0,386 (111) |
| 7. ჰ. კოვალაინენი (Caterham) | +0,536 (64) |
| 8. მ. უებერი (Red Bull) | +0,568 (70) |
| 9. ნ. როსბერგი (მერსედესი) | +0,838 (128) |
| 10. კ. რაიკონენი (Lotus) | +3,285 (43) |

ჩოგბურთი

## ვარსკვლავები წყვილებს მიექალნენ

ინდიან უელსის მასტერსზე, რომელიც შაბათს აიღებს სტარტს, ATP-ის ტოპ-ათეულის ერთბაშად ხუთი წარმომადგენელი ითამაშებს წყვილთა თანრიგში, - წერს ამერიკული პრესა.

სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** თანამემამულე **ვიქტორ ტროიცკისთან** შექმნის დუეტს, ესპანელი **რაფაელ ნადალის** პარტნიორი იქნება მისი მეგობარი **მარკ ლოპესი**, ბრიტანელი **ენდი მიურეი** უფროს ძმას **ჯეიმის** შეუწყვილდება, ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა** - თანამემამულე **ჟულიან ბენეტოს**, ხოლო ამერიკელი **მერდი ფიშის** მეწყვილე გახლავთ **ენდი როდიკი.**

მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელების ასეთი აქტიურობა იმით არის განპირობებული, რომ ისინი წელს ლონდონის ოლიმპიადაზე წყვილთა თანრიგში აპირებენ თამაშს.

## ჩოგბურთის გაკვეთილი 190 000 დოლარად

ბრიტანელი კომპოზიტორისა და მომღერლის **ელტონ ჯონის** მიერ ორგანიზებულ აუქციონზე ყველაზე ძვირად გაიყიდა ჩოგბურთის ორი გაკვეთილი მსოფლიოს მეორე ჩოგნის, ესპანელი **რაფაელ ნადალისგან.**

ამ ღონისძიებიდან შემოსული თანხა შიდსის კვლევასა და მკურნალობის მეთოდის პოვნას მოხმარდება. საინტერესოა, რომ ნადალთან საჩოგბურთო გაკვეთილი აუქციონის ორმა სტუმარმა შეიძინა. თითოეულმა 190 ათასი დოლარი გადაიხადა.

აუქციონს ესწრებოდნენ ცნობილი მსახიობები, მოდელები და სპორტსმენება, მათ შორის ჩოგბურთის ლეგენდა **ბილი ჯინ კინგი** და **ენდი როდიკის** მეუღლე **ბრუკლინ დეკერი.**

კრივი

# საიუბილეო ნოკაუტი

უკრაინელმა **ვლადიმერ კლიჩკომ** დიუსელდორფში წარმატებით დაიცვა სუპერმძიმე წონაში ჩემპიონის ტიტული. უმცროსმა კლიჩკომ მეოთხე რაუნდისთვის მოამთავრმა საქმე ფრანგი **ჟან-მარკ მორმეკის** წინააღმდეგ და კარიერაში ნოკაუტით 50-ე გამარჯვებას მიაღწია.

ბრძოლის წინ იყო ანონსის ტრადიციული ცერემონია, რომელზეც შოუ არ შედგა. მორმეკი **ჩისორა** არ არის, ის სოლიდური და ღირსეული მამაკაცი აღმოჩნდა. ბრიტანელი მოკრივისგან განსხვავებით, არც სახეში გაურტყამს ხელი კლიჩკოსთვის და არც წყალი შეუსხამს, უბრალოდ, ხელი ჩამოართვა მოწინააღმდეგეს.

თუმცა 39 წლის ფრანგი საკმაოდ მრისხანედ გამოიყურებოდა - თავგადაპარსული, დაკუნთული... რაღაცით **მაიკ ტაისონს** მოგაგონებდათ.

*„მე ტაისონი არ ვარ,* - მოკრძალებით ამბობდა ფრანგი მოკრივე. - *ფეთქებადი დარტყმა არ გამაჩნია, თუმცა ლეგენდასთან შედარება წარმატებული პიარნაბიჯია“.*

პროფესიული კრივის ტრადიციების მიხედვით, ჟან-მარკ მორმეკმა მეტოქეზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას მიმართა: *„მე ფსიქოლოგიურად გავტეხავ ვლადიმერს და ჩამოვართმევ ყველა საჩემპიონო ქამარს! რკინი ნერვები და დიდი საბრძოლო ჟინი მაქვს! მე კლიჩკოს გავუკეთებ იმას, რაც ჰეიმ ვერ შეძლო!“*

როგორც ცნობილია, მორმეკმა ჰეისთან წააგო. 2007 წლის 11 ნოემბერს სკანდალურმა ბრიტანელმა ფრანგი ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა. თუმცა ის ბრძოლა ჰეიმ გაჭირვებით მოიგო. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეოთხე რაუნდში მორმეკმა მეტოქე ნოკდაუნში ჩააგდო. კლიჩკომ კი, როგორც ცნობილია, 2011 წლის ივლისში ერთხელაც ვერ დააწვინა რინგზე ჰეი, არადა, ბრძოლის წინ მუდმივად იმეორებდა, რომ ენაწყლიან ლონდონელს ნოკაუტში გაგზავნიდა.

ამჯერად უკრაინელი დაპირებებს არ იძლეოდა. მორმეკთან ბრძოლის წინ მან განაცხადა, რომ ფრანგის ნოკაუტში გაგზავნას შეეცდებოდა, თუმცა გარანტიას ვერ იძლეოდა.

არადა, თავისუფლად შეეძლო ამის გაკეთება. მან შაბათს უპრობლემოდ მოიგო, საიუბილეო 50-ე ნოკაუტით.

ფრანგი ძალიან ულიმღამოდ მოქმედება. მასზე არანაირად არ უმოქმედია ფრანგი მსახიობების - **ჟან რენოსა** და **ჟან-პოლ ბელმონდოს** დარბაზში ყოფნას. მორმეკის ყრუ დაცვას კლიჩკო უპრობლემოდ არღვევდა, თანაც ათასგვარი ხერხით - ხან ორმაგი დარტყმებით, ხან ჯებით, ხან მარჯვენა პირდაპირი დარტყმით...

მორმეკს შეტევა საერთოდ არ ახსოვდა და პირველად ნოკდაუნში მეორე რაუნდში აღმოჩნდა. ამის მიზეზი უკრაინელი მოკრივის უსწრაფესი შეტევა იყო, რომელიც ორმაგი დარტყმით დასრულდა. მესამე რაუნდში ფრანგმა დარტყმების მორიგი სერია მიიღო და კიდევ ერთხელ დაეცა რინგზე - თუმცა ამჯერად ფეხი დაუცდა.

მეოთხე რაუნდში ბრძოლა დასრულდა. უკრაინელის სამდარტყმიანმა კომბინაციამ ფრანგი რინგზე დასცა. მსაჯმა სასწრაფოდ შეწყვიტა მორმეკის უმოწყალო ჩაგვრა.

ფრანგი პრაქტიკულად უბრძოლველად დანებდა. მის ანგარიშზე მხოლოდ ერთი ზუსტი დარტყმა იყო, რომელსაც ჩემპიონი დიდად არ შეუწუხებია. კლიჩკომ კი კარიერაში 50-ე გამარჯვება მოიპოვა ნოკაუტით.

ბრძოლის შემდეგ უკრაინელმა განაცხადა, რომ სწორი ტაქტიკა აირჩია. მორმეკმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ მისი აზრით, *„რეფერიმ ბრძოლა ძალიან ადრე გააჩერა“.*

თავისი შეფასება მისცა ბრძოლას ბელმონდომ. თანამემამულის დამარცხების მიუხედავად, მსახიობი კმაყოფილი დარჩა ნანახით: *„ეს დაუვიწყარი იყო, თუმცა მოსალოდნელი. კლიჩკო ბრწყინვალე მოკრივეა“.*


მორმეკი ნოკაუტშია

# ვიტალი და დევიდი შეთანხმდნენ

**ვლადიმერ კლიჩკოსა** და **ჟან-მარკ მორმეკის** ბრძოლის შემდეგ საინტერესო ამბავი შეიტყვეს კრივის მოყვარულებმა: **ვიტალი კლიჩკო** და ბრიტანელი **დევიდ ჰეი** საჩემპიონო ბრძოლას გამართავენ. რამდენიმე ჩაშლილი მოლაპარაკებისა და ჰეის დიდი სპორტიდან წასვლის მიუხედავად, პროფესიულ კრივში ერთ-ერთი სასურველი ბრძოლა მაინც შედგება. ამის შესახებ ბრიტანელმა მოკრივემ საკუთარ „ტვიტერზე“ დაწერა.

*„ვიტალი, როგორც იქნა, დათანხმდა ჩემთან ბრძოლას,* - დაწერა ჰეიმ თავის გვერდზე. - *უკვე განვიხილეთ ბრძოლის პირობები, რომელიც ამა წლის დეკემბერში უნდა გაიმართოს. თუმცა კლიჩკოების მენეჯერი ბერნდ ბენტე უარყოფს ამ ინფორმაციას. არ მესმის, რატომ გიმალავთ ის ამ ახალ ამბავს. იქნებ უნდა შევახსენოთ, რომ ის კლიჩკოზე მუშაობს, რომელიც დღეს თავად მოგიყვებათ მომავალი ბრძოლის შესახებ“.*

მართლაც, მოგვიანებით WBC-ის ჩემპიონმა ვიტალი კლიჩკომ განაცხადა, რომ მისი მომდევნო მეტოქე სწორედ დევიდ ჰეი იქნება.

*„შემიძლია გაცნობით, რომ შემდეგ ბრძოლას ჰეის წინააღმდეგ ჩავატარებ,* - განაცხადა უფროსმა კლიჩკომ. - *მისი ნოკაუტში გაგზავნა ჩემი მთავარი მიზანი და ოცნებაა“.*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია